

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი

თამთა ჭეიშვილი

**თემა: საქართველოს სოციალური და პოლიტიკური
ისტორიის საკითხები გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციებში**

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა _ 1004_ საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მჭედლიძე -

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი,

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ქუთაისი

2018

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	გვ. 3
თავი I. გაზეთ „მწყემის“ გამოცემის ქრონოლოგია და საზოგადოებრივ- პუბლიცისტური ხასიათი.....	გვ. 16
1.1. დავით ღამბაშიძის პიროვნების როლი გაზეთ „მწყემის“ საზოგადოებრივ- პუბლიცისტური პროფილის შექმნა-განვითარების საქმეში.....	გვ. 22
თავი II. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები გაზეთ „მწყემში“	გვ. 36
2.1. გაზეთ „მწყემის“ პუბლიკაციები იმპერიულ-რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ ქართული ენის დასაცავად.....	გვ. 39
2.2. კუთხურ-ენობრივი და რელიგიური სეპარატიზმის გაღვივების მიზნით იმპერიის მცდელობის შესახებ გაზეთ „მწყემის“ პუბლიკაციებში.....	გვ. 62
2.3. პ. ჩუდეცკის მკვლევლობა, დ. ყიფიანის ტრაგიკული ისტორია და ე. მჭედლიძის აღსასრული გაზეთ „მწყემში“	გვ.74
თავი III. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხები გაზეთ „მწყემში“	გვ. 85
3.1. გაზეთ „მწყემის“ პუბლიკაციები წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ.....	გვ. 104
3.2. საეკლესიო კრებების ქრონოლოგია და მათი იდეოლოგიური როლი ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურ ეტაპზე.....	გვ. 126
დასკვნა.....	გვ. 142
ბიბლიოგრაფია.....	გვ. 146

შესავალი

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ერის არსებობის მანძილზე, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი და XX საუკუნის დასაწყისი სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული, როგორც ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი, გამომდინარე იმ რეალობიდან, რომელშიც უწევდა ცხოვრება ქართველ ხალხს.

დასახელებული დროის მონაკვეთისათვის, რუსეთის იმპერიის დიდი მონდომებით და მისი მოხელეების მიერ თანმიმდევრულად გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად, ქართული სახელმწიფოებრიობის ნიშნები, გარკვეულწილად, განადგურდნენ ან იდგნენ, აღნიშნული საფრთხის წინაშე. ქვეყანა წარმოადგენდა უზარმაზარი იმპერიის ორ პერიფერიულ გუბერნიას, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ჯერ კიდევ, 1811 წლიდან ავტოკეფალია გაუქმებული, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რუსეთის ეკლესიის სინოდზე, საეგზარქოსოდ არსებობის უფლებით.

რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ზეგავლენით, განვითარების ანტი-ეროვნული გზით სვლა დაიწყო განათლებისა და კულტურის მიმართულეებმა. მეტიც, იმპერია ცდილობდა ეს სფეროები საქართველოს საბოლოო დაპყრობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია-გადაგვარების იარაღად ექცია. იერიში მიჰქონდა იმ ძირითად ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე, რაც ქართველი ერის იდენტობას საფუძველს ურყევდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი ინტელიგენციისა და სამღვდელოების გარკვეული ნაწილი ემხრობოდა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც რუსეთთან შეერთებამ საქართველოს მოუტანა მშვიდობა, ხოლო მატერიალური კულტურის ასპარეზზე-წინსვლა, ქალაქებისა და სოფლების გაშენება, „უშიშროება სპარსთა, თურქთა და ლეკთაგან, აგრეთვე განათლება და აყვავება სიბრძნითა, მეცნიერებითა“. რუსეთის მსგავსად, კეთილმოწყობილი, სუფთად გარემონტებული (ძირითადად კირით შეთეთრებული) ტაძრები, სამღვდელოების ასე თუ ისე სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ფაქტორები

იწვევდა კმაყოფილებას, მაგრამ საქართველოში განხორციელებულმა იმპერიის აშკარად დაუფარავმა გამარუსებელმა პოლიტიკამ ჩააფიქრა ქართველობა და თანდათანობით მოზღვავდა შეფასებათა მეორე ნაკადი (ჯაფარიძე 2003: 517), განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა წარმატებით დაასრულა კავკასიის დაპყრობა და ილუზიური სიმშვიდის პირობებში გაააქტიურა რესიფიკატორული კურსი, რაც მთელი სიმძაფრით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რეაქციის პერიოდში გამოიკვეთა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში, ქართულ საზოგადოებას, რომელიც მოკლებული იყო სახელმწიფოებრივ და საეკლესიო დამოუკიდებლობას, ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად რჩებოდა ლიტერატურულ-ისტორიული და პუბლიცისტური გამოცემები.

დასახელებულ პერიოდში გამომავალმა ჟურნალ-გაზეთებმა დიდი როლი ითამაშეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების გააქტიურებასა და ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების საქმეში. აქ დაბეჭდილი სტატიები ქართველ მკითხველს ახსენებდა საკუთარ ისტორიულ წარსულს და გარკვეულწილად, წარმოდგენას აძლევდა იმდროინდელ პრობლემურ საკითხებზე. ამისი თვალსაჩინო მაგალითია სასულიერო ორგანო - ორკვირეული გაზეთი „მწყემსი“, რომელიც 1883-1910 წწ.-ში ქართულ ენაზე გამოდიოდა¹ დეკანოზ დავით ლამბაშიძის რედაქტორობით. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის რედაქციის ოფისი ჯერ შორაპანში, შემდეგ კი ყვირილაში (ზესტაფონში) მდებარეობდა (რედაქტორის საცხოვრებელი სახლის მიხედვით), „მწყემსი“ 1902 წლამდე ქ. ქუთაისში იბეჭდებოდა და მხოლოდ 1902-1910 წწ.-ში გამოიცემოდა ყვირილაში (ზესტაფონში).

გაზეთი ძირითადად დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა და ხელმოწერის კანტორა ქუთაისში ჰქონდა განთავსებული. „მწყემსის“ კორესპონდენტების დიდი ნაწილი სასულიერო წოდების წარმომადგენლები იყვნენ. გაზეთთან, აგრეთვე, თანამშრომლობდნენ: ვასილ ბარნოვი, მოსე ჯანაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, სიმონ გუგუნავა, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი),

¹ 1885–1905 წწ. რედაქციამ დაიწყო დამატების სახით „Пастырь“-ის გამოცემა, რუსულ ენაზე.

დიმიტრი ბაქრაძე, ტრიფონ ჯაფარიძე და სხვა (მჭედლიძე გ., „ქართული პრესის საწყისები ქუთაისში“, ჟურნალი „განთიადი“, 1994 წ., № 9 (12)).

რედაქციის განცხადებით, გაზეთის მიზანსა და დანიშნულებას წარმოადგენდა შეეტყობინებინა სამღვდლო და საერო წოდებისათვის ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესი სასულიერო და საერო მმართველობისა; ასევე, მიეწოდებინა ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციები (მჭედლიძე 2011: 159-160). გაზეთი, მიუხედავად ზემოთ აღწერილი სარედაქციო პოლიტიკის თავისებურებისა და სპეციფიური ხასიათისა, შესაძლებელია პროგრესული მიმართულების ორგანოდ ჩაითვალოს, რადგან იგი, თავისი არსებობის მანძილზე, ქართველი ხალხის გულისთქმას გამოხატავდა და ცდილობდა, სააშკარაოზე გამოეტანა ის მანკიერი, ქართველი ერისათვის დამღუპველი პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ყველა სოციალურ წრესა და სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ აქტიურად მუშაობდა, „მიეცა ბეჭდვითი ორგანოებისათვის, როგორც პერიოდული, ისე ყოველგვარ ბეჭდვითი ნაწარმოებთათვის ისეთი მიმართულება, რომელიც შეეფარდებოდა თვითმპყრობელობის სისტემას და ამოცანებს“ (გიორგაძე 1928: 179), გაზეთის რედაქცია, გულმოდგინედ ცდილობდა, შესაძლებლობების ფარგლებში, მკითხველებამდე მიეტანა პათოსი ეროვნული თვითშეგნებისა: მუდმივად გაეხსენებინა მათთვის საქართველოს წარსული, დაენახებინა საჭიროება გონებრივი და სულიერი განათლებისა, რისი დახმარებითაც მრავალჭირნახული ქართველები, იმპერიის ქვეშევრდომობის პირობებში მიღებული მეტ-ნაკლები მატერიალური კეთილდღეობის უკან, შეძლებდნენ დანახვას ქართველი ერის მყოფადობისათვის საშიში ტენდენციებისა, რომლებიც მათ ყოველდღიურობაში, ზოგჯერ ღიად, ზოგჯერ კი შეფარულად ავლენდა თავს.

თუმცა „მწყემსის“ რედაქცია, ისევე როგორც სხვა, მისი თანამედროვე პერიოდული გამოცემები, ყოველთვის ერთნაირი წარმატებით არ აშუქებდა ყველა რეალურ პრობლემას, არა ერთი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო. ერთ-

ერთ მნიშვნელოვან მიზეზს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენდა საცენზურო კონტროლი, რასაც, სახელდობრ, „მწყემსი“ ქ. ქუთაისში გადიოდა.

ცარისტული რუსეთის მოხელეების მიერ „ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, ჯერ კიდევ 1882 წელს გამოიცა „დროებითი წესები“, რომლის ძალით ბეჭდვითი ორგანო, სამი გაფრთხილების შემდეგ გადადიოდა ცენზურის ქვეშ და გარდა ამისა, შინაგან საქმეთა, განათლების, იუსტიციის მინისტრების და სინოდის ობერ-პროკურორის თათბირს უფლება ჰქონდა სამუდამოთ აღევრძალა ამა თუ იმ პერიოდული ორგანოს გამოცემა“ (გიორგაძე 1928: 201) სწორედ ამ „დროებით წესებს“ 1885 წელს შეეწირა კიდევ „ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „დროება“ (ღამბაშიძე დ., „ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთის „დროების“ აღკრძალვის“ გამო“ გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №19, გვ. 1-2).

აცნობიერებდა რა გაზეთ „მწყემსი“-ს რედაქცია აღნიშნული ვითარების სირთულეს, დასძენდა: „იქნება, რასაკვირველია, „მწყემსი“ თავისი შინაარსით ყველა მკითხველთა არ აკმაყოფილებდა. ამ უკმაყოფილო პირთა ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ ეხლანდელ, ყველა ბეჭდვითი სიტყვისათვის, დამდგარ განსაკუთრებულ დროებაზე და მრავალს სხვადასხვა მიზეზებზე, რომელთა დასახელება აქ ჩვენ არ შეგვიძლია...“ (ღამბაშიძე დ., „მომავალი 1885 წლიდან „მწყემსის“ გამოცემაზე რუსული ყოველთვიური დამატებით“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №23, გვ. 2).

მართალია, გაზეთის რედაქცია, ხშირად არ გამოირჩეოდა რადიკალური განცხადებებით და საერთო პერსპექტივაში, დღევანდელ მკითხველს, გარკვეულწილად უქმნის შთაბეჭდილებას, რომ მისი სამოქმედო პოლიტიკით მიეგებოდა „პატივსა პატივი და სახარკოსა ხარკი“ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ: თავი XIII). თუმცა, მიუხედავად ამისა, მოცემული სასულიერო ორგანო, ქართველებისთვის აქტუალურ და მტკივნეულ საკითხებთან მიმართებაში, არ ერიდებოდა ეროვნული სულისკვეთებით განმტკიცებული პოზიციის ღიად დაფიქსირებას და პირიქით, ერთ-ერთ პირველს წარმოადგენდა, მსგავსი თემატიკის გაშუქებისას... თემატიკა, კი ნამდვილად მრავალრიცხოვანი და საყურადღებო იყო.

გამოკვლევის მიზანი: ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის მიზანია, მოვლენათა მთელი სპექტრი, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, დავინახოთ იმ ჭრილში, რომელსაც გვთავაზობს გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია, როგორც პირველწყარო, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რის აუცილებლობასაც ქმნიდა, როგორც თავად ეპოქა და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე სასულიერო ორგანოს სარედაქციო პოლიტიკის ხასიათი და საგამომცემლო ჟანრი. ყველა ზემოთ აღნიშნული ნიშან-თვისება, გვამღვებს საშუალებას, გავეცნოთ და შევისწავლოთ უნიკალური ინფორმაციის შემცველი მასალა, რომელთა დიდი ნაწილიც ჯერ კიდევ დღის სინათლის მოლოდინშია.

წყაროები და ლიტერატურა: ჩვენი ნაშრომის ძირითად წყაროს წარმოადგენს გაზეთ „მწყემსის“ ნომრები (1883-1910 წწ.), რომლებიც გაბნეულად არის წარმოდგენილი ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სახელმწიფო არქივებში, ამავე ქალაქების საჯარო ბიბლიოთეკებში, ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის პერიოდული გამოცემების ბიბლიოთეკასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიჰყოფილია იმ სტატიებისაკენ, რომლებშიც კარგად ჩანს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ქართველი სამღვდელოების, პოლიტიკური ჩინოვნიკების, ინტელიგენციისა და გლეხების ყოფა-ცხოვრება, საჭიროებები, თუ დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მმართველობითი თავისებურებების კვლევისას, რომელიც დაგვებმარა „მწყემსის“ პუბლიკაციებში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად და მათ გასაანალიზებლად საერთო ისტორიულ ჭრილში, ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა გრიგოლ გიორგაძის 1928 წელს გამოცემული ნაშრომი „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905)“.

აღნიშნული ნაშრომი შეიცავს საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას რუსიფიკატორული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების ირგვლივ, როგორებიცაა: კავკასიის სამოსწავლო პროგრამა და ამავე რეგიონის სასწავლო ოლქის მმართველის იანოვსკის პოლიტიკა განათლებაში, ქართული ენის კრიზისის თემატიკა - მუნჯური მეთოდით სწავლებისა და მეგრული ენის საკითხი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობა საქართველოში და სხვ.

საყურადღებოა მითითებული ავტორის შეფასებები, მნიშვნელოვანწილად, საერო საკითხების შესწავლა-გაანალიზების პროცესში. ასეთებია დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის ბოლო, საბედისწერო წლები და მისი ურთიერთობა კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვსა და საქართველოს ეგზარქოს პავლესთან, ასევე მის მიერ განხილული საგანმანათლებლო სისტემა სკოლებსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში.

იმავეს ვერ ვიტყვით გრ. გიორგაძის მიერ სასულიერო მოღვაწეების მიმართულებით გამოთქმული მოსაზრებების შესახებ, ვინაიდან ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გასაგები მიზეზების გამო (ავტ. რის შესახებაც მინიშნებას ვვაძლევს წიგნის გამოცემის წელიც) მკაფიოდ სუბიექტურ, მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს ეკლესიის, სამღვდელოებისა და მათი საქმიანობის მიმართ.

ჩვენთვის საინტერესოა მასალა, გადმოცემული პროფესორ გიორგი მჭედლიძის მონოგრაფიაში „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“ (546 გვ., ქუთ. 1993), სადაც მოთხრობილია ქუთაისის ისტორია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. წიგნში არსებული, ინფორმაციულად მდიდარი მასალიდან, კვლევის სპეციფიკისა და პერიოდული ჩარჩოს გათვალისწინებით, ჩვენი ინტერესის სფეროში განსაკუთრებით მოექცა განათლებისა და კულტურის მდგომარეობა და ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი ქუთაისში XIX-XX სს.-ის მიჯნაზე. ასევე, ქუთაისის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა 1905-1907 წწ.-ის რევოლუციის პერიოდში.

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ინფორმაციული წყარო აღმოჩნდა მონოგრაფია „ქუთაის-გაენათის ეპარქია“ (576 გვ., ქუთ. 2008), ისტორიის

მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გ. მჭედლიძისა და მ. კეზევაძის თანაავტორობით. ნაშრომი წარმოადგენს სათაურშივე წარმოჩენილი პრობლემატიკის მონოგრაფიული შესწავლის ერთადერთ ცდას. ავტორებმა, არსებული წყაროებისა და ისტორიოგრაფიის სრული გათვალისწინებით, გადმოსცეს საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის ისტორია მისი დაარსებიდან დღემდე. დასახელებულ ლიტერატურულ წყაროში, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია ქართული საგალობლების შეკრებისა და გადმოცემის საკითხები (გვ. 299-300, 320-321). ჩვენთვის საინტერესოა, აგრეთვე, ქუთაისის ეპარქიის მდგომარეობა ეპისკოპოს გაბრიელისა და ლეონიდეს დროს (გვ. 274, 290, 293).

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენი თემისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიპოვეთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ, აკადემიკოს ა. ნიკოლეიშვილის მონოგრაფიიდან „გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე)“ (124 გვ. თბ., 1990), რომელშიც მოთხრობილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მღვდელმთავრისა და მამულიშვილის, ქართული ეკლესიის მანათობელ ვარსკვლავად აღიარებული სასულიერო მოღვაწეს გაბრიელ ქიქოძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ღვაწლის შესახებ. ხსენებულ წიგნში, ასევე, გაანალიზებულია ეპისკოპოსის სიტყვები და მოძღვრებები, რომელთაც მღვდელმთავარი უქადაგებდა მრევლს ეპისკოპოსად ხანგრძლივი მოღვაწეობისას.

ნაშრომისათვის საინტერესო მასალის მოძიება მოხდა ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილ კრებულში „ქუთაისი XIII საუკუნის 60-იან წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე“ (620 გვ., ქუთ., 2013), რომელიც შედგენილი და რედაქტირებულია პროფ. გ. მჭედლიძის მიერ. წიგნის 620 გვერდიდან, საკუთრივ გ. მჭედლიძის მიერ დაწერილია 390 გვერდი სხვადასხვა თავისა და პარაგრაფის სახით. გარდა ამისა, პირთა სახელების საძიებელი, გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა, რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე. ამათგან, საჭიროდ მივიჩნიეთ, გამოგვეყენებინა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულის მოვლენების ამსახველი ცნობები. განსაკუთრებით, კი ჩვენი

ყურადღება მიიპყრო მასალამ გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობისა და მ. შარაძის დამსახურების შესახებ საგალობლების გამოცემის საქმეში.

საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში, ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა **მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომები: „საქართველოს საეკლესიო კრებების“** მესამე ნაწილი და **„დედაღვთისმშობელი შემწე ქართულისა ენისა“**.

ამ უკანასკნელში ავტორი აქტიურად განიხილავს საქართველოს დაშლად აქუცმაცებისაკენ მიმართულ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა რუსეთის საიმპერატორო კარი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. ნაშრომში ავტორი აღნიშნული თემის შესწავლის პროცესში იყენებს არაერთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წყაროს, რომელთა შორის გვხვდება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის პირველწყარო და კლევის ობიექტი - გაზეთი „მწყემსი“.

მეუფე ანანია ჯაფარიძე განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს, რამდენიმე მონაკვეთს. ესენია: რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკა ენის ფაქტორთან მიმართებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საგანმანათლებლო სფეროში; სამეგრელოსა და სხვა ქართულ კუთხეებში სეპარატიზმის გაჩენის მიმართულებით რუსი და ზოგიერთი ქართველი საერო თუ სასულიერო მოხელის „მოღვაწეობა“ და ა.შ.

ნაშრომში „საქართველოს საეკლესიო კრებების“ მესამე ნაწილი, ავტორს მოძიებული, შესწავლილი და განხილული აქვს საკითხები ქართველი სამღვდელოების ბრძოლის შესახებ, რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ასევე, იმპერიის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის დაყოფისაკენ რელიგიური, ენობრივი და ეთნიკური ნიშნით, ფსევდოსარწმუნოებრივი მეთოდის დახმარებით.

ერთ-ერთ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ლიტერატურულ მასალას წარმოადგენს ჩვენი სადისერტაციო თემისათვის **რუსი ისტორიკოსის, ფილოლოგისა და პუბლიცისტის ნ. დურნოვოს** 1907 წელს გამოცემული ნაშრომი **„ქართული ეკლესიის ბედი“**, სადაც ავტორი ღიად ამხელს რუსეთის იმპერიას, ქართველი ხალხისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ

მიმართული ქმედებებისათვის და აღწერს რუსი სასულიერო თუ საერო მოხელეების მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს.

ნ. დურნოვომ საზოგადოებას თავი დაამახსოვრა იმით, რომ მხარს უჭერდა ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებასა და მისთვის წართმეული მატერიალური სიმდიდრის დაბრუნებას. ასევე, აღიარებდა ადგილობრივი მრევლისათვის წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე ჩატარების მიზანშეწონილობას.

ნ. დურნოვოს მოსაზრებებს უაღრესად პროგრესული დატვირთვა გააჩნდა. მან რუსეთის იმპერიის მოწინავე ფენებში საფუძველი დაუდო დადებით საზოგადოებრივ აზრს საქართველოს ეკლესიის შესახებ და შექმნა ბერკეტი რუსი და ქართველი ინტელექტუალების ერთობლივი ბრძოლისათვის. კერძოდ, ერთის – დაკარგული პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენის, ხოლო მეორის – ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების დაბრუნებისათვის.

გაზეთ „მწყემსის“ გამოცემის ქრონოლოგიასა და ხასიათზე, საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ისტორიკოს, პროფესორ **გ. მჭედლიძის პუბლიცისტური წერილი „ქართული პრესის საწყისები ქუთაისში“**, სადაც ავტორის მიერ გაანალიზებული საკითხი გვაძლევს საშუალებას, საერთო პერსპექტივით, შევაფასოთ სასულიერო ორგანოს საქმიანობის სპეციფიკა და მისი საზოგადოებრივი როლი.

რაც შეეხება ხსენებული ავტორის ნაშრომს **„ქუთაისი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში“**, ჩვენს სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში საჭირო მიმართულებები მოგვცა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების შეფასების გაკეთებისას.

სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ისტორიკოს პროფ. **გ. ვაჭრიძის ნაშრომი**, **„დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან“** (450 გვ., ქუთ., 2006), სადაც, საარქივო მასალებისა და პრობლემის გარშემო არსებული ლიტერატურის გამოყენებით, ძირეულად შესწავლილი და გაშუქებულია რუსეთის იმპერიის ერთიან ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში დასავლეთ საქართველოს

ძალდატანებითი ინტეგრაციის ცდის ხანგრძლივი და რთული პროცესი და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შედეგები.

ზემოთხსენებული ნაშრომიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რამდენიმე მონაკვეთმა, რომლებმაც გააფართოვა ჩვენი თვალსაწიერი და მოგვეცა საშუალება, გაგვემყარებინა მსჯელობა რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, რუსეთის საჯარო პოლიტიკისა და დასავლეთ საქართველოში მისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მიმართულებით. ასევე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემისა (XIX ს. 70-80-იანი წლები) და სახელმწიფო ხაზინის დავის შესახებ მიწათმფლობელებთან.

XIX საუკუნის დამდეგიდან XX საუკუნის პირველ ოცწლეულამდე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოს ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომი „ეროვნული საკითხები საქართველოში (1801-1921)“ (275 გვ., თბ., 1980). მონოგრაფიაში, ავტორს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აქვს გაშუქებული ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რომელსაც ხსენებულ ეპოქაში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ფორმით ჰქონდა გამოხატულება.

ჩვენთვის საინტერესო ცალკეული საკითხები ზემოხსენებულ მკვლევართა გარდა, მეცნიერულად შეისწავლეს: ნ. ბერძენიშვილმა, გ. გასვიანმა, ი. გოგებაშვილმა, ი. გრიშაშვილმა, პ. გუგუშვილმა, ზ. გურულმა, დ. გურეშიძემ, ნ. დურნოვომ, ი. ზურაბიშვილმა, მ. ვაჩნაძემ, ზ. ვაშაყმაძემ, გ. ვაჭრიძემ, პ. ვაჭრიძემ, ე. თაყაიშვილმა, ე. თორაძემ, ს. კაკაბაძემ, მ. კეზევაძემ, კ. კეკელიძემ, მ. კელენჯერიძემ, ფ. ლომაშვილმა, ს. მალლაკელიძემ, ზ. მიქაბერიძემ, ნ. ნიკოლაძემ, ნ. პაპუაშვილმა, ნ. ტყემელაშვილმა, ტ. ფუტყარაძემ, თ. ფხალაძემ, მ. ხუციშვილმა, ნ. ღამბაშიძემ, ი. ჯავახიშვილმა, შ. ჯაფარიძემ და სხვ.

საკვლევი თემის ირგვლივ ელექტრონული ვერსიების სახით სხვადასხვა ინტერნეტ-წყაროს საშუალებით მოვიძიეთ მასალები.

კვლევის პროცესში, მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ზოგიერთმა, პუბლიკაციურმა წერილმა, რომლებიც გაბნეული სახით იყო წარმოადგენილი

ჟუნალებში: „განთიადი“ (1996 წ.), „განათლება“ (1911 წ.) და „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ (2010 წ.) და გაზეთებში „ქართული გალობა“ (2006 წ.) და „დროება“ (1881), რომელთა საშუალებითაც მოგვეცა საშუალება, ამა თუ იმ თემის კვლევისას ჩვენი მსჯელობისათვის მიგვეცა მეტად არგუმენტირებული და დამაჯერებელი სახე, ხოლო დასკვნები ობიექტური და შედარების პრინციპზე დაფუძნებული ყოფილიყო.

ისტორიოგრაფია: ნაშრომში განხილულია გაზეთში დაბეჭდილი სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების ის ნაწილი, საიდანაც მკითხველისათვის ნათლად ჩანს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, გაზეთისათვის დამახასიათებელ მოვლენათა გაშუქების თავისებურებების გათვალისწინებით, გაზეთის რედაქტორისა და სხვა ავტორების ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით.

წინამდებარე ნაშრომის შესასწავლი პერიოდის საწყის თარიღად აღებული გვაქვს 1880-იანი წლების დასაწყისი და კვლევის არეალში ბოლო თარიღი დავუკავშირეთ გაზეთ „მწყემსის“ გამოცემის დასასრულს.

დროის თითქმის 30 წლიანი მონაკვეთი, რომელიც გაშუქებულია ჩვენი კვლევის საგნად ქცეულ პერიოდულ გამოცემაში, მოვლენებით საკმაოდ დატვირთული და შესასწავლად საინტერესო პერიოდია, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება ნაშრომის გაცნობის პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა მოიცავს აღწერილობით, შედარებით და მიზეზ-შედეგობრივ ასპექტებს. იგი არის თვისებრივი ხასიათისა და ძირითადად ემყარება შემთხვევის შესწავლის მეთოდს. თემის ფარგლებში პირველწყაროდან მიღებულ მასალასთან ერთად განხილული იქნება მეორეული კატეგორიის მასალა, რომელიც ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მეცნიერულ ნარკვევებსა და მემუარული ჟანრის ნაშრომებში ასახულ ნააზრევსა და შეხედულებებს.

დისერტაციის სამეცნიერო სიახლედ გვესახება ის ფაქტორი, რომ ჩვენ მიერ შესასწავლი პერიოდული გამოცემა ჯერ კიდევ მოკლებულია მკვლევართა

ყურადღებას, იმ თემატიკის შესწავლის მიმართულებით, რომელიც აღებულია ჩვენი კვლევის საგნად. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას, სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი საკითხების მთელი ნუსხა.

საკვლევი თემის სიახლე, ასევე მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის ახალი წყაროები პრესის მასალების სახით, რომლებიც კიდევ უფრო გააფართოებს თვალსაწიერს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის.

საგანგებოდ შევისწავლეთ გაზეთში აქტიურად გაშუქებული ქართველი ერის წინაშე არსებული მწვავე პრობლემების სრული სპექტრი, რომელიც სასულიერო ორგანოში წარმოდგენილია პუბლიცისტური წერილების სერიებისა და ცალკეული სტატიების სახით.

ვინაიდან გაზეთი წარმოადგენს პირველწყაროს, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი არა ერთი ფაქტისა თუ ამავე პერიოდში განვითარებული მოვლენების გაშუქების შესახებ, ვფიქრობთ, რომ ნაშრომი იქნება ინფორმაციულად დატვირთული იმ მკვლევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, რომელთა ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს, ჩვენ მიერ არაერთხელ დასახელებული ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, საერთო დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო თემის შერჩევის მიზანი და ამოცანები, გამოკვლეულია მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, განსაზღვრულია პრობლემა, მითითებულია გამოკვლევის ზოგადი ამოცანები.

ნაშრომის სტრუქტურა ასეთია:

შესავალი

თავი I. გაზეთ „მწყემსის“ გამოცემის ქრონოლოგია და საზოგადოებრივ - პუბლიცისტური ხასიათი

1.1. დავით დამბაშიძის პიროვნების როლი გაზეთ „მწყემსის“ საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ხასიათის შექმნა-განვითარების საქმეში

თავი II. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები გაზეთ „მწყემსში“

2.1. გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციები იმპერიულ-რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ ქართული ენის დასაცავად

2.2. კუთხურ-ენობრივი და რელიგიური სეპარატიზმის გაღვივების მიზნით იმპერიის მცდელობის შესახებ გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციებში

2.3. პ. ჩუდეცკის მკვლელობა, დ. ყიფიანის ტრაგიკული ისტორია და ე. მჭედლიძის აღსასრული გაზეთ „მწყემსში“

თავი III. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხები გაზეთ „მწყემსში“

3.1. გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციები წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ

3.2. საეკლესიო კრებების ქრონოლოგია და მათი იდეოლოგიური როლი ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურ ეტაპზე დასკვნა

ბიბლიოგრაფია

თავი I.

გაზეთ „მწყემსის“ გამოცემის ქრონოლოგია და საზოგადოებრივ- პუბლიცისტური ხასიათი

გაზეთი „მწყემსი“ წარმოადგენდა სასულიერო ორგანოს, რომელიც, დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით, 1883-1910 წლებში, უწყვეტ რეჟიმში იბეჭდებოდა, თვეში ორჯერ², 1885 წლამდე, ქართულ ენაზე და 1885 წლიდან, დამატების სახით დაბეჭდილ, რუსულენოვან „Пастырѣ“-თან ერთად, რომელიც თვეში ერთხელ გამოიცემოდა ხოლმე.

გაზეთის³ ოფიციალური მიზანი და დანიშნულება შემდეგნაირი იყო: შეეტყობინებინა სამღვდლო და საერო წოდებისათვის ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესი სასულიერო და „სახორციელო“ მმართველობისა; გაეგრძელებინა საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანული კეთილზნეობისა და სარწმუნოებისა, აეხსნა და განემარტა სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთათვის ზოგიერთი საეჭვო საკითხი, რომელთა ცოდნაც, რედაქციის სამოქმედო პროგრამის თანახმად, „მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათი მოვალეობის მტკიცედ ასრულებისათვის“ (რედაქცია, „განცხადებანი“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №6, გვ. 16).

რუსული გამოცემა „Пастырѣ“-ის (რომელიც 1903 წლამდე გამოდიოდა), მიზანი გარკვეულწილად, განსხვავებული იყო ქართულენოვანი ორგანოსგან. მას უნდა მიეწოდებინა „მწყემსში“ დაბეჭდილი სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების შინაარსი რუსულენოვანი მკითხველისათვის და ასევე, გაეცნო

² 1886 წელსა და 1887 წელს, არასრულად (მე-12 ნომრის ჩათვლით), იბეჭდებოდა თვეში სამჯერ.

³ სამეცნიერო წრეებსა და ელექტრონულ წყაროებში, „მწყემსს“ ერთნი მოიხსენიებენ, როგორც „ჟურნალი“, რაც, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს, იმ სპეციფიკის გააზრებით, რითაც „მწყემსი“ უფრო ახლოს დგას ჟურნალის მახასიათებლებთან ანუ მასში იბეჭდებოდა ანალიტიკური ტიპის პუბლიკაციური წერილები, განსხვავებით გაზეთისაგან, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება ახალი ამბების და ცნობების, განცხადებების მიწოდებით საზოგადოებისათვის, და მეორენი - როგორც „გაზეთი“. ვინაიდან აღნიშნული პერიოდული გამოცემის რედაქცია საკუთარ გამოცემას მოიხსენიებს, როგორც „გაზეთი“ და ეს კი მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ გასაგები მიზეზების გამო რედაქცია ვერ მიმართავდა თვითნებობას, ჩვენს საკვლევ პერიოდში (1883-1910 წწ.), უპირობოდ მიგვაჩნია, ქართული სასულიერო ორგანო თავადაც მოვიხსენიოთ როგორც „გაზეთი“.

რუსეთის სასულიერო და საერო წოდებისათვის საქართველო, როგორც იმპერიის შორეული კუთხე, მისი ხალხის ცხოვრება და მწერლობა (დ. ღამბაშიძე, „მომავალი 1885 წლიდან „მწყემის“ გამოცემაზე რუსული ყოველთვიური დამატებით“, გაზეთი „მწყემი“, 1884 წ., №23, გვ. 3).

როგორც პროფ. გ. მჭედლიძის მონოგრაფიაში „ქუთაისი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში“ ვკითხულობთ (მჭედლიძე 2011: 159): „თავიდან „მწყემი“ იბეჭდებოდა ქუთაისში, ზედგინიძისა და ფერაძის სტამბაში. 1886 წლის მეთოთხმეტე ნომრიდან აქვე, დ. ღამბაშიძისა და ს. ხელაძის სტამბაში (მაშინდელი კნიჟევისა და ნემეცის ქუჩაზე, საქალებო გიმნაზიის პირდაპირ, მამაჯანოვისა და ამირალოვის სახლებში. - თ.ჭ.). 1887 წლის მეშვიდე ნომრიდან გაზეთს აწერია, რომ იგი დაბეჭდილია ქუთაისში „მსწრაფმბეჭდავ სტამბაში რედქციისა“.⁴ (მჭედლიძე 1993: 68).

1883 წლის 16 მარტის ნომერში (11), გაზეთ „შრომის“ გამოქვეყნებულ წერილში „ადგილობრივი ამბები“, რედაქცია წერდა: „ჩვენ ნამდვილის წყაროდან შევიტყვეთ, რომ ბლალოჩინს დავით ღამბაშიძეს სასულიერო გამოცემა განუზრახავს და ამაზე კიდევ თხოვნა შეუტანია, საცა რიგია როგორც გვითხრეს, ამ გამოცემას მიზანი უნდა ჰქონდესო, რადგან ჩვენი ადგილობრივი გაზეთები „შრომა“ და „დროება“ ხშირად შემცდარსა და მავნებელ აზრებს ავრცელებენ საზოგადოებაში, საჭიროა, მიუდგომელი და ჭეშმარიტების დამცველი ორგანო სასულიერო წოდებასაც ჰქონდესო, გაზეთი „მწყემი“ კვირაში ორჯერ გამოვაო. რა მიმართულებისაც უნდა იყოს გაზეთი, ჩვენ მაინც, ამ თავითვე დიდის სიამოვნებით ვეგებებით მის გამოცემას... ეს კარგი ნიშანია. აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების სიმრავლეში ჩვენ საზოგადოების გონებითს და ზნეობითს განვითარებას ვხედავთ“ (მჭედლიძე გ., „ქართული პრესის საწყისები ქუთაისში“, ჟურნალი „განთიადი“, 1994 წ., № 9 (12), გვ. 139-140).

როგორც ჩანს, გაზეთის პერიოულად გამოცემას არაერთი დაბრკოლება ხვდა წილად, „ნივთიერი შეუძლებლობისა“ და ერთი პიროვნების სახით

⁴ მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ქუთაისში 4 სტამბა და 4 ლითოგრაფია არსებობდა. ეს სტამბები იყო: გ. ზედგინიძისა და პ. ფერაძისა, ი. კილაძისა და ი. ხელაძისა, გ. გამრეკლოვისა, დეკანოზ დ. ღამბაშიძის სწრაფმბეჭდავი. 1896-1898 წწ. მოქმედებდა ჟურნალ „მეურნეს“ სტამბაც.

წარმოდგენილი რედაქციის გამო (დამბაშიძე დ., „რედაქციისაგან მკითხველისადმი“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №21 გვ. 1).

გაზეთ „მწყემსის“ რედაქციამ მუშაობა არსებითად რთულ პერიოდში დაიწყო. ეს სირთულე გამოიხატებოდა არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცეულ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ზოგად სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში, არამედ, კონკრეტულად, ბეჭდვითი სიტყვის წინაშე მდგარ გამოწვევაში - „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ სახით (იხ. მჭედლიძე გ., „ქართული პრესის საწყისები ქუთაისში“, ჟურნალი „განთიადი“, 1994 წ., № 9(12), გვ. 142)⁵.

აღნიშნული კომიტეტი კავკასიაში ჯერ კიდევ 1849 წელს შეიქმნა თავად ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს და განათლების უწყებას ექვემდებარებოდა. 1865 წლის რეფორმის შემდეგ, რომელიც შეეხო მთლიანად რუსეთის იმპერიას, ხსენებული მიმართულებით, საცენზურო ორგანოების დაქვემდებარება მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამ დროიდან „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ პირდაპირი წესით დაემორჩილა მეფისნაცვალს. 1882 წელს, მას შემდეგ, რაც გაუქმდა მეფისნაცვლის ინსტიტუტი, კომიტეტი უშუალოდ დაექვემდებარა ბეჭდვითი საქმის სამმართველოს, რომელიც პეტერბურგში არსებობდა, იგი, თავის მხრივ, შედიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოების ნუსხაში. აქედან გამომდინარე, ყველა პერიოდული გამოცემის არსებობის საკითხი წყდებოდა იმპერიის ცენტრში, რაც თავისთავად უზარმაზარ ბარიერს წარმოადგენდა ნებისმიერი, პერიოდული გამოცემის დაარსებით დაინტერესებული პირისათვის, რომ პირველ რიგში, შეექმნა და შემდგომ, შეენარჩუნებინა იგი. ამისათვის პირველ ამოცანას წარმოადგენდა, ის ფაქტორი, რომ პერიოდული გამოცემების რედაქტორები ყოფილიყვნენ ისეთი პირები, რომლებიც პოლიტიკური მხრით ჩირქმოუცხებელნი იყვნენ და რომელთა შესახებ ჟანდარმერიას და მთავრობის სხვა ორგანოებს ჰქონდათ პოლიტიკურად კეთილსაიმედოობის ცნობები. საკმარისი იყო, რედაქტორს კომიტეტის შენიშვნა არ გაეტარებინა ისე, როგორც ეს კომიტეტს სურდა, რომ იგი სამუდამოდ

⁵ „მწყემსი“ საცენზურო კონტროლს ქუთაისში გადიოდა.

დამშვიდობებოდა რედაქტორობას და დიდი ალბათობით გამოცემაც შეწყვეტდა არსებობას (გიორგაძე 1928: 277-279). „დროებით წესებს“, რომლის ძალითაც მოქმედებდა „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“, 1885 წელს შეეწირა „ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „დროება“ (დამბაშიძე დ., „ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთის „დროების“ აღკრძალვის“ გამო“ გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №19, გვ. 1-2).

აცნობიერებდა რა გაზეთ „მწყემსი“-ს რედაქცია აღნიშნული ვითარების სირთულეს, დასძენდა: „იქნება, რასაკვირველია, „მწყემსი“ თავისი შინაარსით ყველა მკითხველთა არ აკმაყოფილებდა. ამ უკმაყოფილო პირთა ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ ეხლანდელ, ყველა ბეჭდვითი სიტყვისათვის, დამდგარ განსაკუთრებულ დროებაზე და მრავალს სხვადასხვა მიზეზებზე, რომელთა დასახელება აქ ჩვენ არ შეგვიძლია...“ (დამბაშიძე დ., „მომავალი 1885 წლიდან „მწყემსის“ გამოცემაზე რუსული ყოველთვიური დამატებით“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №23, გვ. 2).

გაზეთის ერთ-ერთ „თავშესაფარს“, რომელიც იცავდა მას დახურვის საფრთხისაგან გამოცემის პირველ ხუთწლეულში, წარმოადგენდა არსებული მდგომარეობა, რომ პერიოდული გამოცემა მოიაზრებოდა საქართველოს საეგზარქოსოს [სანახევროდ] ოფიციალურ ორგანოდ, დღიდან შექმნისა და ამასთან დაკავშირებით „მწყემსის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენს გამოცემას როგორც დღემდის, ისე შემდეგშიაც საექსარქოსოს ოფიციალურ ორგანოდ რჩება. მათმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარქოსმა პალლადიმ აღუთქვა თავის მხრით მწყემსთ-მთავრული დახმარება და შემწეობა“ (დამბაშიძე დ., „ახალი 1888 წელიწადი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №1, გვ. 2). რაც, მეორეს მხრივ, ჩვენი შეხედულებით, ვალდებულებებსაც უათკეცებდა სასულიერო ორგანოს იმპერიის წინაშე და მნიშვნელოვანწილად, კარნახობდა ტენდენციებს, რაზე დაყრდნობითაც უნდა ეხელმძღვანელა გაზეთის რედაქციას, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას.

ასეთი სახის გავლენა, აშკარად, შესამჩნევია გამომცემლობის არსებობის პირველ წლებში და ის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ღირებულება, რაც ჩვენის აზრით,

ჩვენგან დამოწმებულ პერიოდულ გამოცემას გააჩნია, დამსახურებაა იმ პერიოდის მოღვაწეობის (დაახლოებით, 1886 წლიდან. - თ.ჭ.), როდესაც გაზეთის რედაქცია, მთელი თავისი შეგნებით, ცდილობს დაუსხლტეს იმპერიისგან თავსმოხვეულ იდეოლოგიურ „მარწუხებს“ და ორგანო დატვირთოს მეტი ეროვნულ-ზნეობრივი ხასიათის მქონე პუბლიკაციით, ვიდრე - საეგზარქოსოს ოფიციალური დადგენილებით თუ სხვა მსგავსი ფორმისა და შინაარსის მასალებით.

ეს ფაქტი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენოდა იმპერიას დაქვემდებარებულ მოხელეებს და, როგორც ჩანს, ზეწოლა მათგან შესამჩნევად დიდი იყო, რადგან გაზეთის ერთ-ერთ ნომერში, ვკითხულობთ: „ყოველთვის სამძიმო იყო ჩვენი ტვირთი, მაგრამ ამ მიმდინარე წელში ერთი ორად სამძიმო შეიქმნა იგი. მკითხველებმა იციან, რომ ჩვენ მრავალ გზის მოგვეცა წინადადება ჩვენი ორგანო სრულ ოფიციალურ ორგანოდ გადაგვეკეთებია და მასთან გვთხოვდნენ, რომ ჩვენი გამოცემის პროგრამა შეგვეცვალა, მაგრამ სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო ჩვენ ვერ დავთანხმდით ამაზედ...“ (დამბაშიძე დ., „რედაქციისაგან“, გაზეთი „მწყემსი“, 1891 წ., №22, გვ. 1-3).

სასულიერო ორგანოს მიერ დაფიქსირებული, მტკიცე პოზიციისაგან უკმაყოფილო სასულიერო ხელსუფლება ჩანს, რომ სხვადასხვა საბაბითა და გზით, ცდილობდა ერთგვარი გაფრთხილება მიეცა გაზეთის რედაქციისათვის, რომ შეეწყვიტა „თავნებობა“. აღნიშნული „გაფრთხილება“ კი გამოიხატებოდა რამდენიმე პუბლიცისტის დახმარებით, გაზეთის სარედაქციო პოლიტიკის წინააღმდეგ საჯარო პროტესტის დაფიქსირებით, რაც ემსახურებოდა მკითხველი საზოგადოების პროვოცირებას.

„მწყემსის“ ინფორმაციით, „ილია ხონელის“⁶ ფსევდონიმით მოღვაწე ილია ბახტაძესა და „დუშიკოს“ ფსევდონიმის მქონე არტემ ახნაზაროვს⁷, კიდევ გამოუთქვამთ საჯაროდ აზრი: „Нов. Онов.“-ში აღმოჩნდა ვინმე ილია ხონელი და „ივერიაში“ ვინმე სომეხი „დუშიკო“. ერთი ამტკიცებდა, რომ თავის ოფიციალურ

⁶ ილია ხონელი (ფსევდონიმი) - ილია ბახტაძე - პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00003332/>.

⁷ დუშიკო (ფსევდონიმი)- არტემ ახნაზაროვი - მწერალი, ჟურნალისტი - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001684/>.

ნაწილში „მწყემსი“ სინოდის უკაზებს ბლომად არ ბეჭდავს, სემინარიაზე არაფერს ცნობას არ გვატყობინებს; პირველი ადგილი ამ გაზეთში თვითონ რედაქტორის ქადაგებას უკავიაო. „ივერია“-ში სომეხმა ღუშკომ, რომელიც რედაქტორის მაგივრად იგდებდა თავს და „ივერია“ თავზედ ჰქონდა წამოცმული, განიმეორა ესეები ქართულად და დასძინა: მე მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მოქმედების შეტყობა მწყურთან და „მწყემსში“ არაფერი არ იბეჭდება ამ საგანზედო და ამიტომ ეჩმიაძინის პატრიარხს სთხოვა შეჩვენება გამოცხადებინა გაზეთ „მწყემსისათვის“... მართალია, ზნეობრივი და გონებრივი შემწეობა ჩვენ მოგვაკლდა ზოგიერთ პირთაგან, მაგრამ მადლობა ღმერთს, მკითხველ საზოგადოებაში და ჩვენ ქართველ გადაუგვარებელ მოძმეებში კიდევ ვპოვებთ ძალას და თანაგრძნობას... მადლობა ღმერთს, ჩვენში მრავლად არიან, რომელნიც გრძნობენ, რომ დროგამომშვებით, გამოცემა არის პირველი განმალორძინებელი და განმავითარებელი ქართული ენისა და სწავლა-მეცნიერების გავრცელებისა...“ (დამბაშიძე დ., „რედაქციისაგან“, გაზეთი „მწყემსი“, 1891 წ., №22, გვ. 2). დეკანოზი აქვე დასძენდა, რომ ქართულ საზოგადოებაში შეიმჩნეოდა სასიამოვნო ტენდენცია „სიცოცხლის მატებისა“ და წერდა: „...ყველა, როგორც გარეშე მაყურებელი, ისე თითოეული შინაგანი წევრიც განმსჭვალული ვართ რაღაცა სიხარულის გრძნობით, ბრწყინვალე იმედით და ვიძახით: აწი ამ ხალხს აღარა უშავს-რა, მან გაიღვიძა, გამოფხიზლდა და დაადგა წინ-სვლის გზას“ (იქვე, 2-3).

1894 წლის ნოემბრის №22 ნომერში, ვკითხულობთ, გაზეთის რედაქტორის მრავალმნიშვნელოვან სიტყვებს, პუბლიცისტურ წერილში, რომელიც მომდევნო წლის მოლოდინებს უკავშირდება: „ვინც ჩვენ გამოცემას თვალი ადევნა, იმას კარგად ექმნება შეგნებული ჩვენი მიმართულება და მიზანი, ჩვენი გულითადი სურვილი და ნატვრა...“ (დამბაშიძე დ., რედაქციისაგან, გაზეთი „მწყემსი“, 1894 წ., №22, გვ. 1-2). ...სურვილი და ნატვრა, კი როგორც გაზეთის თითქმის ყველა ნომრიდან, ზოგჯერ ნართაულად და პოლიტიკური ნარატივის გათვალისწინებით, მხოლოდ მკითხველისათვის გასაგებად, ჟღერდებოდა, ზოგჯერ კი ღიად და დაუფარავად, ეროვნული სულისკვეთებით იყო აღსავსე და გულისხმობდა,

საქართველოს, ქართული ენის და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმყოფა-დობისათვის ბრძოლას, ზრუნვასა და თავგანწირვას.

1.1. დავით ღამბაშიძის პიროვნების როლი გაზეთ „მწყემსის“ საზოგადოებრივ-პუბლიცისტური პროფილის შექმნა-განვითარების საქმეში

გამომდინარე იქიდან, რომ გაზეთის მთელ რედაქციას წლების მანძილზე წარმოადგენდა თავად რედაქტორი - დეკანოზი დავით ღამბაშიძე (1841-1910 წწ.), ეს ფაქტორი, ჩვენი აზრით, დიდ როლს შეასრულებდა პერიოდული ორგანოს საგამომცემლო პოლიტიკის ღირებულებით დამოკიდებულებებზე, რაც აშკარად იკვეთება მკითხველის წინაშე, მით უმეტეს ზემოთხსენებული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გათვალისწინებით. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, გარკვეული ყურადღება მივაპყროთ გაზეთის მესვეურის ფსიქო-სოციალურ პორტრეტს.

ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველთა შორის, რომელთაც მხოლოდ ლაპარაკი უყვართ, ხოლო სიტყვას საქმედ არასოდეს აქცევენ: „დეკანოზი შესანიშნავს გამონაკლისს წარმოადგენდა. მისთვის მადლიანს ბუნებას დაუნათლებია დაუცხრომებელი უნარი, ძლიერი წადილი, აქტიური ნება... მის აზრსა და საქმეს შორის მანძილი თითქმის არ არსებობდა.“ (გოგებაშვილი 1990: 419).

დეკანოზ დავით ღამბაშიძის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ, არც თუ ვრცელი მასალა არსებობს, მაგრამ მოიძებნება რამდენიმე მკვლევარ-მეცნიერი, რომელთა ინტერესის სფეროშიც მოექცა ხსენებული სასულიერო პირის ცხოვრება და მოღვაწეობა. მათ შორისაა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ღამბაშიძე, რომლის სამეცნიერო სტატიაშიც - „ვახტანგ ღამბაშიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“ ვკითხულობთ, რომ „დიდ დეკანოზს“, როგორც მას თანამედროვეები ეძახდნენ, სემინარიის დასრულების შემდეგ დიდი სურვილი ჰქონია, სწავლა გაეგრძელებინა

უცხოეთში სამედიცინო მიმართულებით. თუმცა, გაბრიელ ეპისკოპოსის თხოვნის შემდეგ (რომელსაც უთქვამს დავითისათვის), რომ სჭირდებოდა განათლებული სასულიერო პირები, უარი ვერ შეუბედავს მწყემსმთავრისათვის და სასულიერო პირი გამხდარა.

მღვდლად კურთხევამდე დავით ღამბაშიძემ ცოლად შეირთო ალექსანდრე ყაზბეგის ახლო ნათესავი ოლღა (გურანდუხტ) ყაზბეგი. დაახლოებით 1867 წელს მათ თბილისში ჯვარი დაიწერეს და დამკვიდრდნენ ზესტაფონში (იმ დროინდელი ყვირილა)(იხ. ღამბაშიძე ნ., „ვახტანგ ღამბაშიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“, სამეცნიერო ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7), თბ., 2010 წ., გვ. 200).

ზემოხსენებულ ნაშრომში, საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ დეკანოზი დავით ღამბაშიძე, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, სულიერი მოძღვარი ყოფილა „საქართველოს ბულბულად წოდებული აკაკი წერეთლისა“, (იქვე, 203). რაც თავისთავად მეტყველებს სასულიერო პირის ეროვნულ ღირებულებებზე.

დეკანოზ დავით ღამბაშიძის სახელს უკავშირდება, „საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ საქმიანობა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ქართული საგალობლების შეკრებისა და ნოტებზე ჩაწერის საქმეში. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეპოქას, როდესაც ქართული ხალხური და სასულიერო კულტურა გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა. „დადგა პერიოდი, როდესაც, იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის მიერ იდევენობდა ეროვნული ნიშან-თვისებები. რის შედეგად ქართული საეკლესიო გალობაც ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ხელოვნურად შეამცირეს ეპარქიათა რიცხვი. გაუქმდა სამღვდელმთავრო გუნდები. სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში აიკრძალა ქართული გალობა“ (“სიტყვა თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა, წმიდის ნინას სობორსა შინა, ბოდბეს“, გაზეთი „ქართული გალობა“, 2006 წ., №2).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის 40-იან წლებში ძველი საეკლესიო საგალობლებით ოფიციალური ხელისუფლება დაინტერესდა. მაშინ ამან გამოაცოცხლა ატმოსფერო, მაგრამ იმერეთში მნიშვნელოვანი შედეგები

არ მოჰყოლია. მოვლენების უკეთ განვითარება გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული. 1864 წელს მისი ძალისხმევით ქუთაისის საკათედრო ტაძართან შეიქმნა ქართველ და რუს მაგალობელთა გუნდები (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 299).

1884 წელს ფილიმონ ქორიძემ დაამთავრა საგალობლების ჩაწერა აღმ. საქართველოში და გაბრიელს სთხოვა დახმარება დასავლეთ საქართველოს საგალობლების ჩაწერის საქმეში. გაბრიელმა იმავე წელს მოიწვია იმერეთის სამღვდელთა დეპუტატთა ყრილობა, რომელმაც დაარსა „ქართულ-იმერული საეკლესიო გალობის აღდგენის კომიტეტი“ ბლალოჩინ დავით ღამბაშიძის თავმჯდომარეობით (კეზევაძე 2006: 12).

ქ. ქუთაისში შექმნილ „ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელ კომიტეტს“ („კიდევ ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისა გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №20 გვ.1) „დიდი დეკანოზი“ წლების მანძილზე, ხელმძღვანელობდა და ცდილობდა, რომ „მწყემსის“ დახმარებით, სულ უფრო გაეზარდა საზოგადოების ცნობადობა ამ საკითხის ირგვლივ. 1887 წლის ნოემბერში გამოცემული გაზეთ „მწყემსის“ №23-ში ვკითხულობთ: „ყველამ კარგად იცის, რომ უკანასკნელ დრომდე ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის ცოდნა უფრო მეტად იყო გავრცელებული ჩვენს მონასტრებში, ეკლესიებსა და ხალხში, ვინემ დღეს არის. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს თანდათან იკლო ამ ცოდნამ. დღეს ძლიერ იშვიათად გაიგონებთ თქვენ კარგად განწყობილ გალობას ჩვენს ეკლესიებში და მონასტრებში. იქ, სადაც წინედ მშვენიერი ორპირი გალობა გიტკობდა გულსა, დღეს გესმის მარტო ერთი მედავითნის გალობა, რომლის ხმა ხშირად სრულებით არ უდგება მღვდლის ხმას.“ („ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების ისტორია“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., №23, გვ.1).

ამავე ნომერში, პუბლიკაციის ავტორი იხსენებდა ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის წამოწყების ისტორიას, როდესაც აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად შეკრებილთა სხდომებზე, აზრი ორად გაიყო: „ერთი ამტკიცებდა, რომ გალობის ნოტებზე გარდაღება საჭირო არ იყო. საკმაოდ რაცხდნენ ზეპირ გარდაცემით სწავლას. ამ აზრზე ადგა განსვენებული დეკანოზი ჩუდეცკი. მეორე ამტკიცებდა, რომ ნოტებზე გადაღებულ იყო მარტო ქართულ-კახური კილოს

გალობა. ზოგი, სამწუხაროდ, ისიც ქართველები, სრულებით საჭიროდ არ რაცხდნენ ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. იმედობდნენ, რომ წმინდა ნინას მეოხებით ქართული გალობა ისე დარჩება ჩვენ ხალხში ამის შემდეგაცო, როგორც აქამდის მოაღწიაო. ნინა, ქართველი განმანათლებელი, არ მოიძულებს ქართველებს და არ დაგვავიწყებინებს მათ ქართულ გალობასაო და სხვ... მსჯელობა და მოსაზრება მრავალი იყო, მაგრამ საქმე არა სჩანდა. სწორედ ამ დროს შემოიტანა განცხადება ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა, რომ ის იღებს თავის თავზე თავის ხარჯით ქართლური და კახური საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას, რაიცა შეეხება იმერულ კილოს გალობის ნოტებზე გადაღებასო, ბრძანებდა ყოვ. სამღვდელო განცხადებაში, ამაზე იზრუნოს თვით იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოებამო.“ („ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების ისტორია“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., №23, გვ. 2-3).

ხსენებული საკითხის ირგვლივ, ასევე ვკითხულობთ, გაზეთში „ქართული გალობა“: „კომიტეტში წლების მანძილზე გადაუწყვეტელად რჩებოდა ის საკითხი, თუ პირველ რიგში რომელი კუთხის საგალობლები უნდა დაეფიქსირებინათ – იმერულ-გურული თუ ქართლ-კახური. ამ საკითხზე დავამ დიდხანს გასტანა. ვიდრე ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ (ოქროპირიძე) არ შემოიტანა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფდა ქართლ-კახური კილოს საგალობლების ნოტებზე გადატანას. ხოლო, რაც შეეხება იმერულ-გურული კილოს საგალობლებს, მათზე ზრუნვას ეპისკოპოსი იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოებას სთავაზობდა. ეს შეთავაზება გაბრიელ ეპისკოპოსს 1884 წლის 17-18 ნოემბერის კრებაზე წარუდგენია სამღვდელოებისათვის. გაბრიელ ეპისკოპოსმა ბრძანა: „მოიფიქრეთ ამ საგანზედ კარგად და დანიშნეთ კომიტეტი, რომ ამ საქმეს წაუძღვეს და ყველასთვის საგულის-გულო საქმე აღსრულდეს“. (იხ. „სიტყვა თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა, წმიდის ნინას სობორსა შინა, ბოდბეს“, გაზეთი „ქართული გალობა“, №2, 2006 წ.).

1887 წლის აპრილში დაბეჭდილ „მწყემსის“ №13-ში, გაზეთის რედაქციამ გადმოიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია „ქართული გალობის შესახებ“, სადაც „ივერიის“ რედაქცია წერდა: „წარსულის თვის ცხრამეტს მარტს

ქართულ საეკლესიო გალობის აღმადგენელი კომიტეტის წევრებმა მამა დ. ღამბაშიძის თავს-მჯომარეობით კრება მოახდინეს და მოვისმინეთ ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან ნოტებზედ გადაღებული ქართული საეკლესიო გალობა, - მოვისმინეთ და აღტაცებაში მოვედით!“. რედაქცია აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის ქებას არ იშურებდა, მათ მიმართ, ვინც სამღვდელოება გამოიწვია და ჩართო ამ პროცესში: „ყოვლად უსამღვდელოესს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მასთან თვით სამღვდელოებას, რომელმაც ამ საქმისათვის ხარჯი არ დაიშურა; ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისინიც, რომელთაც მცირე რამ სასყიდლით მთელის ორის წლის განმავლობაში ყოველ-დღე დილას და საღამოს სამ-სამ-ოთ-ოთხ საათობით იშრომეს და არ დაზოგეს თავიანთი მხრივ არაფერი....ჩვენი არტისტი-მგალობელი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე და მასთან გადამცემელნი მგალობელნი ბ-ნი მთვარ-დიაკვანი რაჟდენ ხუნდაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე და ივლიანე წერეთელი!...“ (ღამბაშიძე დ., „ქართული გალობის შესახებ“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., № 13, გვ. 7).

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც კრებულში „ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე“ ვკითხულობთ, ფ. ქორიძემ, კომიტეტთან დადებული კონტრაქტით, აღნიშნული საქმიანობა, ანუ 2400 სიმღერის ჩაწერა ნოტებზე 2400 მანეთად ივალდებულა, რაც მან 2 წელიწადში დაამთავრა. უფრო რთული აღმოჩნდა ჩაწერილი საგალობლების დაბეჭდვა, თანხების უქონლობის გამო. სტამბის მეპატრონემ, მაქსიმე შარაძემ, ილ. ჭავჭავაძისა და ალ. ხახანაშვილის მეოხებით, ამ საქმის მოგვარება მხოლოდ 1891 წელს შეძლო. 1894 წელს მან აცნობა ეპისკოპოს გაბრიელს, რომ მზად იყო თავისი სახსრებით დაებეჭდა ფ. ქორიძის მიერ შეგროვებული საგალობლები. გაბრიელის ნებართვით, მას გადაეცა ფილიმონის მიერ ჩაწერილი 22 რვეული. მ. შარაძემ 1895 წელს დაიწყო „ქართული გალობის“ გამოცემა. გამოვიდა 4 წიგნი. 1899-1901 წლებში ორ წიგნად გამოქვეყნდა ფ. ქორიძის მიერ უფრო გვიან ჩაწერილი საგალობლები. ამით დაკარგვას გადაურჩა ასეულობით ქართული საგალობელი (რედ. მჭედლიძე 2013: 450).

გაზეთის რედაქცია „მწყემსის“ ყოველი წლის პირველ ნომერში აქვეყნებდა რედაქტორ - დ. ღამბაშიძის საავტორო რუბრიკას „ახალი წელიწადი“, სადაც იგი განიხილავდა წარსული წლის მიმდინარე მოვლენებს, როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური და კულტურული მიმართულებით და წერდა თავის მოლოდინებზე. ავტორი ცდილობდა რომ თითოეული ასეთი წერილი ყოფილიყო მორალურ-ზნეობრივი დარიგებებით დატვირთული და მკითხველის გონებასა და გულს მისწვდომოდა მისი შეგონებები კეთილზნეობრივი ცხოვრების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

საინტერესო მოსაზრებები ეკუთვნის დეკანოზ დ. ღამბაშიძეს. მოსახლეობის ზნეობისა და განათლების ამდღეობაზე საეკლესიო-სახალხო სასწავლებლების პოზიტიური გავლენის პარალელურად, ის აღიარებს თვით სწავლების პროცესში მისი მოცულობისა და ხარისხის ზრდის ნიშნით, სამღვდელოების, როგორც თავისთავად განათლებული წოდების ჩართვის მნიშვნელობას - მით უფრო, კვალიფიციურ პედაგოგთა კადრის ნაკლებობისას (გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 19, გვ.1).

დავით ღამბაშიძეს სწამდა, რომ სარწმუნოება ზნეობის საფუძველია. სარწმუნოება კი, თავის მხრივ, მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება გაძლიერდეს. ამიტომაც იგი პრინციპულად არ დაემორჩილა ზემდგომთა მოთხოვნას ყვირილი ‘ნორმალურ სკოლაში’ რუსულ ენაზე ესწავლებინა საღვთო სჯული და სამსახური დატოვა (გაზეთი „მწყემსი“, 1905 წ., №22, გვ. 7). „მკითხველო წარმოიდგინე რა მოხდებოდა, თუ მამა დავითის უნარი გამოეჩინა... ყველა ქართველს მღვდელს და უარი ეთქვა საღმრთო სჯულის სწავლებაზე მუნჯური ენით? მოხდებოდა ისა, რომ ახლა მთელს საქართველოში გამეფებული იქნებოდა ქართულს ენაზე სწავლება...“ – წერდა ღამბაშიძის მოქმედებით აღფრთოვანებული იაკობი (გოგებაშვილი 1990: 421).

ქართული ენისა და ეროვნულობის დასაცავად შეუპოვარი პოზიცია, რა თქმა უნდა, რეაგირების გარეშე არ რჩებოდა თვითმპყრობელობის ერთგულ მოხელეთა მხრიდან. სასწავლო ოლქოს მზრუნველმა კ. იანოვსკიმ უმაღლესი მთავრობის წინაშე ოფიციალურად აღძრა საკითხი ღამბაშიძის საქართველოდან გადასახლების

შესახებ. აგრეთვე ცნობილია, რომ „დანოსის“ საფუძველზე გაჩხრეკილ იქნა ქუთაისში სტამბა და ყვირილაში მისი სახლ-კარი (გაზეთი „თემი“, 1911 წ., №4).

ნიშანდობლივია, რომ დ. ღამბაშიძე საქართველოს გადარჩენას, მისი ღირსეული მომავლის საწინდარს, სწორედ ქართველი ხალხის სწავლა-განათლებლისადმი სიყვარულსა და სწრაფვაში ხედავდა (რედაქცია, „ახალი წელიწადი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №17, გვ. 1).

განათლების გავრცელებას, უპირველეს ყოვლისა, „მწყემსის“ რედაქტორი უკავშირებდა საერთო პროგრესს „ჩვენი ცხოვრების აკვარგიანობა მხარდამხარ მისდევს ჩვენი გონების ფარგალს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ფართოვდება და ბრწყინვალდება, იმდენად ჩვენი ცხოვრება უმჯობესდება, მრავალფეროვნდება და ვითარდება. გონებით დახშულ ხალხს ცხოვრებაც დახშული აქვს და იმდენად მარტივია, რომ ბევრად არ განირჩევა პირუტყვის ცხოვრებისაგან“ (ღამბაშიძე დ., გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №20, გვ. 6).

სასწავლებელში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა დახმარებოდა პირველ რიგში, ქართველ გლეხობას მეურნეობის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში. სწორედ ამ მიზნით, არსდებოდა სამრევლო სკოლებთან სამაგალითო მეურნეობები, სადაც ყმაწვილებს მებაღეობას, მებარემუშეობას თუ მებოსტნეობას ასწავლიდნენ: „დღემდის ჩვენთან არ იყო ისეთი სასწავლებელი, რომელიც მიანიჭებს კაცს რიგიან ცოდნას _ ადვილად იბატონოს ამ მშვენიერ ქვეყანაზე... ღმერთმა ადღერძელოს ის პირები, ვინც ამ საქმის განხორციელებას ხელი შეუწყო,“ (ღამბაშიძე დ., გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №13-14, გვ. 12) - აღნიშნა ქუთაისის სამეურნეო სკოლის კურთხევაზე დ. ღამბაშიძემ.

აღსანიშნავია, რომ დ. ღამბაშიძეს უბრალო გლეხობა განსაკუთრებულად უყვარდა და ამიტომ სამღვდელმსახურო და პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარესად სოფელი არჩია, მიუხედავად იმისა, რომ კათედრალურ ტაძარშიც სთავაზობდნენ დეკანოზობას. განუხრელად ზრუნავდა სამრევლო სკოლების დაარსებასა და ხალხში სწავლისადმი მისწრაფების გაძლიერებაზე. „უსწავლელობის ისე უნდა გეშინოდეთ, როგორც ველური ნადირის... კაცს თუ

ცოტაოდენი სწავლა აქვს, მტკაველი მიწაც რომ არ ჰქონდეს, შიმშილით არ მოკვდება.“ (გაზეთი „მწყემსი“, 1902 წ., №10, გვ. 3).

მოცემული პერიოდისათვის სამრევლო სკოლები თავისი ორგანიზაციითა და შინაარსით, განათლებაზე ხალხის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეტ საშუალებას იძლეოდა, ვიდრე - საერო სკოლები. ამ მხრივ, აღსანიშნავი იყო სამრევლო სკოლების ხელმისაწვდომობა მასისათვის; არსებული სასკოლო სისტემა ქართველი მოსახლეობის შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობების გამო ვერ უზრუნველყოფდა საყოველთაო განათლებას ჩვენში. და, რაც მთავარია, საქართველოში მოქმედი საეკლესიო სკოლები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ეროვნულ ხასიათს, რაც ყველაზე მიმზიდველი იყო ქართველი საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ფენისათვის. სამრევლო სასწავლებლების უპირატესობა, „სამინისტრო“ სკოლებთან შედარებით, იკვეთებოდა სწავლების სიიაფით, წარმოადგენდა ელემენტარული განათლების კერებს, და რაც არსებულ პირობებში უმთავრესი იყო - დაწყებითი განათლების ამოცანებისა და საშუალებების შესაბამისად მათში სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებდა. საქართველოს მთიან მხარეებში სამრევლო სკოლების ნაკლებობა, საერო სასწავლებელთა სიშორისა და სიძვირის გამო, მით უფრო მტკივნეულად იგრძნობოდა (გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №6, გვ. 10).

რაც შეეხება სასწავლო პროცესის ნაკლოვანებებს, მათი განსჯისას გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორი მოწინავე წერილებში: „ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდელოების საყურადღებოდ“ (დამბაშიძე დ., „ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდელოების საყურადღებოდ“, გაზეთი „მწყემსი“, 1894 წ., №11, გვ. 12), „მძიმე დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმართ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად“ (დამბაშიძე დ., „მძიმე დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმართ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №23-24, გვ. 1), „რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე“ (დ. დამბაშიძე, „რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., №9, გვ. 1) და სხვ. საგანგებოდ წარმოჩინდება დედა ენისა და ლიტერატურა-ისტორიის, აგრეთვე საღვთო წერილის, საეკლესიო გალობის

შეუცვლელი შემეცნებითი, სასწავლო-განმავითარებელი ფუნქცია და მისი უარყოფით მიღებული სავალალო შედეგები. წერილებში ასევე აღნიშნულია, რომ არსებული დამორგუნველი ვითარება საზოგადოებას და, მით უფრო სამღვდელეობას, მოდუნების, სირთულეებთან შეგუების უფლებას როდი ამღევდა... ეს კი ნიშნავდა ხალხის განათლების საქმეში მეტი მზრუნველობის, მტრული ძალებისადმი შეუპოვრობის გამოჩენას, პირადი წვლილის შეტანას ხალხში მამულიშვილური შეგნების გაზრდას ქართული ენისა და კულტურის დაცვის ურთულეს ასპარეზზე.

ამრიგად, დეკანოზ დავით ღამბაშიძის მოღვაწეობა უაღრესად ღირსეული და მრავალმხრივი იყო. იგი თანაბრად მოიცავდა ქართველი ხალხისათვის მტკივნეული ყველა საკითხის ირგვლივ შრომასა და ზრუნვას. სავსებით გადაუჭარბებელი იყო ჟურნალ „განათლების“ შეფასება: „(დ. ღამბაშიძე) ... იმდენად თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა ჩვენში თავისი მედგარი და შეუპოვარი ბრძოლით ჩვენი ერის სიწმინდის დაცვაში, ჭკუით, მოხერხებით და ხასიათის სიმტკიცით, რომ უნებლიეთ მოგაგონებს იმ წარჩინებულ წინაპართ, რომელთაც ცალ ხელში ჯვარი ეჭირათ, მეორეში ხმალი მტრის მოსაგერიებლად, ხოლო განსვენებულ დეკანოზის ხმალს მისი კალამი, გაბედული სიტყვა და გამჭრიახი გონება შეადგენდა, რასაც მოწინაარმდეგენი ანგარიშს უწევდნენ.“ (ბოცვაძე ლ., ჟურნალი „განათლება“, 1911 წ., №1).

დეკანოზ დ. ღამბაშიძის სასულიერო თუ პუბლიცისტური მოღვაწეობის, მისი შეხედულებებისა და ღირებულებების შესახებ ჩვენს ნაშრომში პირდაპირი თუ ირიბი გზით, აქტიურად გვექნება საუბარი მომდევნო თავებსა და პარაგრაფებშიც, მინიმუმ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაზეთის მთელ რედაქციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტობრივად იგი წარმოადგენდა და ჩვენი აზრით, მის პირად ღირებულებებზე გადიოდა გარკვეულწილად გაზეთის სარედაქციო პოლიტიკის მთავარი ხაზი.

მართალია, გაზეთი „მწყემსი“, ძირითადად, ბეჭდავდა სასულიერო ცხოვრებასთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან მასალას, მაგრამ რედაქციის ყურადღების არეალში ასევე მოხვდა საერთო საგანმანათლებლო პრობლემები,

პედაგოგიკის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. შუქდებოდა ეროვნული პრობლემატიკის შემცველი თემები, ისტორიული და ლიტერატურული პუბლიკაციები, საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ყოფის ამსახველი კორესპონდენციები სხვადასხვა რეგიონიდან (უმეტესად დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან, დაბებიდან და რაიონული ცენტრებიდან - (შორაპნიდან, არგვეთიდან, საჩხერიდან, აფხაზეთიდან, ლეჩხუმიდან, სიღნაღიდან, გორიდან და ა.შ.) და რუბრიკა „ახალი ამბები და შენიშვნები“, სადაც რედაქცია მკითხველს აწვდიდა ცნობებს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ან მთლიანად რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესების შესახებ, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ ამა თუ იმ ფაქტის შესახებაც.

გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია 1884-1885 წწ.-ში აქტიურად ბეჭდავდა მოსე ჯანაშვილის ნაშრომს „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“. „მწყემსის“ ნომრებში ხსენებულ ნაწარმოებს მონაკვეთებად ეჭირა ადგილი, თითქმის ერთი წლის განმავლობაში. შეუძლებელია, ყურადღება არ მიექცეს არა მარტო სათაურს, სადაც განსხვავებით სხვა ლიტერატურული და პერიოდული გამოცემებისაგან, ტერმინი „საქართველო“ ღიად იყო დაფიქსირებული, არამედ შინაარსსაც, რომელშიც საქართველოს ისტორიული როლი, სტატუსი და პოლიტიკური ვითარება, იმდენად კარგად ჰქონდა ავტორს შეზავებული ნაშრომის ძირითად თემატიკასთან, რომ მკითხველს უსათუოდ გაუღვიძებდა ეროვნულ გრძნობებს. ამდენად, სტატიებად დაყოფილი ნაწარმოები თავის თავში აერთიანებდა იმ რელიგიურ და ეროვნულ ფასეულობებს, რასაც ქართული საზოგადოება მოკლებული იყო. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მონაკვეთი, სადაც მ. ჯანაშვილი ქართული ეკლესიის მიერ 488 წელს ავტოკეფალიის მოპოვების ისტორიულ ექსკურსს სთავაზობს მკითხველს და ვახტანგ გორგასლის ღვაწლთა შორის ასახელებს ზემოაღნიშნულ მოვლენასაც: „საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან ჩვენი ეკლესია სრულიად განათავისუფლა გარეშე გავლენისა და დამოკიდებულებისაგან. აქამდის ჩვენ პატრიარქს ამწყესებდენ ანტიოქიიდან. ვახტანგის თხოვნით იმპერატორმა ლეონმა, ჩვენი მეფის სიმამარმა, უბრძანა ანტიოქიის პატრიარქს ეკურთხებინა საქართველოს პატრიარქად პეტრე. ამნაირად

მეფის სურვილისამებრ საქართველოს ეკლესია შეიქმნა დამოუკიდებელი და მიენიჭა მას „ავტოკეფალობა“ ანუ თვით-მმართველობა...“ (ჯანაშვილი მ., „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №12, გვ. 7-8).

მოსე ჯანაშვილი პუბლიკაციური წერილების VII ნაწილში, მკითხველს მოუთხოვს საქართველოში ბაგრატიონთა საგვარეულოს გამეფების შესახებ. იგი, ხაზს უსვამს სამეფო ოჯახის „ღვთისგან ხელდასმულობის“ ფაქტს, რითაც ერთის მხრივ, ქართულ საზოგადოებას ახსენებს თავის ისტორიულ წარსულს და როლს, მეორეს მხრივ, კი გარე - დამპყრობელ ძალას (რომლებმაც ჩამოაშორეს, საბოლოოდ, აღნიშნული საგვარეულო საქართველოს ხელისუფლებას). მიუთითებს, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო, რომელიც წარმოშობით ებრაელთა მეფის დავითის სახელს უკავშირდება, ღვთისგან მინიჭებული ამ ძალაუფლებით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად მრავალი საუკუნის განმავლობაში განაგებდა საქართველოს: „გამეფება საქართველოში ბაგრატიდებისა ანუ ბაგრატიონებისა მოჰხდა 568 წელს ქრისტესით. მათი გენეალოგია წარმომდინარეობს წინასწარმეტყველის დავითისაგან, მეფისა ურიასტანისა. პირველი ბაგრატიდი გურამი გონიერად შეუდგა ხალხის წარმართვას და ეკლესიის სამსახურს..“ (ჯანაშვილი მ., „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №14, გვ. 8-10).

უდიდესი პატივითა და სიამაყით აღწერს ავტორი დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდსაც და საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ფურცლის აღწერისას ცდილობს გაზეთის მოკლე მონაკვეთში მოათავსოს ყველა დიადი საქმე, რაც მეფე დავითის სახელს უკავშირდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში და ამასთანავე, ხაზს უსვამს როგორც დავითის პიროვნების, ასევე სრულიად საქართველოს, საერთაშორისო როლსა და მნიშვნელობას: „დავითმა მოახდინა საეკლესიო კრება და განწმინდა ქვეყანა მრავალთა ქრისტეს სჯულის წინააღმდეგთა სწავლათაგან... მეფე დავითი III მოღვაწეობდა ქართველთა ივერიის, იერუსალიმის, სინაის, კვიპრის მონასტრებისათვისაც, რომელთაც შესწირა დიდი განძეულობანი. წმ. სინაის მან აღაშენა წმ. ეკატერინეს

ტადარი და დასვა იქ მიტროპოლიტი. დავითმანვე აღაშენა ტრაპეზუნტს მონასტერი, დიდი ლავრა, სახელსა ზედა სუმელის მონასტერი, რომელსაცა შესწირა მამულნი და სხვა შემოსავალნი...“ (ჯანაშვილი მ., “ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №18, გვ. 9-10).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ტერმინები, რომლებიც ერთთავად პატრიოტულია შინაარსობრივი და ემოციური თვალსაზრისით, რაც დიდი ღირებულების მატარებელია, იმ ფონზე, რა პოლიტიკურ პირობებშიც ხდებოდა მათი მკითხველამდე მიტანა. მაგ.: „საქართველო“, ჩვენი სამშობლო“, ჩვენი ქვეყანა“, „ჩვენთა მეფეთა“ და ა.შ.

დასასრულ, მოსე ჯანაშვილი, ნაშრომის უკანასკნელ X-XI თავში, წერს საქართველოს ისტორიის იმ პერიოდზე, როდესაც „უკნასკნელმა მეფე გიორგი XIII-მ ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად საქართველო დაუთმო რუსეთის იმპერატორსა... ასრე მოიქცნენ მეფე იმერეთისა, მთავარნი: სამეგრელოსა, გურიისა, სვანეთისა და აფხაზეთისა. 1892 წ. რუსეთმა დაიპყრო საათაბაგოს ერთი ნაწილი, 1878 წელს კი მთელი საათაბაგო გარდა ლაზისტანისა... საქართველოს უკანასკნელ კათოლიკოსად იყო ანტონი II (ძე ერეკლე II-სა), რომლის დროს საქართველოს დაუბრუნდა საუნჯე - ნინოს ვაზის ჯვარი... 10 ივლისს, 1811 წელს ანტონი დათხოვნით იქმნა თვისი თანამდებობიდან (1795 წელს კიევში გარდაიცვალა უკანასკნელი კათოლიკოზი აბხაზ-იმერეთისა მაქსიმე II). უქაზისამებრ იმპარტორისა, კათოლიკოსობა გაუქმდა და მაგიერ ამისა, დაწესდა ექსარხოსობა.“ (ჯანაშვილი მ., “ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №24, გვ. 6-8).

გარდა ამისა, 1886 წ.-ს №16-№20 გაზეთ „მწყემსის“ ფურცლები დაეთმო რუბრიკას, სახელწოდებით „ჩვენი ზარმაც ვაჟ-ბატონების და ქალბატონების საყურადღებოდ“, სადაც ავტორი, არაერთი მიმართულებით, ამხელდა ქართველ ახალგაზრდობას, გამოხატავდა გულისწყრომასა და წუხილს იმის გამო, რომ მათი უმეტესობა მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭითა და დროის ფუჭად ფლანგვით იყვნენ დაკავებულნი. განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა ქალის როლს საზოგადოების განვითარებისათვის და წერდა: „უმეტესი ნაწილი ჩვენი

ახალ-მოზარდე ქალებისა უფრო უსაქმო და გაფანტულ ცხოვრებას ეძლევა. ესენი მთლად შეუპყრია თავის-თავის მოყვარეობას... ეს ახალ-გაზრდა ქალები სრულიად არა ჰფიქრობენ, რომ შემდეგისათვის ხეირიანი დედები (გაზეთი „მწყემსი“, 1895 წ., №3-4, გვ. 7)⁸ გახდნენ და თავიანთ შვილების გულში აღძრან და ააყვანონ სამშობლოს სიყვარული და ქრისტეს სწავლა...“ (დამბაშიძე დ., „ჩვენი ზარმაცი ვაჟ-ბატონების და ქალ-ბატონების საყურადღებოდ“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 18, გვ. 1).

ასეთივე დამოკიდებულებას ავლენდა დ. დამბაშიძე ქართველი ინტელიგენციის წინაშე, რომლებიც თავიანთი საქმიანობით, ავტორის რწმენით, უნდა ყოფილიყვნენ „გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი და იმედი ერისა“. თუმცა, მოლოდინს აშკარად არ პასუხობდა არსებული რეალობა (დამბაშიძე დ., „ჩვენი ზარმაცი ვაჟ-ბატონების და ქალ-ბატონების საყურადღებოდ“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 20, გვ. 1-3). სასულიერო ორგანოს თანამედროვე გამოცემებში, არცთუ მცირე იყო კრიტიკული წერილები „მწყემსში“ დაბეჭდილი სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების მიმართ, სხვადასხვა მიზეზის გამო, რასაც გაზეთის რედაქცია აქტიურად ეხმაურებოდა რუბრიკით „ქეშმარიტებისა აღდგინების გამო“ და, გარდა ამისა, თავადაც აკეთებდა მიმოხილვას საერო ჟურნალ-გაზეთების საქმიანობის შესახებ.

პროფესორი გ. მჭედლიძე თავის სამეცნიერო პუბლიკაციაში, რომელიც მიეძღვნა ქართული პრესის ისტორიულ საწყისებს ქუთაისში, განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიიჩნევს, პუბლიკაციებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო „ჯერ „მწყემსის“ ფურცლებზე დაბეჭდილი და შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემული, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, არაბ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღუპული არგვეთის მთავრების დავით და კონსტანტინე მხეიძეების და სხვა პიროვნებათა ვრცელი ბიოგრაფიები.“

⁸ აქვე, შეიძლება “მწყემსში” ყურადღება მიექცეს ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სიტყვებს, რომელშიც კარგად ჩანს, რომ დედას განუზომელი გავლენა აქვს მოზარდის გონებრივ, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ჩამოყალიბებაზე: „ყოველი ადამიანი პირველთა წელთა ცხოვრებისა თვისისათა განატარებს დედის ხელთა შინა, მისგან მიიღებს პირველთა ჰაზრთა, მიდრეკილებათა, მისგან ისწავლის პირველსა ლოცვასა. მასასადამე, ღირსება, თვისება და ბედნიერება ყოვლისა ადამიანისა დამყარებულ არს ქალსა ზედა“.

(მჭედლიძე გ., ქართული პრესის საწყისები ქუთაისში, ჟურნალი „განთიადი“, 1996 წ., №9 (12), გვ. 14).

სასულიერო ორგანოს 27 წლიანი საქმიანობის შეფასებისას, ისტორიკოს გ. მჭედლიძეს გამოაქვს დასკვნა, რომ: „ზოგადად თუ შევაფასებთ „მწყემსის“ მთელ მოღვაწეობას, იგი პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოდ უნდა ჩაითვალოს. რელიგიური დოგმატიკისა და საეკლესიო ცხოვრების შესახებ ინფორმაციებთან ერთად გაზეთი აქვეყნებდა საისტორიო მასალებს, აშუქებდა სწავლა-განათლების თანამედროვე მდგომარეობისა და პედაგოგიკის ისტორიას, გადმოსცემდა გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიებსა და არქიტექტურული ძეგლების აღწერილობებს“ (იქვე, 139).

ჩვენი კვლევაც ადასტურებს ზემოხსენებული მეცნიერის მოსაზრებას არსებულ საკითხთან დაკავშირებით და მიგვაჩნია, რომ სასულიერო ორგანო „მწყემსი“, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში, ბუნდოვან პოზიციას იჩენდა, ან სულაც, შესამჩნევ მიკერძოებულობას ავლენდა, მაინც არ კარგავდა ეროვნულ სულისკვეთებას არსებულ პირობებში და ცდილობდა, რომ ქართულ საზოგადოებაში აღედგინა მიძინებული ეროვნული თვითშეგნება, აემაღლებინა მათში ზნეობა და ჩაენერგა სარწმუნოებრივი სიმტკიცე.

თავი II. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები გაზეთ „მწყემსში“

XIX საუკუნე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ტევადი ასწლეულია, რაც გამოიხატა უამრავი კარდინალური ცვლილებით, როგორც პოლიტიკური ვექტორის ძირეული შებრუნებით, ასევე სოციალურ სფეროში მიმდინარე მრავალი გარდაქმნით, კულტურისა და აზროვნების სისტემის მიმართულებების სწრაფი ცვლით.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა განვითარდა, რომლებიც ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციისათვის: გაუქმდა ბატონყმობა და ქვეყნის სამთავროებად დაყოფა, მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა უძველესი ქართული მხარე - აჭარა, მიმდებარე კუთხეებითურთ და ა. შ. ამავდროულად, ქართველი ხალხის რეალობაში აღმავლობა დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როგორც საერო, ასევე სასულიერო საზოგადოების ფართომასშტაბიანი ჩართულობით. განსხვავებით ლოკალური ხასიათის სტიქიური წინააღმდეგობებისაგან, რომელთაც მანამდე ჰქონდათ ადგილი, იმპერიასთან აწ უკვე იდეოლოგიური დაპირისპირებით, ხდებოდა სათანადო შეგნების გაღვივება მოსახლეობაში, რასაც ქართველი საზოგადოება უნდა შეემზადებინა კოლონიური უღლის მოსამორებლად.

აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასამართლოს ენას რუსული წარმოადგენდა. არისტოკრატიულ ოჯახებშიც, ძირითადად, რუსულ და ფრანგულ ენებზე საუბრობდნენ. ქართული ენა კი ისმოდა მხოლოდ გლეხებისგან და უფლებაშეზღუდული ქართული ეკლესიის კედლებში, სადაც მხოლოდ გალობასა და მედავითნეობას სწავლობდნენ, ისიც ძველქართულად. თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში, მოსწავლეები ყველა საგანს რუსულ ენაზე ეუფლებოდნენ. იმპერია ყველანაირად ცდილობდა, რომ ყველაფერი ქართული დაეკნინებინა და სააზროვნო-საყოფაცხოვრებო სივრცე მთლიანად გაერუსებინა.

იმპერიული იდეოლოგია პოლიტიკურ-მმართველობით სფეროსთან ერთად ქართულ ეკლესიასა და სკოლასაც სრულად უქვემდებარებდა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების ამოცანას. სკოლების მძიმე ხვედრი მეტწილად გამოიხატებოდა უცხო ენაზე აგებულ სასწავლო პროცესში, რომელიც მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდა ქართველი ხალხის ბუნებრივ საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

ხსენებულ პოლიტიკას, ქართული ენის, როგორც ერის თვითმყოფადობისა და ერთიანობის სიმბოლოს წინააღმდეგ მიმართულს, რუსეთის იმპერიის მხრიდან წინ უძღოდა გააზრება იმ ფაქტისა, რომ მათ თავად შეუწყვეს ხელი ქართველი ერის კონსოლიდაციას, რა თქმა უნდა, თავისდაუნებურად, რამაც დაარწმუნა იმპერია იმ ქმედებების აუცილებლობაში, რასაც ქვემოთ, აქტიურად განვიხილავთ.

როგორც მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, თავის ნაშრომში „დედაღვთისშობელი - შემწე ქართულისა ენისა“, წერს XV-XVI სს.-ში ერთიანი ქართული თვითშემეცნების შერყევამ, კუთხური სამეფო-სამთავროების წარმოქმნის მიზეზით, თანდათანობით ჩამოაყალიბა და განამტკიცა ეთნიკურ-გეოგრაფიული ნიშან-თვისებები. აქედან გამომდინარე, საქართველოს გაერთიანება, ანუ კუთხური ერთეულების მოშლა, უთუოდ, ხელს შეუწყობდა ერთიანი, ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებას. მართლაც, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმებამ, ხელი შეუწყო, ერთიანი, ქართული, ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას, რაც თავისთავად პარადოქსული მოვლენაა.

ზემოაღნიშნულს, როგორც ა. ჯაფარიძე ასკვნის, ყურადღება მიაქცია თავისი დროის ცნობილმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა და რუსთა მმართველობა საქართველოში შემდეგნაირად შეაფასა: „თემნი ქართველთა სამეფოისა, დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი, გაუქმდნენ. მცხოვრები თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი, რაჭველნი და სამცხელნი შეიქმნენ [ერად] და იწოდნენ ქართველებად“. პლატონ იოსელიანი მიიჩნევდა, რომ „ქართველთა სამეფოსა“ და საერთოდ ქართველების უდიდესი მტერი იყო „კავკასიის მთის მცხოვრებნი“, ე.ი. ჩრდილოკავკასიელები მათი მაჰმადიანობის გამო. იმდენად ძლიერნი იყვნენ ისინი, რომ რუსეთის იმპერიას 70 წელზე მეტი

დასჭირდა მათ დასამარცხებლად“, რაც საქართველოს გაერთიანებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენდა. გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია, ამ პროცესებს, 1884 წლის ნოემბრის ნომერში (23) გამოეხმაურა, არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანის მიერ თქმული სიტყვებით: „საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე დაიწყო ომი რუსეთისა კავკასიის ურწმუნო და დაუგრომელ ხალხებთან, რომელიც გაგრძელდა მთელი სამოცი წელიწადი და გათავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეპყრობილ იქმნა უკანასკნელი მძვინვარე წინამძღოლი ლეკთა, და დამორჩილებულ აღმოსავლეთ-დასავლეთი კავკასია“ („სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., № 23, გვ. 14).

პლატონ იოსელიანს, როგორც რუსულენოვან მწერალს, შედარებით კარგად იცნობდნენ რუსეთის იმპერიაში. ამის გამო მათთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა ფაქტი, რომ საქართველოს კუთხურ-ადმინისტრაციული საზღვრების მორღვევითა და რუსეთის იმპერიაში გაერთიანებით, დაიწყო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი. ამან ძალზე შეაშფოთა რუსეთის საიმპერატორო კარი, XIX საუკუნის 50-70-იან წლებში და შედეგმაც არ დააყოვნა - ქართველთა წინააღმდეგ მათ სასწრაფოდ ჩართეს რუსული სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეები იმ მიზნით, რომ ჩამოეშორებინათ და არაქართველებად გამოეცხადებინათ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა (მაჰმადიანი მესხები, კათოლიკე და გრიგორიანი ქართველები, სვანები, მეგრელები, აფხაზები და ლაზები). აღმოსავლეთ საქართველოში კი უფრო შორსაც წავიდნენ და ფშავ-ხევსურები გაქრისტიანებულ ჩეჩნებად გამოაცხადეს. მთელი საიმპერიო ეკლესია, კერძოდ, „კავკასიაში ქარისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ჩართეს ქართლის მთიანეთში მცხოვრები ქართველების ოსებად გამოსაცხადებლად... რუსულმა განათლების სისტემამ და სამეცნიერო წრეებმა ზედიზედ გამოსცეს, ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებით შექმნილი, იდეოლოგიური დატვირთვის მქონე ნაშრომები, თეორიები, ლინგვისტურ-ენათმეცნიერული თხზულებანი კუთხური ანბანების დართვით, რათა ქართველი ერისათვის ჩამოეშორებინათ ძირძველი კუთხეები...“ (ჯაფარიძე 2008: 149-152).

2.1. გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციები იმპერიულ-რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ ქართული ენის დასაცავად

პირველი რიგის ამოცანას ქართველი საზოგადოებისათვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება წარმოადგენდა. 1880-იანი წლების დასაწყისიდან, რეაქციის გამლიერების ვითარებაში, სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა ქართველი ხალხის ინდივიდუალურობის განმაპირობებელი ნიშნების: მშობლიური ენის, კულტურისა და ეკლესიის განადგურების საშიშროება. ხელისუფლების გამთიშველი პოლიტიკა ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას.

საყურადღებოა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მაგალითიც 1880 წლის სასწავლო გეგმით. აქ სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე უნდა აგებულიყო. ვითარება მალე შეიცვალა. 1881 წლის ცირკულარის შესაბამისად, დირექცია იძულებული შეიქმნა პირველივე კლასიდან დაეწყო რუსულის გამლიერებული სწავლება, რა თქმა უნდა, მშობლიური ენისათვის განსაზღვრული გაკვეთილების ხარჯზე, ხოლო ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა ხელმძღვანელობის (ლევიტსკის) ბრძანებით, 1890 წლიდან საგიმნაზიო სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. სკოლებში რუსიფიკაციის გამლიერებას ასევე კარგად გამოხატავს თბილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის 1892-1893 წლების სასწავლო გეგმაც, რომლის მიხედვითაც, მოსამზადებელ კლასში ქართულ ენასა და მართლწერას ორ-ორი საათი ეთმობოდა; ხოლო რუსულ ენას ექვსი, მართლწერას - ოთხი. ამას ემატებოდა საეკლესიო-სლავური გალობის შესწავლისათვის ორი კვირეული საათი. სწავლების ზედა საფეხურზე ქართული ენისა და მართლწერის გაკვეთილების რაოდენობა თითო საათამდე მცირდებოდა; რუსული ენისა კი ხუთ (ნაცვლად ოთხისა), ხოლო მართლწერის ოთხ (ნაცვლად სამისა) კვირეულ საათამდე უნდა გაზრდილიყო. ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში შექმნილი ვითარება ქართველი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა - „სამშობლო ენის სწავლება ამ სასწავლებელში მხოლოდ მაშინ სწარმოებს, როცა შეგირდების მშობლები ამ საგნისათვის გაიღებენ ხოლმე განსაკუთრებულ ხარჯს წლიურად... როგორი დედები უნდა გამოვიდნენ ის

ქალები, რომელთაც თავისი სამშობლო ენა თითქმის სრულიად დავიწყებიათ, და ამის გამო ვერც სხვა უცხო ენა შეუთვისებიათ! რა კეთილი მოელის იმ ოჯახს, საცა ასე მოუშზადებელი ქალები დედობის უფლებას მოიხვეჭენ?“ (გაზეთი „მწყემსი“, 1893 წ., № 7, გვ. 9).

ქართული ენის სწავლება სახელმწიფო-საეკლესიო სკოლებში არ ხორციელდებოდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მეტიც, მისთვის არც საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვა იყო გათვალისწინებული. ცარიზმის ანტი-ეროვნული პოლიტიკა განსაკუთრებული სიმკაცრით ვლინდებოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისათვის ასეთ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების მხრიდან გაწეულ მხარდაჭერას. საგულისხმო იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა გადაწყვეტილება ქართული ენის მასწავლებლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. ხელისუფლება შეფარვით ცდილობდა ქართველი ერის დაქსაქსვას, საერთო ეროვნული კულტურის აღმოფხვრას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას თვითმპყრობელობა დამწერლობის ცალკეული სისტემების შექმნით ესწრაფოდა. სვან და მეგრელ მოსახლეობას ოფიციალურად აცხადებდა განსხვავებულ ეთნოსებად და მათთვის ანბანის შექმნას გადაუდებელ ამოცანად სახავდა.

აღნიშნული თემატიკის ირგვლივ უამრავი სტატია და პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა იმ დროის პერიოდულ გამოცემებში და მათ შორის, ძალზე აქტიურად მოღვაწეობდა გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია.

ერთ-ერთი პირველი, ეროვნული პრობლემა, რის შესახებაც „მწყემსის“ რედაქციამ გამოაქვეყნა სტატია, ეხებოდა 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარის თანახმად, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვას. ცირკულარი ეყრდნობოდა 1881 წლის სამოსწავლო გეგმას, რომლის მიხედვით რუსული ენის სწავლება უნდა მომხდარიყო ადგილობრივი ენის საშუალებით. ცირკულარი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში ადგილობრივი ენა არის მეგრული და რუსული ენის სწავლება ამ ენის საშუალებით უნდა მომხდარიყო.

სტატიაში მოტანილი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ცირკულარული „მოწერილობის“ თანახმად, რომელიც განკუთვნილი იყო ზუგდიდისა და სენაკის მაზრათა სახალხო სკოლების მასწავლებლებისადმი, ვკითხულობთ შემდეგს: „...კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოწერილობის (N 7992) ძალით, ვალდებულ ვყოფ ბზ. მასწავლებელთ სენაკის და ზუგდიდის სასოფლო საზოგადო სკოლებისას, რომ იმ სკოლებში, სადაც უმრავლესობა მოწაფეთა მეგრელთაგანნი არიან, რუსული ენის სწავლება აუცილებლად იწყებოდეს მეგრულის ენის სწავლების შემდეგ, ყოფილის მთავარმმართველის მიერ 1881 წ. იანვრის 11-ს დამტკიცებულის პლანის მტკიცე საფუძველსა ზედა. ამასთან მასწავლებელთ, რუსული ენის სწავლების დროს, უნდა იხელმძღვანელონ მეგრულის ენით, იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობდენ ამ ენით რუსულის ენის დაგვარად მეგრელებისათვის უცხო - ქართულის ენის სწავლების დროს და, რადგან მეგრულს ენაზე მწერლობა არ არსებობს, მასწავლებელთ რაიმეს ახსნას ან თარგმანის წერით გამოხატვის დროს შეუძლიათ იხელმძღვანელონ რუსულის ანბანით.“ (რედაქციის მიერ გამოქვეყნებული ცირკულარული მიწერილობა „იანვრის 11-ს 1885 წ., №62 - ბზ მასწავლებელთ სენაკის და ზუგდიდისა პირველ დაწყებით სასოფლო სკოლებისა“, გაზეთი „მწყემსი“. 1885 წ. №7, გვ. 9).

გაზეთის რედაქცია, მწუხარებას გამოთქვამდა ამ ანტიქართული მოვლენის მიმართ: „ჩვენ არასოდეს და არა ვისგან არ გაგვიგონია, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა ისეთი უცხო ენა იყოს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ... თავისთავად შეცდომაა ისიც, როდესაც მეგრულს ქართულისაგან განსხვავებულ ენობრივ ჯგუფად თვლიან, და ეს მარტო უცოდინრობით როდი მოსდის მავანს, არამედ სრულიად შეგნებულად წინასწარგანზრახულად ხდება ქართველთა ერთიანობის დარღვევა“ (იქვე, გვ. 10).

ქართული ენის დევნამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობას გვაცნობს: 1885 წლიდან აქ ქართული ენა აღარ ისწავლებოდა, რასაც ადმინისტრაცია სასწავლო ხარჯების მწვავე დეფიციტით ხსნიდა. შექმნილი

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ახალსენაკელთა ინიციატივას - გაეღოთ ქართული ენის სწავლების თანხა, ხელისუფლებამ მშობლიური ენის საათების ოფიციალური გაუქმებით უპასუხა (გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №13, გვ. 7).

ქართველი სამღვდლოება ხაზგასმით აღნიშნავდა საღმრთო სჯულის რუსულად სწავლების მიზანშეუწონლობას, მოსწავლეთათვის დაუძლეველი ხდებოდა საგნის ისედაც რთული შინაარსი, მასალის შეუგნებელი ზეპირობა კი აფერხებდა გონებრივ განვითარებას და, რაც მთავარია, „სადვთო სჯულს“ ზნეობრივ-ადმხრდებლობით მნიშვნელობას მთლიანად უკარგავდა (გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., №9, გვ. 1).

იგნორირებული იყო მშობლიური ლიტერატურის სწავლება. მეტიც, მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების საღამოებზეც კი ქართული გამოსვლები იშვიათობას წარმოადგენდა (გაზეთი „მწყემსი“, 1898 წ., №2, გვ. 10).

ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკა ამაზე შორსაც მიდიოდა - სასწავლებელთა ადმინისტრაცია მოსწავლეებს ქართულ ენაზე კერძო საუბარსაც უკრძალავდა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სხვადასხვა სახის დისციპლინარულ სასჯელს მიმართავდა. ხელისუფლების განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევდა ქართველ მღვდელ-პედაგოგთა (მოძღვართა) პატრიოტიზმი, ქართული ენის უფლებათა უკომპრომისო დაცვა, რაც პოლიტიკურ დანაშაულად ცხადდებოდა. ადგილობრივ ჩინოვნიკებს ასეთი გამოვლინებების დაუყოვნებელი აღმოფხვრა და „დამნაშავეთა“ დასჯა ევალებოდათ.

ქართული საზოგადოება დარწმუნდა, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის ეს მიმართულება უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა და მიზნად ისახავდა, ქართველი ერის კონსოლიდაციის შესაფერხებლად, ქართველთა ეთნიკურ ტომებად დაშლას. შეტევა მშობლიურ ენაზე კი სუკეთესო გზა იყო დასახული მიზნის განსახორციელებლად.

ქართული ენის წინააღმდეგ ლაშქრობაში უწმინდესი სინოდის წარმომადგენელთა გვერდით იყვნენ ადგილობრივი რუსიფიკატორები, მაგალითად, თბილისის ალექსანდროვის სახელობის საისტორიო ინსტიტუტის დირექტორი, ზახაროვი. მთელი მისი ჩინოვნიკური პრაქტიკა მიმართული იყო

ერთადერთ ორიენტირზე - ქართული ენისა და კულტურის დაუნდობელი დევნა, აღსაზრდელთა შორის ეროვნული ცნობიერების ამოძირკვა, მათი მორალური დეგრადირება... “ბ. ზახაროვი ახირებული შეხედულებისა იყო ქართულ ლიტერატურაზე და საზოგადოთ ქართულ ენაზე: მისი აზრით, ქართული ენა და ლიტერატურა მოკლებული იყო ყოველს მიმზიდველს ძალას თავისი სიღარიბისა და უმნიშვნელობის გამო. ისა სცდილობდა ყოველ შემთხვევაში დაემტკიცებინა თავის მოწაფეებისათვის, რომ ქართულ ლიტერატურაში არ შეიძლება იპოვებოდეს რომელიმე ნათელი ჰაზრი და რაიმე ჭეშმარიტება, რომელიც - კი ღირსი იყოს ყურადღებისა, ცნობისა და შესწავლისა...” (გაზეთი „დროება“, 1881 წ., №22, გვ. 5).

იმპერია თავისი განზრახვების რეალიზების საქმეში იმდენად შორს წავიდა, რომ 1886 წელს საქართველოში გამოგზავნილ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის კანდიდატი ა. გრენი, რომელიც ქართულ ენას სწავლობდა და დაევალა სასწრაფოდ შეედგინა რუსულ ანბანზე დაყრდნობით, მეგრული ანბანი, ბავშვთა საკითხავად პატარ-პატარა წერილები რუსულიდან მეგრულად ნათარგმნი, განსაკუთრებულად რუსული პედაგოგიკის ფუძემდებლად აღიარებული მეცნიერის კ. უშინსკის „Родное слово“-დან და „აღმოსავლეთის თათრებისათვის შედგენილი I საკითხავი წიგნიდან“, რამაც თავად მეგრულ საზოგადოებაში გამოიწვია დიდი ვნებათაღელვა. ამას გარდა, როგორც გ. გიორგაძის ნაშრომში ვკითხულობთ: „1888 წელს საქართველოს ეგზარქი პალლადის ინიციატივით შედგენილ იქნა აფხაზური და სვანური ანბანი, ამ ანბანით შედგენილ იქნა პირველდაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოები, გადათარგმნილ იქნა აფხაზურ და სვანურ ენებზე ლოცვები და ეს ნაწარმოები მან გაუგზავნა კავკასიის ოლქის მზრუნველს განსახილველად, მოსაწონებლად და დასადასტურებლად“ (გიორგაძე 1928: 263).

თვითმპყრობელური რეჟიმის განმტკიცებისა და ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკას ერთგულ სამსახურს უწევდა რუსი საეკლესიო მოღვაწეების დიდი უმრავლესობა. სწორედ უწმინდესმა სინოდმა დაამტკიცა 1890-იან წლებში დირექტივები, რომლებიც ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლისაგან

მოითხოვდა: 1. ქართველი პედაგოგების დაუყოვნებელ შეცვლას რუსი მასწავლებლებით; 2. ქართული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების სრულ ლიკვიდაციას; 3. ბიბლიოთეკებიდან ქართულენოვანი წიგნების გამოტანას (გაზეთი „მწყემსი“ 1894 წ., №1, გვ. 10).

აღნიშნული მოცემულობის საპირწონედ, კი ქართველი სამღვდელოების უკომპრომისო ეროვნულ პოზიციას გადმოგვცემს ცალკეული გეგმა-პროექტები, რომლებსაც გარკვეული საეკლესიო ჯგუფები ადგენდნენ. ერთ-ერთი ასეთი პროექტი - „ქართული ენის სწავლების შესახებ“ (გაზეთი „მწყემსი“ 1894 წ., №22, გვ. 2), ითვალისწინებდა საეკლესიო სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი სწავლების დაწყებით საფეხურზე, რელიგიური საგნების, აგრეთვე ლოცვისა და გალობის მშობლიურ ენაზე გადაცემას. უდაოდ პროგრესულია პროექტის ის მოთხოვნაც, რომ სასულიერო სასწავლებლებში, გარდა სპეციფიკური საგნებისა, სერიოზული ადგილი უნდა დათმობოდა ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის, აგრეთვე სხვა საერო დისციპლინების სწავლებას, რის შესაძლებლობასაც არ იძლეოდა იმჟამინდელი საეკლესიო სასწავლო სისტემა. უაღრესად საინტერესოა ენის პრობლემებისადმი ეპისკოპოს ლეონიდის მიდგომა. ის უპირველეს განმავითარებელ და აღმზრდელობით საშუალებად მშობლიურ ენას აცხადებს. მის ცოდნასა და სიყვარულს უკავშირებს ახალგაზრდობის შემეცნებითი ძალების სრულყოფას, მათი სულიერი, ზნეობრივი და შემეცნებითი სამყაროს გამდიდრება-განვითარებას. მშობლიური ენის ასეთი მრავალმხრივი დანიშნულების გაუთვალისწინებლობა და იგნორირება ეპისკოპოსის სწორი შენიშვნით, სათავეშივე აკნინებს სკოლის, საზოგადოდ განათლების მნიშვნელობას. ამასთან ეპისკოპოსი ლეონიდი ხაზგასმით მიუთითებს ჯანსაღი თაობების აღზრდის სხვა აუცილებელ საშუალებათა შესახებაც: ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის იდეურ-აღმზრდელობით დატვირთვაზე, სასწავლო მეთოდების სწორად შერჩევასა და გამოყენებაზე, რაც სასკოლო განათლების ხარისხის ამაღლების საუკეთესო გზაა. ამაში, წესისამებრ, საზოგადოებასთან ერთად ხელისუფლებაც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული.

სინამდვილეში კი სასწავლო ადმინისტრაცია სრულიად საპირისპირო კურსს ახორციელებდა, რაც, რა თქმა უნდა, მმართველობის დიდმპყრობელური ტენდენციებით იყო ნაკარნახევი.

დეკანოზი დ. ღამბაშიძეც ხალხში ქრისტიანული მორალის განმტკიცების პირობად მშობლიურ ენაზე დაფუძნებულ განათლებას აღიარებდა, მასვე უკავშირებდა ჩვენში ეპოქის შესატყვისი ცოდნის გავრცელების შესაძლებლობას. ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლის გამოძახილი იყო საეკლესიო პირთა ყრილობები, რომლებზეც ერთსულოვნად იღებდნენ სასწავლებლებში და ეკლესიებში მშობლიური ენის ფართოდ გამოყენების გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია 1882 წლის კრების დადგენილება: ბერძნულისა და ლათინურის სწავლებისათვის განკუთვნილი საათები დათმობოდა ქართულს. ანალოგიური პათოსით აღინიშნა გურია-სამეგრელოს საეკლესიო პირთა კრება (1885წ): დასაბუთებული პასუხი გაეცა ქართველი ხალხის დაქსაქსვისა და გადაგვარების მოსურნეებს, გამოამკარავდა მათი ზრახვების პროვოკაციულობა (გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №1, გვ. 3).

სწავლების ენის საკითხს ღრმა თეორიულ დონეზე განიხილავდა იმდროინდელი ქართული სასულიერო მწერლობა (პუბლიცისტიკა). წერილებში ძირითადი აქცენტი გადატანილია თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნათა საფუძველზე საგანმანათლებლო სისტემის ძირეული რეორგანიზაციის საჭიროებაზე. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მთავარ პირობად კი აღიარებულია მშობლიური ენის მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება (გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., №9, გვ. 1).

ხელისუფლების საგანმანათლებლო კურსის საპირისპიროდ, წიგნიერი ახალთაობის აღზრდის სურვილი სამღვდელოებისაგან პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სპეციალური ფონდების დაარსება. ამ პატრიოტულ წამოწყებას ფართო რეზონანსი ჰქონდა. სხვადასხვა კუთხის სამღვდელოებამ სოლიდური თანხების გაღება ითავა ადგილობრივ სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად (გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №1, გვ. 3). სერიოზულ გადაწყვეტილებას

წარმოადგენდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფონდის შექმნაც. ფონდის მიზანი იყო ქართულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და საკითხავი ლიტერატურის გამოცემა, ნიჭიერი ავტორებისა და მოწინავე პედაგოგების მატერიალური წახალისება (გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №5, გვ. 3).

ქართველი სამღვდლოება სწორად ჭვრეტდა სასულიერო სასწავლებლების ძირითად მოწოდებას - მიეცა მოზარდთათვის მყარი სულიერი საზრდო, ხელი შეეწყო მტკიცე ზნეობრივ პრინციპებზე მათი აღზრდისათვის, რეალობა კი, როგორც არაერთგზის აღინიშნა, სავსებით სხვაგვარ სურათს გვიხატავდა. არც თუ იშვიათად მოიკოჭლებდა დისციპლინა, პედაგოგებისა და შეგირდების ზნეობრივი პოზიციები... უნდა აღინიშნოს სხვა მანკიერი მხარეებიც: სწავლების მდარე ხარისხი, მოცემული ცოდნის სქემატურობა და ცხოვრებისეულ პრაქტიკაში მისი გამოუყენებლობა, საერთო ჯამში აღსაზრდელებში სასიცოცხლო-შემოქმედებითი უნარების დაქვეითება -შემდგომში, საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი აქტივობის თავიდანვე გამორიცხვის მიზნით... ამ და სასწავლო პროცესის სხვა ნაკლოვანებათა განსჯისას გაზეთ „მწყემსის“ მოწინავე წერილებში: „ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდლოების საყურადღებოდ“; (გაზეთი „მწყემსი“, 1894 წ., №11, გვ. 12) „მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა“; „მძიმე დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად“; (გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №23-24, გვ. 1) „რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე“... (გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., №9, გვ. 1)...

პროგრესულ საზოგადოებას კარგად ესმოდა ქართული მწიგნობრობის აღორძინების აუცილებლობა, მაგრამ რუსულ ენაზე სწავლების დაკანონება ქართულ სახელმძღვანელოებს უმეტეს შემთხვევაში ფუნქციას უკარგავდა, რაც ავტორთა მონდომებასაც აკნინებდა. ნიშანდობლივია „მწყემსის“ პუბლიცისტის შენიშვნა ვ. ყიფიანის „დაწყებითი ალგებრის“ თაობაზე - „ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემა, როდესაც ყოველი საგნის სწავლა რუსულად წარმოებს, ამ საგნისადმი დიდ სიყვარულს ამტკიცებს“. ავტორის ენთუზიაზმის წასახალისებლად იგი მოუწოდებს ნასწავლ საზოგადოებას - ამ წიგნითაც გაამდიდროს თავისი წიგნთსაცავი (გაზეთი „მწყემსი“, 1895 წ., №7, გვ. 4).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სახელმძღვანელოების შექმნა მშობლიური ენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად იქცა. გარდა პედაგოგიური დატვირთვისა, სასწავლო ლიტერატურას გარკვეული პოლიტიკური როლიც დაეკისრა. ყოველი ახალი ქართული სასწავლო წიგნი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეროვნული პოზიციების დასაცავად.

ქართველმა ინტელიგენციამ ღრმა პატრიოტული შეგნებიდან გამომდინარე, აქტიურად მიჰყო ხელი სასწავლო ლიტერატურის შედგენა-გამოცემას. XX საუკუნის დასაწყისში საშუალო სასწავლებლების ყველა კლასი უზრუნველყოფილი იქნა სათანადო საგნების სახელმძღვანელოებით. თუმცა მათი უმრავლესობა მხოლოდ ბიბლიოთეკებისათვის იყო რეკომენდირებული. სწავლება კი კვლავ უნიფიცირებული რუსული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა. „მწყემსის“ რედაქცია ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მიმდინარე პროცესს, სისტემატურად აუწყებდა საზოგადოებას ლიტერატურული სიახლეების შესახებ, მონაწილეობას ღებულობდა მათ განხილვა-შეფასებაში და ამ გზით ხელს უწყობდა სახელმძღვანელოების პოპულარიზაციას. თავად გზეთის რედაქტორი დ. ღამბაშიძე იყო ავტორი წიგნებისა – „დაწყებითი გაკვეთილები საღვთო სჯულის სწავლებაზე“, „საქართველოს ეკლესიის ისტორია“, აგრეთვე მეთოდური სახელმძღვანელოსი – „დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე“. (გაზეთი „მწყემსი“, 1909 წ., №7, გვ. 13)

რაც შეეხება, იაკობ გოგებაშვილის სასკოლო ლიტერატურას, მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული პედაგოგიური ღირსებებისა, ეროვნულ-აღმზრდელობითი ხასიათის გამო სისტემატურ დევნა-შევიწროვებას განიცდიდა.

აღსანიშნავია, რომ გაზეთ „მწყემსის“ რედაქციას, ქართველი სამღვდელოების ძირითადი ნაწილის ეროვნული პოზიციების შესაბამისად, გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიმართ მართებული, მხარდამჭერი პოზიცია ეკავა. მაგალითად, „მწყემსი“ უარყოფითად შეხვდა 90-იან წლებში ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის, ცნობილი რუსიფიკატორის ლევიცკის მცდელობას – სასწავლებლებში იაკობის „რუსკოე სლოვო“ საკუთარი სახელმძღვანელოთი შეეცვალა, რადგან ლევიცკის მუნჯურ („ბუნებრივ“) მეთოდზე აგებული წიგნი

სასწავლებლებიდან ქართული ენის სრულ განდევნას და ქართველი ბავშვების რუსულ აზროვნებაზე გადაყვანას მოასწავებდა. ამასთან, მის დასამკვიდრებლად ავტორი არ ერიდებოდა ძალაუფლების გამოყენებას და ხშირად სახალხო სკოლების მასწავლებლებზე აშკარა ზეწოლას ახდენდა. „ჯერ არ გაგვიგონია ამის გარდა, სადმე რომელიმე უფროსს თავისი გამოცემა სავალდებულოდ გაეხადოს თავისი ხელქვეითებისათვის“ - აღშფოთებით წერდა „მწყემსი“ (გაზეთი „მწყემსი“, 1895 წ., №7, გვ. 4) და მოითხოვდა ანგარიში გაეწიათ კავკასიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებისათვის, რომლის მიხედვითაც იაკობის „რუსკოე სლოვო“ ძირითად სახელმძღვანელოდ იყო აღიარებული, ხოლო ლევიცკის „კურსი“ მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საშუალებად.

ასეთივე პრინციპული პოზიცია ეკავა „მწყემსს“ იაკობის სხვა სახელმძღვანელოთა მიმართაც. „ეს წიგნი შეუცვლელ სასწავლო წიგნს წარმოადგენს ჩვენი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის“ - წერდა ჟურნალი „დედა ენის“ შესახებ (გაზეთი „მწყემსი“, 1892 წ., №21, გვ. 19).

აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირების პარალელურად „მწყემსი“ აყალიბებს არაერთ საგულისხმო პედაგოგიკურ-მეთოდურ მოთხოვნას სასწავლო ლიტერატურის მიმართ, რომელთა შესახებ წარმოდგენას გვიქმნის გაზეთში გამოქვეყნებული ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. უპირველეს მოთხოვნად გაზეთის რედაქცია ავტორებს სახელმძღვანელოებისათვის მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათის მინიჭებას უყენებდა, რაც უდავოდ რთული ეპოქის გამოძახილი იყო. ამ მოთხოვნის შესაბამისად, ნაკლები აღმზრდელობითი დატვირთვის მქონე საგნის სახელმძღვანელოც კი, პირდაპირი საგანმანათლებლო-განმავითარებელი მიზნის გარდა, ქართული ცნობიერების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. მაგ.: არითმეტიკა, ლ. ბოცვამის მოსაზრებით, ხალხის შექმნილი საუნჯეა, ყველა ხალხს და მათ შორის ქართველებსაც, უძველეს მიწათმოქმედ ერს, თავისი არითმეტიკა აქვს, და იგი არა თუ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, არამედ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები, ამოცანები, ზომა-წონის ერთეულები - სწორედ ადგილობრივი ცხოვრებიდან უნდა იქნეს აღებული. ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა შეასუსტებს საგნის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და

მოსწავლეთა დაინტერესებას, რაც პედაგოგიური მიზნების სრულ-ყოფილ განხორციელებას ხელს შეუშლის (გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №6, გვ. 3). პატრიოტულ-აღმზრდელითი ელემენტებით მდიდარი სასწავლო ლიტერატურა: „დაიცავს ეროვნულ თავისებურებებს უფრო მტკიცედ და საიმედოდ, ვინემ ათასი ზარბაზანი და ჭრელ-ჭრელ სიტყვების რახარუხი“ (გაზეთი „მწყემსი“, 1895 წ., №18, გვ. 6).

გარდა სახელმძღვანელოებისა, სასწავლო პროცესის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებლის ოსტატობაზე. „მწყემსი“ აღიარებს მეთოდური ლიტერატურის როლს მასწავლებლის მომზადებაში და მოუწოდებს ავტორებს თავიანთ სახელმძღვანელოებს მეთოდური რჩევა-დარიგებანი დაურთონ: „გვიდგენენ სახელმძღვანელოებს და გვავალებენ, რომ შეგნებითა და გონივრულად ვასწავლოთ მცირეწლოვან ყრმებსა, ფსალმუნთა განმარტებას კიდევ ჰპოვებს კაცი და ქართული სასწავლო სახელმძღვანელოებისას კი ვერასდროს ვერსად“ (გაზეთი „მწყემსი“, 1897 წ., №20, გვ. 4).

სამწუხაროდ, სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში მოღვაწე კადრის მხოლოდ მცირე ნაწილი აკმაყოფილებდა პროგრესული სამღვდელოების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების წარმოდგენას მასწავლებელზე. უმეტესობა კი თავისი გამოუცდელობით, გაუნათლებლობითა და გულგრილობით შორს იდგა მათ მიერ შექმნილი პედაგოგის იდეალური ხატისაგან. სასულიერო პრესაში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია მოწმობს, რომ ბევრი მასწავლებელი სუსტია, არა აქვს სათანადო მომზადება და პედაგოგიური უნარი. ამასთან, სკოლას ბევრი შემთხვევითი პიროვნება აფარებდა თავს, რომელნიც სასწავლო პროცესს იძულებით სამუშაოდ, დროებით ვალდებულებად თვლიდნენ, და თავიანთი უვიცობის, სიზარმაცის, ზნეობრივი დეგრადაციის დაფარვას უფროსების წინაშე მონური მორჩილებით ცდილობდნენ (გაზეთი „მწყემსი“, 1904 წ., №15-16, გვ. 12). მათი „მოღვაწეობა“ დამლუპველი იყო როგორც მოწაფეთათვის, ისე იმ დიდი ეროვნული, საქვეყნო საქმისათვის, რისთვისაც სკოლას და განათლებას უნდა ემსახურა.

შემდეგ წლებში საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურე, დეკანოზი ი. ვოსტორგოვი ამაყად ასკვნიდა, რომ „უსამართლობა და პედაგოგიური მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოა მეგრელების, სვანების, აფხაზებისა და ოსებისათვის სალიტერატურო ქართული ენის სწავლება. თუ ერს (ავტ. იგულისხმებთან, ზემოთ ჩამოთვლილნი) არა აქვს მწერლობა და ღვთისმსახურების ენა, უნდა ასწავლო რუსული და სლავიანური!“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“ 1905 წ., №8, გ. 6).

ზემოთხსენებული სიტყვები იყო დადასტურება იმ პოლიტიკისა, რომელსაც წლების მანძილზე ატარებდა რუსეთის იმპერია ქართველი ერის წინააღმდეგ. მიმდინარე მოვლენებით შემფოთებული ღვთისმსახური - გაზეთ „მწყემსი“-ს რედაქტორი, დაუფარავად წერდა: „დიდ იმპერიას მივეკედლეთ იმისათვის, რომ დაქსასული ერი ივერიისა შეკრებილიყო, გაერთიანებულიყო და შეერთებული ძალით შედგომოდა ეროვნულ საქმეს... მაგრამ [რუსები] იღწვიან, რათა ეს ერთობა არ ჩამოვარდეს ჩვენთა შორის. ჩვენი დაქსასვა, დანაწილება და დაქუცმაცება - აი, მათი ჯოჯოხეთური იდეალი“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №7, გვ. 6).

1889 წელს, მას შემდეგ, რაც თადა აშორდიათ, რუსული „ალფაბეტის“ საფუძველზე, შექმნა „მეგრული“ ანბანი და ზოგიერთმა „წმინდა მამა“-მ არ დაიზარა საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე თარგმნა (გიორგაძე 1928: 264), ამას მეგრელების მხრივ შეურიგებელი პროტესტი მოჰყვა. ახალ სენაკში გამართულმა სამღვდლოების ყრილობამ ცარისტული მთავრობის პოლიტიკა სამეგრელოსა და სვანეთში შეაფასა როგორც „მწვალებლობის შთანასახი, ყოველგვარი განდგომილების მიზეზი და საღმრთო წერილების ახირებული ახსნა და მისი უკუღმართი შეგნება“ (კეკელიძე 1980: 569).

გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია არაერთხელ გამოეხმაურა აღნიშნულ პროცესებს და ზოგჯერ აღშფოთებას, ზოგჯერ კი სარკასტულ დამოკიდებულებას გამოხატავდა ზემოთხსენებული მოვლენების მისამართით. 1889 წლის მაისში, გაზეთის რედაქტორმა დ. დამბაშიძემ დაბეჭდა პუბლიცისტური წერილი, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავდა სამეგრელოს განუყოფლობის მიზეზებსა და

აუცილებლობას, აყალიბებდა მყარ არგუმენტებს, ყოველგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად და გაოცებასაც გამოხატავდა „ერთბაშად წარმოშობილი პრობლემის“ გამო: „იმ დროსაც, როდესაც სამეგრელოს კუთხეს მართავდნენ მეგრელთა თავადნი და დიდებულნი და, როდესაც ყოველივე ღონისძიებას ხმარობდნენ განკერძოებისათვის სხვა ქართველთა ხალხის სამთავროთაგან, მაშინაც კი არავის არ გაუვლია მეგრულ ენაზე მწერლობის და ლიტერატურის დაარსება“ (დამბაშიძე დ., „მეგრულ ენაზე ლოცვების და წირვის წესის გადათარგმნისა გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 9 გვ. 4).

დ. დამბაშიძე სტატიათა სერიაში – „მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნის შესახებ“ მეგრული ანბანის შექმნას „ახირებულ მოსაზრებას“ უწოდებს, რაც თვით მაშინაც კი, როცა სამეგრელოს მთავრები განკერძოებას ცდილობდნენ არავის მოსვლია აზრად. რადგან ისტორიულად სამეგრელოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში სახელმწიფო და საღვთისმსახურო ენა სწორედ ქართული იყო. ხოლო მეგრული, „იგივე ქართული ენა, მხოლოდ ცოტა შეცვლილი, ... გადასხვაფერებული“ მხოლოდ და მხოლოდ შინაურულ-საოჯახო მნიშვნელობას ატარებდა. ამას მიუთითებს ეკლესია-მონასტრებზე შემორჩენილი ქართული წარწერები, ქართული სიგელ-გუჯრები, სამეგრელოს მღვდელმთავართა ქადაგებანი, სადაც ქართული ენა იშვიათი სიწმინდითაა დაცული და ისეთი უძველესი სიტყვებიც მოიპოვება, დღეს რომ ხმარებაში აღარაა“ (დამბაშიძე დ., „მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნის შესახებ“, გაზეთი „მწყემსი“, 1892 წ., № 20, გვ.1).

განსაკუთრებულ საშიშროებას დ. დამბაშიძე ღვთისმსახურების ენად მეგრულის დამკვიდრებაში ხედავდა, რასაც ისევე შეიძლებოდა საქართველოში მწვალებლობის გავრცელება მოჰყოლოდა, როგორც - რუსეთში, როცა საეკლესიო-სლავიანური ენის შეცვლა სცადეს. იგი იმპერიის მოხელეებთან ერთად, ზოგიერთ ქართველ „მოღვაწესაც“ ამხელდა ანტი-ეროვნულ საქმიანობაში და შეშფოთებული წერდა: „ზოგიერთ ჩვენს ნაცარქექია პედაგოგს ისე ადვილად მიაჩნიათ სხვადასხვა ცვლილებათა შემოღება წირვა-ლოცვისა და სარწმუნოების საქმეში, როგორც რომელიმე სახელმძღვანელო წიგნის ხმარებიდან გამორიცხვა და შემდეგ ორი-სამი

წლისა ხელახლადვე მიღება... შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ხალხისაგან მიღებული და ხმარებული ლოცვების შეცვლა, რადგან ამ შეცვლილ წირვა-ლოცვას ხალხი ვეღარ შეითვისებს.“ (ღამბაშიძე დ., გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №9, გვ. 3).

ზემოხსენებულ მძიმე ვითარებას, დიდი გულისტკივილით ეხმაურებოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და არ ფარავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმართ. ერთ-ერთი პირველთაგანის - იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების სერია - სახელწოდებით „ძირითადი უკუღმართობანი“, გამოქვეყნდა 1890 წელს „იაკობ სვიმონიძის“ (გრიშაშვილი 1987: 35) ფსევდონიმით, გაზეთ „მწყემსი“-ის ფურცლებზე, სადაც ავტორი საუბრობდა დედა-ენის როლზე და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში, ამ მიმართულებით, არსებულ მდგომარეობასთან შეპირისპირებით ცდილობდა დაენახვებინა ქართველი მკითხველისთვის მშობლიური ენის სასიცოცხლო მნიშვნელობა - „უდიდესი მნიშვნელობა დედა-ენისა და ეროვნებისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის კარგად შეიგნეს ევროპაში მეტადრე ბოლო ხანებში, და ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონის ძიებათ ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსების, ღვაწლისა, თავისებურებებისა“ („იაკობ სვიმონიძე“, ძირითადი უკუღმართობანი, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №20, გვ. 4).

გარდა ამისა, ქართველმა მამულიშვილმა, ხსენებული სტატიების საშუალებით, შეძლო იმპერიას თავისივე „იარაღით“ დაპირისპირებოდა, რაც გამოიხატა რუსი საზოგადო მოღვაწის - კ. უშინსკის მოსაზრებების ოსტატურად მოშველიებაში. ქართული ენის დაცვისას, ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ი. გოგებაშვილი, მშობლიური ენის მნიშვნელობაზე შემდეგნაირად იმოწმებს კ. უშინსკის სიტყვებს: „ხალხს რომ დედა ენა არ ვასწავლოთ, ეს იქნება აღკრძალვა ხალხის აზრის გახსნისა, მისი სულიერი ნიჭიერების განვითარებისა, ეს იქნება ხალხის დატოვება ბავშვურს მდგომარეობაში და თუ ხალხს თავისა ენის მაგივრად

სხვა ენის სწავლაზე დაავაყენებთ, თუნდაც ეს ახლო ნათესავიც იყოს მისი დედა ენისა, უფრო უარესს ვუზამთ: ჩვენ დავამახინჯებთ ბუნებითს, თავისებურს გონებითს გახსნასა. ჩვენ დავასახიჩრებთ მთელს მის სულიერს ბუნებას...ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო“ („იაკობ სვიმონიძე“, ძირითადი უკუღმართობანი, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №12, გვ. 8).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს, წერილის ავტორის - „იაკობ სვიმონიძის“ დამოკიდებულება თავად რუსული ენის მიმართ, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეული უნდა ყოფილიყო, ზოგი, პოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით. იგი განმარტავდა რუსული ენის მნიშვნელობას ქართველებისთვის და მიიჩნევდა ამავე ენის კულტურულ დანიშნულებას, რომლის დახმარებითაც ქართულ საზოგადოებას ევროპული განათლების მიღების შესაძლებლობა ეძლეოდა და ბოლოს, ხაზს უსვამდა ერთმორწმუნეობის ფაქტორს... თუმცა, ამავედროულად, ერთმნიშვნელოვნად იცავდა პოზიციას დედა ენის უპირატესი პოზიციის შესახებ („იაკობ სვიმონიძე“, ძირითადი უკუღმართობანი, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №19, გვ. 2) და დასტურად იშველიებდა ჟან ჟაკ რუსოს სიტყვებს, შემდეგი ციტირებით: „ყოველი დედა, თუ მას სურს ჯან-მრთელი შვილნი აღზარდოს, თავის წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს, საკუთარი ძუძუ აწოვოს მათ და მშობლიურის რძით გაზარდოს, ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავდა, რომ ბავშვებს დედის რძის მეტს ნურას მიაკარებთო, არამედ იმასა, რომ ბავშვის ბუნება ჯერ დედის რძით უნდა საზრდოობდეს, იზრდებოდეს და, როდესაც საკმარისად შემაგრდება, მაშინ სხვა საჭმლის ძლევა უნდა დაუწყონ. ყოველი სადი ჭკუის ადამიანი ასევე ფიქრობს დედა ენის შესახებაც. პირველსგონებითს საზრდოს დედა ენა უნდა აძლევდეს ბავშვს და, როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებასა, მაშინ დედა ენა უნდა გახდეს საძირკვლად, რომელზედაც აღშენდება უცხო ენათა გონივრული სწავლება“ (იქვე, გვ. 2).

ენის ფაქტორს იაკობ გოგებაშვილი ერის განვითარებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საქმეში უპირველეს როლს აკისრებდა. მისი აზრით, ზურგის შექცევა დედა-ენისათვის დიდი ზარალის მომტანია ხალხისათვის. მშობლიური ენის უარყოფა აქვეითებს და უკან სწევს მათ.

მაგალითად საქართველოს გარდა, თავად რუსეთის იმპერია მოჰყავს, სადაც მისი აზრით, ერმა განვითარების პროცესი მას შემდეგ აღიდგინა, რაც „მაღალ წოდებაში ფრანცუზულის თაყვანის-ცემა შემცირდა და ჯეროვანი ადგილი მიენიჭა რუსულის ენის და ცხოვრების შეთვისებას, როგორც ოჯახობაში, ისე სკოლაში“ (გოგებაშვილი ი., „ძირითადი უკუღმართობანი“, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №19, გვ. 4) შედეგად კი, რუსეთმა შვა ისეთი გენიალური მოღვაწეები, როგორებიცაა გრიბოედოვი, გოგოლი, ლერმონტოვი, ბელინსკი და ა.შ.

მშობლიური ენის უარყოფის სავალალო შედეგებს, „ი. სვიმონიძე“ ორი ქართული კუთხის მოსახლეობის მაგალითით ცდილობს - შავშეთ-ერუშეთელებისა და აჭარლების, რომელთაგან ენა და ეროვნება მხოლოდ აჭარლებმა შეინარჩუნეს მიუხედავად რელიგიური მრწამსის იძულებითი დათმობისა. შედეგად კი, როგორც ავტორი წერს: „ვისაც ბ-ნ ყაზბეგის მგზავრობა წაუკითხნია, ეცოდინება რომ ეხლა შავშეთ-ერუშეთელები ყოვლად საცოდავნი, მხდალნი და წყალ-წაღებულნი არიან... აჭარლებს კი დახეთ რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და კაცურის კაცობთ არიან შემკულნი“ (იქვე, გვ. 4-5).

„უდიდესი მნიშვნელობა დედა-ენისა და ეროვნებისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის კარგად შეიგნეს ევროპაში მეტადრე ბოლო ხანებში, და ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონის ძიებათ ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურებისა“ - წერს გოგებაშვილი (გოგებაშვილი ი. „ძირითადი უკუღმართობანი“, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., №20, გვ. 4).

აქვე აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1889 წელს, გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორმა, იმავე რუსულ ენასთან დაკავშირებით საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა და იგი ქართველი მოზარდებისათვის სწავლა-განათლების სათანადო ხარისხით მიღებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად დაასახელა: „ერთი ჩვენი სწავლა-განათლების შემაფერხებელი საგანი, რომელთანაც არავითარი ცდა და შრომა არ გადის. ეს იმიტომ, რომ ეს საგანი გარედან

მოგვდგომია კარზე და ჩვენგან დამოუკიდებლად არის. ჩვენ მოგახსენებთ რუსულს ენაზე. ეს დაბრკოლება უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის შესწავლა ძლიერ აფერხებს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების ჭკუა-გონების წრთვნას.“ (ლამბაშიძე დ., „რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე?“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №2, გვ. 6).

აღსანიშნავია, რომ გაზეთ «მწყემსის» რედაქციას ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიმართ მართებული, მხარდამჭერი პოზიცია ეკავა. მაგალითად, „მწყემსი“ უარყოფითად შეხვდა 1890-იან წლებში ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის, ცნობილი რუსიფიკატორის ლევიცკის მცდელობას – სასწავლებლებში გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ საკუთარი სახელმძღვანელოთი შეეცვალა, რადგან ლევიცკის მუნჯურ („ბუნებრივ“) მეთოდზე აგებული წიგნი სასწავლებლებიდან ქართული ენის სრულ განდევნას და ქართველი ბავშვების რუსულ აზროვნებაზე გადაყვანას მოასწავებდა. ამასთან, მის დასამკვიდრებლად ავტორი არ ერიდებოდა ძალაუფლების გამოყენებას და ხშირად სახალხო სკოლების მასწავლებლებზე აშკარა ზეწოლას ახდენდა. „ჯერ არ გაგვიგონია ამის გარდა, სადმე რომელიმე უფროსს თავისი გამოცემა სავალდებულოდ გაეხადოს თავისი ხელქვეითებისათვის“, – აღშფოთებით წერდა „მწყემსი“ (ლამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1895 წ., №7, გვ. 4) და მოითხოვდა ანგარიში გაეწიათ კავკასიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებისათვის, რომლის მიხედვითაც იაკობის „რუსკოე სლოვო“ ძირითად სახელმძღვანელოდ იყო აღიარებული, ხოლო ლევიცკის „კურსი“ – მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საშუალებად. ასეთივე პრინციპული პოზიცია ეკავა „მწყემსს“ იაკობის სხვა სახელმძღვანელოთა მიმართაც. „ეს წიგნი შეუცვლელ სასწავლო წიგნს წარმოადგენს ჩვენი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის“, – წერდა გაზეთი „დედა ენის“ შესახებ (გაზეთი „მწყემსი“, 1892 წ., №21, გვ. 19).

იაკობ გოგებაშვილი, რა თქმა უნდა არ იყო ერთადერთი მამულიშვილი, რომლის საქმიანობაც ემსახურებოდა საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებას. საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთში ჩვენი, როგორც ქართველების ფიზიკური გადარჩენის საქმეში, შეუცვლელი როლი აქვს

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის უპირველეს მიზანს ირგვლივ გამეფებული გაუნათლებლობის დამარცხება და რუსეთის იმპერიის პირობებში ქართველთათვის ქართული ცნობიერების დაბრუნება წარმოადგენდა.

აღნიშნული ორგანიზაცია, მრავალწლიანი მუშაობისა და მცდელობის შედეგად, 1879 წლის 15 მაისს დაარსდა იმავე წლის 31 მარტს დამტკიცებული საზოგადოების წესდების საფუძველზე. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე სამი წლის ვადით გახდა სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, დიმიტრი ყიფიანი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებას ხელი შეუწყო რუსეთის იმდროინდელი იმპერატორის - ალექსანდრე II-ის შედარებით ლიბერალურმა პოლიტიკამ. ფაქტობრივად, მოხდა ხელსაყრელი დროის შერჩევა და გამოყენება, როგორც ადგილობრივ დონეზე (საზოგადოების წესდების დამტკიცება უკავშირდება დიმიტრი სტაროსელსკის, ილია ჭავჭავაძის ქვისლს, რომელიც იმჟამად კავკასიის მეფინასცვალთან მუშაობდა და ქართულ კულტურულ დაწესებულებებს მფარველობას უწევდა), ასევე იმპერიულ მასშტაბებშიც.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ცდილობდა საქართველოს ყველა კუთხეში დაეარსებინა დაწესებულებები თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, პირველ რიგში კი აქედან დაეწინააღმდეგებინა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერება საზოგადოების მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს 1886 წლის ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც აღნიშნული საზოგადოების წევრი და ამ საზოგადოების რაჭა-ლეჩხუმის წარმომადგენელი ქაიხოსრო გელოვანი, ლიტერატურულ სადამოზე აცნობს ხალხს საზოგადოებრივი ორგანიზაციის არსს, დანიშნულებას და სამოქმედო გეგმას: „უმთავრესი საგანი და თვით არსებობითი დანიშნულება საზოგადოებისა ყოფილა ჩვენ ქართველებში წერა-კითხვის და დაწესებულებითი სწავლის მოფენა და გავრცელება... ხსნის თავიანთ საკუთარს ხარჯით სკოლებს იქ, სადაც ეს უკანასკნელნი არ არსებობენ. გზავნის სპეციალურად მომზადებულს მასწავლებლებს, უგზავნის სკოლას ყოველგვარ

მისთვის საჭირო ნივთიულობას და ამ ნაირად უხსნის ხალხს გზას სწავლის მიღებისას. იქ, სადაც არსებობენ სკოლები და ეჭირვებათ მატერიალურის მხრით დახმარება, ეხმარება, ხელს უწყობს, აწოდებს მისთვის საჭირო მასალას. ბეჭდავს ქართულს სახელმძღვანელოებს და ურიგებს სკოლებს. ადგენს ქართულ ბიბლიოთეკებს, მართავს საკითხავ სადამოებებს ქართულ ენაზე. ხსნის საკვირაო სკოლებს...“ (გელოვანი ქ., „სიტყვა“, გაზეთი „მწყემსი“, №2, 1886 წ., გვ. 6).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უწევდა ისეთ რთულ პერიოდში მოღვაწეობა, როდესაც რუსეთის იმპერიაში პოლიტიკურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, რაც გამოწვეული იყო ახალი იმპერატორის მოსვლით სახელწიფოს სათავეში და მის მიერ გატარებული რადიკალური ღონისძიებებით. თუ ალექსანდრე II-ის დროს შედარებით თავისუფლად მოქმედებდა და ახორციელებდა ნაკისრ ვალდებულებებს აღნიშნული ორგანიზაცია, 1882 წლიდან იგი უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, ვინაიდან ალექსანდრე III, მამისგან განსხვავებით, ღია და აქტიური მტრული პოლიტიკით გამოირჩეოდა არარუსი ერების მიმართ.

ქართველურ ენა-კილოთა სტატუსის შესახებ, როგორც მეცნიერი ტ. ფუტკარაძე წერს, - აქტიური დისკუსია დაიწყო საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ. კერძოდ, XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიის მოხელეები აცხადებდნენ, რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, სვანები. შესაბამისად, მათი მეტყველებები დამოუკიდებელი უმწერლობო ენებია. რუსი მოხელეები „ეხმარებოდნენ“ „უწიგნურ“ „ველურებს“ და ცალკეული დიალექტების მიხედვით ქმნიდნენ „სამწიგნობრო ენებს“ – „ახალ დედაენებს“ (ფუტკარაძე 2008: 33-34).

გაზეთ „მწყემსში“ 1891 წელს დაიბეჭდა სამეგრელოს მკვიდრის, ვ. მასხულიას წერილი, სადაც იგი სარკასტული დამოკიდებულებით აღწერდა მოვლენებს, რასაც სამეგრელოში ჰქონდა ადგილი და მნიშვნელოვანწილად ამაში ბრალს სდებდა თანამემამულეებს. ისევე, როგორც დავით ღამბაშიძე, ვ. მასხულიაც ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საუკუნეების მანძილზე, სამეფო-სამთავროს სახით არსებობის მიუხედავად, მეგრელი ხალხი არ დამდგარა ცდუნების წინაშე „მეგრულ ენაზე

წერა-კითხვა დაეარსებინათ საღმრთო წესების აღსასრულებლად და სალიტერატუროდ.“ (მასხულია ვ., „მეგრულ ენაზე წერა-კითხვის გამოგონების გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1891 წ., №1, გვ. 3-4)

„მწყემსის“ საშუალებით, ვ. მასხულიას წერილს გამოეხმაურა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ლოტბარი და პუბლიცისტი რაჟდენ ხუნდაძე (ფსევდონიმით „რაჟდენ საჯაოხელი“⁹), რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა „მამაო ჩვენო“-ს მეგრულად თარგმნის შესახებ და არა მარტო ეს ფაქტი, არამედ თავად თარგმანის ფორმაც იწვევდა მასში გაღიზიანებას, ვინაიდან, მისი აზრით, აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ქართულ ანალოგთან მეგრული „მამაო ჩვენო“ და მეტიც, ჰგავდა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დაცინცვას. დაფიქსირებული აზრის დასტურად, მან აღნიშნული ლოცვის ქართული და მეგრული ვარიანტები გამოაქვეყნა გაზეთში („რაჟდენ საჯაოხელი“, „მეგრულიდან ქართულად ნათარგმნი „მამაო ჩვენო“-ს გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1891 წ., №3, გვ. 9-10).

დეკანოზი დ. დამბაშიძე 1892 წელს აღწერდა მდგომარეობას, რომელმაც დაისადგურა სამეგრელოში, ზემოთ ნახსენები მოვლენების გამო: „ზოგიერთმა ვაჟ-ბატონმა განიზრახეს თავის გამოჩენა და შეუდგნენ ქართული ენიდგან მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთისმსახურების გადათარგმნას. მათ კიდევ სცადეს ზოგიერთ ეკლესიებში ღვთისმსახურების შესრულება მეგრულს ენაზე. მაგრამ მლოცველები წყვეა-კრულვით სტოვებდნენ ტაძრებს, გარბოდნენ ეკლესიებიდან და ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთისმსახურების მთარგმნელთ“ (დამბაშიძე დ., „მეგრულს ენაზე ლოცვების და ღვთისმსახურების გადათარგმნასა გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1892 წ., №22, გვ. 3).

1893 წელს, გაზეთ „მწყემსის“ რედაქციამ მიიღო კორესპონდენცია ახალ-სენაკიდან, რომელშიც სამეგრელოს მკვიდრი იუწყებოდა რომ საკითხმა, რომელიც, ერთ ხანს მივიწყებული ჩანდა და აღარავინ საუბრობდა მეგრული ანბანის შემუშავების აფსურდულ იდეაზე, რომელიც მისივე სიტყვებით

⁹ ელ.რესურსი: რაჟდენ ხუნდაძე - <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94>.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მკაცრად უარყო და განუდგა, ისევე იჩინა თავი. ავტორი წერდა, რომ ვინმე ლინგვისტი, აკრავდა განცხადებებს და სთხოვდა მოსახლეობას, მიეწოდებინათ მისთვის ანდაზები, გამოცანები, მოსწებული სიტყვები და სხვ., რათა მას აშორდიული ანბანით ეთარგმნა ზემოხსენებული და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებები, თუ მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ტრიფონ მეგრელი, „კორექონდენცია ახალ-სენაკიდან“, გაზ. „მწყემსი“, 1893 წ., №9, გვ. 6). კორექონდენციის ავტორი, მეტად განეცვიფრებინა ამ უტიფრობას, როცა მოსახლეობის პოზიცია ცალსახა და კატეგორიული იყო.

იმპერიის მცდელობას, ყოველივე ზემოაღნიშნულზე, მეგრელების მხრივ ისეთი შეურიგებელი პროტესტი მოჰყვა, რომ ეგზარქოსი იძულებული გახდა სპეციალური კომისია შეექმნა საკითხის გასარჩევად. ზემოხსენებულ კომისიას ხელმძღვანელობდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელმაც მოაწყო ეპარქიის სამღვდელოებისა და მრევლის გამოკითხვა და საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასეთი გარდაქმნა სამეგრელოს ეკლესიებში მიუღებელი იყო როგორც სამღვდელოებისათვის, ასევე ამ კუთხის მთელი მოსახლეობისათვის. (ჯაფარიძე 2008: 154).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ, დ. ყიფიანმა სამეგრელოს სკოლებში „ქართულის მაგივრად მეგრულის შემოღებასთან დაკავშირებით პროტესტის წერილი გაუგზავნა საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელშიც ნათქვამია: „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტურო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის, ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ. მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით“, რაც დ. ყიფიანს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა. საერთო მცდელობით მიღწეული იქნა შედეგი, რამაც სამეგრელო და არა ერთი სხვა კუთხე იხსნა თავსმოხვეული გაუგებრობისაგან.

რუსეთის იმპერიის მიზანი, რომ ქართული სკოლა იმპერიის მორჩილი ახალგაზრდობის აღზრდის კერად გადაექცია, გარკვეულწილად გამოუვიდა კიდევ. თვითმპყრობელობა მხარს უჭერდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კლერიკალურ საფუძველზე მოწყობას.

აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით გაძლიერდა 1880-იანი წლების რეაქციის დროს - „საერო განათლება ადგილს უთმობდა საეკლესიო განათლებას, სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა სამღვდელთა, რომელსაც უნდა აღეზარდა ახალგაზრდა მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის პრინციპის განუხრელი დაცვით, თვითმპყრობელობის იდეურ საფუძველზე კლერიკალიზმის ბუდეებიდან აპირებდა რეაქციული მთავრობა თვითმპყრობელობის საყრდენი ბურჟუების გამოჩეკვას“ (ხუციშვილი 1972: 20) - დასახული ამოცანის შესრულება ევალებოდა გარუსებულ სასულიერო სასწავლებლებს.

ცნობილი რუსი მოღვაწე, ნ. დურნოვო ქართულ სკოლებში გაბატონებულ ვითარებასთან დაკავშირებით წერდა: “ქართული სკოლა ბიუროკრატის ხელში ხალხის ინტერესების დევნის იარაღად გადაიქცა. ბიუროკრატია სკოლას, ამ წმინდა დაწესებულებას, თავს ახვევდა უმნიშვნელო და მეორეხარისხოვან მიზნებს, რომლებიც სულაც ვერ პასუხობდა საყოველთაო სახელმწიფოებრივ სერიოზულ ამოცანებს. რუსული სახელმწიფოს ერთიანობა და კეთილდღეობა ყოველ შემთხვევაში მაშინ უფროა უზრუნველყოფილი, როცა ქართველი ნამდვილ ქართველად დარჩება, რომელიც აზროვნებს და ლაპარაკობს თავის მშობლიურ ენაზე და არა იმ შემთხვევაში, როცა მასში არავითარ კეთილ საწყისებს არ განავითარებენ და მხოლოდ რუსულ ანბანს შეასწავლიან, იმასაც გოგოლის პეტრუშკას დონეზე” (დურნოვო 1907)¹⁰.

საეკლესიო თუ საერო განათლების უმთავრესი პოლიტიკური იდეა მდგომარეობდა პოლიტიკურ მიზანში - ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა „უქვეშევრდომილესი გრძნობებით“, ამიტომაც ყოველ სასწავლებელში შეიზღუდა ან სულაც, გაუქმდა ქართულ ენაზე სწავლა და მეტიც, გარკვეული პერიოდი, სწავლება “მუნჯური” მეთოდებით კი წარიმართებოდა, რასაც დიდი შემართებით დაუპირისპირდნენ ქართული ინტელიგენცია და სასულიერო მოღვაწეები. ერთ ასეთ მონაკვეთს იხსენებს „მწყემსის“ რედაქტორი თავის პუბლიცისტურ წერილში „მწარე ფიქრები“: „...გავბედეთ და თამამად გამოვსთქვით აზრი და შეხედულება

¹⁰ <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=91&id=2211>.

ერთი საგნის შესახებ, დავამტკიცეთ ჩვენის მხრით (თუმცა დამტკიცება სრულებით საჭირო არ იყო), რომ საღმრთო სჯული ექვსი და შვიდი წლის ბავშვებს მათ გასაგებ დედა-ენაზე უნდა ასწავლონ და არა მუნჯურად, მათთვის უცხო ენაზე-თქო... მე იმედი მქონდა, რომ მაღლობას გამომიცხადებდნენ, დამაჯილდოვებდნენ ამისთანა სიმართლის თქმისთვის, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც დამიბარეს და შემახურეს: „როგორ გაბედე მაგის თქმა? ამით შენ უარს ყოფ მთავრობის განკარგულებასო, შენ წინააღმდეგი ხარ კეისრისა, შენ ასეთი და ისეთი ხარო“. მაღლობა ღმერთს, რომ ჩემი ნამსახურებითი სია ვერ იგდეს ხელში, თორემ, გაქვს ღვთის წყალობა, იმას გააპატიოსნებდნენ, - „...მეორეჯერ გაბედულად დაუმტკიცე საზოგადოებას, თუ რა სიყვარულით ჰკიდებს ხელს ჩვენი ხალხი რუსულის ენის შესწავლას, რა თავგამეტებით ებრძვის სხვა-და-სხვა დაბრკოლებას, რომ როგორმე რუსული ენა შეისწავლოს და თავისუფლად ლაპარაკობდეს მასზე, დაუმტკიცე ყველას, რომ ქართველები კარგა ბლომად ქრთამსაც ხარჯავენ, რომ თავიანთი შვილები მიაღებინონ რუსის სკოლებში“-ო. ერთი სიტყვით, ცხადად და აშკარად დაუმტკიცეთ მართებლობას და საზოგადოებას ჩვენი ხალხის კეთილი გრძნობა, ერთგულება და მეცადინეობა რუსული ენის შესწავლის შესახებ...“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 23-24, გვ. 11).

თვითმპყრობელური რეჟიმი და ოფიციალური იდეოლოგიის ტყვეობაში მყოფი რუსი საზოგადოების ნაწილი დაპყრობილი ხალხების რუსიფიკაციის დაჩქარების მიზნით, მათი ეროვნულ-კულტურული თავისებურებების, ლიტერატურული ენისა და ყოფის სპეციფიკურ ნიშანთა გაქრობის გარდაუვალობას ასაბუთებდა, რითაც პრინციპულად ემიჯნებოდა პროგრესულ დემოკრატიულ იდეოლოგიას. აგრესიული იდეოლოგიის სამჭედლოს წარმოადგენდა ცენტრალური პერიოდული გამოცემების უმეტესი ნაწილი. მათ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები უადრესად წამქეზებლურ გავლენას ახდენდა ადგილობრივი, რუსიფიკატორული აპარატის საქმიანობაზე, იმით, რომ ერთგვარ ხელშემწყობ ფონს ქმნიდა მათი აგრესიული საქმიანობის მასშტაბების გაზრდისათვის.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში და XX საუკუნის დასაწყისში მეფის მთავრობამ საქართველოში გააძლიერა რეაქციული ასიმილაციური პოლიტიკა, რაც გამოიხატა არა მარტო ქართული ენის გაძლიერებულ დევნაში, არამედ მთავრობის მცდელობაში, დაესუსტებინა, შეემცილებინა ქართული ენის გამოყენების ასპარეზი და გაეადვილებინა მისი გადაგვარება. მეფის მოხელეებმა განიზრახეს მეგრელთა გათიშვა ქართული ეროვნული, ერთიანი, ორგანიზმიდან, თითქოს ისინი არაქართულ, სხვა წარმოშობის ხალხს წარმოადგენდნენ და შეეცადნენ გაემეცებინათ ქართული ენა სკოლებიდან.

2.2. კუთხურ-ენობრივი და რელიგიური სეპარატიზმის გაღვივების მიზნით იმპერიის მცდელობის შესახებ გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციებში

მეფის ხელისუფლება, დროებით მარცხს (იძულებით უკან დახევას), რა თქმა უნდა, არ შერიგებია და მის მიერ არჩეულ იქნა ახალი გზა ურჩი ქვეშევრდომის დასამორჩილებლად, „გათიშე და იბატონეს“-ს მრავალნაგადი პრინციპის გამოყენებით. სამიზნე ჯგუფებს კი ამიერიდან არა მარტო კუთხურ-ენობრივი თვალსაზრისით განსხვავებული მოსახლეობა, არამედ რელიგიური უმცირესობები და ზოგადად, საქართველოს არამართლმადიდებელი მაცხოვრებელნი წარმოდგენდნენ.

რუსეთის იმპერია იდეოლოგიური წნეხით ცდილობდა ქართველი ერისათვის ჩამოეშორებინა ქართველი მაჰმადიანები, კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანელები და ამას ახერხებდნენ არაეთნიკური, ფსევდოსარწმუნოებრივი მეთოდის დახმარებით, კერძოდ, იმისი მტკიცებით, თითქოს ქართველები, ისტორიულად, მხოლოდ მართლმადიდებლები იყვნენ და ისინი, ან მათი დიდი ნაწილი მაინც, არასოდეს იღებდა სხვა სარწმუნოებრივ აღმსარებლობას. აღნიშნული ლოგიკის გათვალისწინებით, ქართველი გრიგორიანელები იყვნენ არა

ეთნიკურად ქართველები, არამედ „გაქართველებული სომხები“. ასევე, ქართველი კათოლიკეები და მაჰმადიანები იყვნენ ეთნიკური სომხები და თურქები (თათრები), რომლებიც გარემოებების გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში „გაქართველებულან“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 23-24, გვ. 11).

ასეთი სახის პოლიტიკას ქართველი საზოგადოება და მით უმეტეს, სასულიერო პირები მშვიდად არ შეხვედრიან და კიდევ იჩინა თავი უკმაყოფილების ტალღამ. დეკანოზი დ. დამბაშიძე, გაზეთ „მწყემსში“ წერდა: „XIX საუკუნეში რუსის ყოვლისა შემძლე ბიუროკრატია მოჭორა ტყუილი, შეჰქმნა ზღაპარი და მოჰფინა ვრცელს იმპერიას „ქართველები ისე მტკიცე მართ-მადიდებლები იყვნენ, რომ შეუძლებელია მათ შორის სხვა აღსარების მქონებული მოიპოვებოდეს ვინმეო, ამის გამო, ვინც მართლ-მადიდებლობას არ აღიარებს. ქართველი არ არისო!!! სამწუხარო შედეგი მოჰყვა ამ ტყუილს და სიცრუის გუდას. აუარებელი ქართველი მაჰმადიანი ჩამოგვაცილეს, უარი უთხრეს ქართველობაზე ქართველ-კათოლიკეთ და, როგორც ამბობენ, არა ჰსურთ შეიწყნარონ ქართველი გრიგორიანნი. შესაძლებელია, რომ ძველად მტკიცედ ვადექით მართლმადიდებლობას, მაგრამ განა აქედან ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართველთაგანნი არავინ მოისურვებდა ნებით, ან გარემოებათა მიხედვით მიეღო სხვა რელიგიის აღსარება? რა სათქმელია. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ფრანგმა დეპუტატმა მაჰმადიანობა მიიღო, არაბული ტანისამოსით დაბრძანდა პარლამენტში, ასეთი საქციელი არავის გაჰკვირვებია, ჩვენში კი სული გაუჭირვეს ქართველ კათოლიკეთ... მეგრელებსავით ამათაც მიაცივდნენ, ქართველები არა ხართ, ჩვენ ვზრუნავთ თქვენზეო... 1828 წელს საქართველოს შემოუერთდა მესხეთი, აქ დაბინავებულ ქართველ მაჰმადიანებს ოფიციალურად უწოდეს თათრები. ეს ისეთი სიმართლეა, როგორც ისა, დედამიწა ვეშაპის ზურგზე დგასო. საიდან სადაო, წმინდა საბაო! სად თათარი და სად ქართველი, ხვალ რომ მაჰმადიანობა მივიღო, განა გავთათრდები, ანდა არაბად, ოსმალოდ ვიქცევი? მაჰმადიანი მეფეები ბლომდა გვყავდა, მაგრამ საქართველო მაშინაც სათათრეთად არავის გამოუცხადებია, ახლა კი დამლა დაჰკრეს საქართველოს ერთ ნაწილს.

თხუნელა ძირს გამოუთხრის საქართველოს, გამოლრღნის სოხუმ-აფხაზეთს, სამეგრელოს, მაჰმადიანობას, კათოლიკობას, საინგილოს, ისტორიული ერი ჯერ წაიჩოქებს, მერე ისე გაიშხლართება, ფეხზე წამოყენებას ველარავინ იკისრებს“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1905 წ., №8, გვ. 7).

იქამდე, სანამ ჩვენ მიერ, დამოწმებული პუბლიცისტური წერილის დაწერის აუცილებლობა გახდებოდა, გაზეთ „მწყემსის“ რედაქციამ, არაერთხელ გააშუქა ეროვნებით ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით მაჰმადიანი მოსახლეობისა და საქართველოს კუთხეების პრობლემატიკა, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამოშორებოდა დედა სამშობლოს ან სულაც, იმ მომენტში იდგა უკვე აღნიშნული საფრთხის წინაშე. ჩვენი დაკვირვებით განსაკუთრებით, დიდი ინტერესის საგანი აღმოჩნდა სასულიერო ორგანოსათვის აჭარის, აფხაზეთისა და მესხეთის რეგიონები, ასევე თუმ-ფშავ-ხევსურეთიდან, სადაც მცხოვრებლების უმრავლესობას რელიგიური მრწამსით მაჰმადიანები წარმოადგენდნენ, ან რომელიმე რელიგიას ამოფარებულნი კერპთაყვანისმცემლობას მისდევდნენ.

რუსული ჩინოვნიკური ინტელიგენცია მიისწრაფვოდა საზოგადოებაში რუსოფილური განწყობილების გაზრდისაკენ და ეყრდნობოდა უკიდურესად რეაქციულ პოლიტიკურ კონცეფციებს. არარუსი ხალხებისადმი თვითმპყრობელობის შეურიგებელი პოზიცია წამქეზებლურ როლს ასრულებდა ადგილობრივი მოხელეების მიერ ანტიქართული კამპანიის გაძლიერებაში, რაც მკაფიოდ გამოიხატა კავკასიის სასწავლო ოლქის საქმიანობაში. ადგილობრივი კადრისა და მშობლიური ენის განდევნა სასწავლებლიდან, განათლების მიზნების ხელისუფლების ნების დამყოლი თაობების აღზრდის ამოცანებით შემოფარგვლა, ყოველგვარი პროგრესული აზრისათვის, დემოკრატიული სულისკვეთებისათვის დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება და სხვ. შეადგენდა ამ უწყების საქმიანობის უმთავრეს მიზანს.

ოფიციალურ საუწყებო დონეზე ამ რეაქციულ ღონისძიებათა დამკვიდრება, ძირითადად, უკავშირდებოდა უკიდურესი რეაქციონერის, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, იანოვსკის ოცწლიან მოღვაწეობას. მისი საქმიანობის

კრედოდ იქცა სკოლათა გადაქცევა რუსიფიკაციის იარაღად, სასწავლო პროცესის უკიდურესი იდეოლოგიზირებით.

რუსიფიკატორული პოლიტიკა პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას. ხელისუფლება მოწოდებული იყო, დაექსაქსა, გაეცალკავებია ქართველობა, კუთხური პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის გაღვივებით დაეპირისპირებინა ისინი ერთმანეთისათვის. ამ ბოროტ განზრახულობათა გეგმაში შედიოდა კუთხური განკერძოების გასაღრმავებლად გამიზნული პროვიკაციული წერილები, ოფიციალური ანგარიშები. ასეთი შინაარსისაა ნარკვევი: “რუსის ჯარის ტომობრივი შემადგენლობა”. მისი ავტორი, გეოგრაფ-ისტორიკოსი, რიტხი თამამად საუბრობს ქართველი ხალხის უკულტურობაზე, მისი წარსულის სივაგლახეზე, ხოლო მკვლევრის მიგნებას, რომ „იმერლები განსხვავებულ ხალხს შეადგენენ, გურულები სხვას და, რომ სვანური ენა უფრო უახლოვდება ქართულს, ვინემ იმერული და ქუთაისის უეზდში სრულებით არ ცხოვრობენ ქართველებიო“ (ფხალაძე 2004: 56) - გაზეთ „დროების“ რედაქციის ირონიული შენიშვნა მოჰყვა - “ამნაირი მეცნიერების ხელად არის ჩვენი ქვეყანა და იმათ უნდა გააცნონ ჩვენი მხარე ქვეყნიერებას” (იქვე, გვ. 57).

იანოვსკი ცდილობდა ქართველი ხალხის რუსიფიკაციას. ეს პროცესი კი, მისი აზრით, მტკიცედ იყო დაკავშირებული სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემის შესაბამის ორგანიზებასთან: “იანოვსკის მტკიცედ სწამდა, _ აღნიშნავდა ტრ. ხუნდაძე, _ რომ სკოლა უნდა იქნას რუსული ცივილიზაციის დამნერგავი განაპირა ქვეყნებში და ადგილობრივი რუსული კულტურის შემმუსვრელი” (იქვე, გვ. 59). ასეთი სულისკვეთება კარგად იკითხება რეაქციის წლებში შემუშავებულ სასწავლო კანონმდებლობაში.

იმპერიული იდეოლოგიის ერთგულებით გამოირჩეოდნენ სხვა მოხელეებიც, რომელთა მოქმედების ჩვეული სტილი იყო პოლიციური ძალადობა და უკიდურესი თავაშვებულობა. ქართული ენის წინააღმდეგ მათ თავშეუკავებლობას საზღვარი არ ჰქონდა. სკოლის რევიზორები სასწავლო პროცესის ძირითად ნაკლოვანებად აღმზრდელთაგან მშობლიური ენის ცოდნას თვლიდნენ. მათთვის ტონის მიმცემი იყო ცენტრალური საიმპერიო უწყებების მოხელეთა აშკარად

მტრული დამოკიდებულება ქართული ენისადმი. მაგალითად, უწმინდესი, სინოდის რევიზორი, მოითხოვდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამების გადახედვას – მათი შემცირება – გამარტივების თვალსაზრისით.

ხელისუფლება რუსიფიკატორებს ნიშნავდა სხვადასხვა თანამდებობებზე. სწორედ იმპერიული იდეოლოგიის ერთგულებისა და ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გამო ერგო კავკასიაში მართლმადიდებლური “ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების” ინსპექტორის თანამდებობა ნ. ლიხაჩოვს. მისი პედაგოგიური კრედიო არაფრით განსხვავდებოდა სხვა რეაქციონერი კოლეგების სამოღვაწეო ამოცანებისაგან და უხეში ადმინისტრირებით სასკოლო ქსელიდან მშობლიური ენის ამოძირკვისაკენ იყო მიმართული.

მეტროპოლია დაუნდობლად ცდილობდა დაპყრობილი ხალხების ეროვნული სახის გადაგვარებას. ერთ-ერთი ძირითადი როლი ამ ბარბაროსულ აქციაში სკოლას უნდა შეესრულებინა. ქართველი ხალხის გარუსების თავგამოდებული მომხრეები ვერ ურიგდებოდნენ თვით იმ მინიმალურ უფლებასაც კი, რომლითაც ქართული ენა ჯერ კიდევ სარგებლობდა ადგილობრივ სასწავლებლებში. ასეთი რეაქტიულობით გამოირჩოდა ქუთაისის სასწავლო ოლქის ინსპექტორის ილიაშენკოს მოსაზრებები: «მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების სწავლების შესახებ იმ ზომით, როგორც ის დღეს არსებობს, უდროა და შეიძლება ზიანსაც აყენებდეს რუსული ენის წარმატებას. ყოველ შემთხვევაში, ვნიშნავთ რა სასწავლებლებში ადგილობრივი ენების მასწავლებლებს სამსახურებრივი უფლებებით, ვაჯილდოვებთ მათ ჩინებითა და პენსიით, ჩვენ მივდივართ ინოროდცების არა ასიმილაციისაკენ, რაც, ვფიქრობ, ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს. ასეთი მოწონებითი დამოკიდებულება მთავრობისა ტუზემცური ენებისადმი ამაღლებს მათ მნიშვნელობას ინოროდცების თვალში და აკანონებს შესაძლებლობას, საზოგადოებრივ ასპარეზზეც კი ადვილად გამოვიდნენ მხოლოდ თავიანთი ბუნებრივი ენით სახელმწიფო ენის გვერდის ავლით”... ილიაშენკოს თვალსაზრისში პრინციპულად ახალი არაფერია.

სახელმწიფო თავისთავად ადგა რეპრესიულ კურსს პედაგოგთა პროგრესული ნაწილის მიმართ. ყოვლად გაუმართლებელი მოტივებით ათავისუფლებდა მათ სამსახურიდან და მაინც, დასახული მიზანი მიუღწეველი რჩებოდა, რაც ცარიზმის ზოგ მოხელეთა იმპერიულ ზრახვებს მაქსიმალიზმს სძენდა.

ქართული ენის მიმართ რუს პედაგოგთა შედარებით მცირე ნაწილს უფრო შენიღბული პოზიცია ეკავა. ისინი ადგილობრივი ელემენტისათვის ანგარიშის გაწევით ფორმალურად აღიარებდნენ მშობლიური ენის მნიშვნელობას, მაგრამ, სინამდვილეში, პრაქტიკულ ასპარეზზე ძალას არ ზოგავდნენ რუსულის უპირობოდ გაბატონებისათვის. ამ სახის პედაგოგთა რიგებს ავსებდნენ გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი სემიონოვი. ის პედაგოგიური თვალსაზრისით გამართლებულად თვლიდა დაწყებით კლასებში სასწავლო საქმის მშობლიურ ენაზე აგებას, მაგრამ იმპერიული ინტერესი, მისი აზრით, პრობლემას სხვაგვარ ინტერპრეტაციას სძენდა იმით, რომ რუსული ენის შეუცვლელობას – სასწავლო დაწესებულებებში მის უალტერნატივობას ითვალისწინებდა.

რუსული პოლიტიკისაგან განსხვავებით, გაზეთის რედაქცია ცდილობდა, დაენახებინა ქართული საზოგადოებისა და განსაკუთრებით, მოსახლეობის სწორედ იმ ნაწილისათვის, ვისზედაც იწერებოდა, რომ სარწმუნოებითი განსხვავება არ ნიშნავს ეროვნებით სხვაობასაც. ცდილობდა, რომ გაეღვიძებინა თითოეულში ეროვნული სული და ერთიანობის განცდა.

1888 წლის ნომერში (16), გაზეთ „მწყემსის“ ფურცლებზე დაიბეჭდა პუბლიცისტური წერილი, სახელწოდებით „შენიშვნა“, რომელიც ეკუთვნოდა ბათუმში მოღვაწე სკოლის პედაგოგს მ. ნათაძეს. აღნიშნული წერილი მიემდვნა იდეას „ყურანის“ ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით. ავტორი, მცირე ექსკურსით, შეეხო საქართველოს ტრაგიკულ წარსულს და ყურადღება გაამახვილა მესხეთზე, როგორც საქართველოს კულტურის აკვანზე, შოთას სამშობლოზე, სადაც ყველაფერი ქურთების გახრიოკებულ სოფლად ქცეულიყო. ტბეთის მონასტერი კი, მივარდნილი და მიყრუებული დარჩენილიყო. საქართველოს რომ ორი მხრიდან აწიოკებდა მტერი წინათ, ამის დასტურად იმავე მ. ნათაძეს მოჰყავს საინგილო და მესხეთი - „ორი განაპირა ნაწილი ჩვენის სამშობლოსი მოიდნო და

გასრისა მძვინვარე ისლამმა. დღეს მესხელს მხოლოდ ენა-ლა აქვს ჩვენებური, სხვაფრივ იგი მაჰმადიანი, კეთილ მოწმუნე მოსლემანი არის. თუმცა დღეს უზენაესმა განგებამ ისევ შემოგვიერთა დაკარგული მხარე ჩვენის სამშობლოსი, მაგრამ ეს შეერთება მხოლოდ ტერიტორიულად შეერთებაა. მჭიდროდ შეერთება მხოლოდ ეროვნული შეერთებაა...ერთადერთი საშუალება რომ მესხელს თვალი აეხილოს, ვინ არის და რა არის, წერა-კითხვის გავრცელებაა...“- წერდა მ. ნათაძე და დასძენდა: „ქართულად რომ გადაითარგმნოს ყორანი (ყურანი), ორნაირს სარგებლობას მოუტანს მესხელებს. ჯერ ერთი ესა, რომ ყველა გაიგებს, რა არის ყორანი, რომ შეადაროს იგი სხვა სარწმუნოებასთან, მეორე ესა, რომ გატაცებული სურვილით, რომ შეიტყოს, რა სწერია ყორანში, რომელიც თავის სიცოცხლეში ვერ შეუგნია, მოინდომებს ისწავლოს ქართული, რომ წაიკითხოს ეს წმინდა წიგნი. ეს გარემოება დაგვიახლოვებს გამაჰმადიანებულს ქართველობას. თუ წერა-კითხვა გავრცელდა, მაშინ აქაურები შეიტყობენ თავის წარსულს, აქაურებსაც გაეღვიძებათ ხალისი სწავლისა, ისწავლიან, განვითარდებიან და თავის უმეცარს ხოჯებს ეჭვით დაუწყებენ ყურებას. რაკი ასე წავა საქმე, მაშინ მესხელი შეიგნებს, რომ დღეს ჩვენ ორივე ერთი ქართველები ვართ, განსხვავება იმაშია, რომ ერთი ჯამეში ლოცულობს, მეორე საყდარში“ (ნათაძე მ., „შენიშვნა“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., № 16, გვ. 4-5).

ამ ფონზე, როგორც ჩანს, მაჰმადიან აქარლებს, ეროვნული თვითშეგნება და საერთო წარსულის განცდა, დანარჩენ ქართველებთან შედარებით, გაცილებით შეენარჩუნებინათ, ვიდრე ეს დავინახეთ მესხების მაგალითზე. 1891 წლის ნომერში (17), „მწყემსში“ დაიბეჭდა ცნობა ბათუმის ოლქის სოფელ ალაგბარიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ, მიუხედავად რელიგიური კუთვნილებისა, სოფლის მოსახლეობა ქართულად საუბრობდა და ხოჯაც ეროვნებით ქართველი ჰყოლიათ - მამუდ ეფენდი ხახუტ ოლი (კობახიძე). სოფელში შემორჩენილი ყოფილა ნაეკლესიარი, რომელსაც რუდუნებით უვლიდნენ ადგილობრივები და მეტიც, ძველი ადათების მიხედვით სწირავდნენ შინაურ ფრინველებს, ფულს და სანთლებს, ნანგრევების ადგილს, რომელსაც წმინდა გიორგი შუმანეთისას უწოდებდნენ („ახალი ამბები და შენიშვნები“, გაზ. „მწყემსი“, 1891 წ., № 17, გვ. 9).

„მწყემსის“ რედაქტორს, ერთ-ერთ გამოსავლად, ესახებოდა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ საქმიანობის სწორი მიმართულებით გაგრძელება. იგი ფიქრობდა რომ საჭირო იყო დროთა ვითარების გამო, დიდი ხნის დაკარგულ და ისევ შემოერთებულ „ძმებთან“ - აჭარლებთან ქართველი მღვდლების გაგზავნა აჭარაში, იმიტომ რომ ადგილობრივებმა იცოდნენ ქართული და გაცილებით ადვილი იქნებოდა ქრისტიანული სწავლების გავრცელება ამ ხალხში, ქართულ ენაზე. დეკანოზს, მაგალითად მოჰყავს ოსეთი, სადაც მისი თქმით, ძლიერ მძიმედ მიდიოდა ქრისტიანობის გავრცელების საქმე, ვიდრე არ მოიძებნა ოსი სასულიერო პირი და არ გაიგზავნა მისიონერული მიზნით (დამბაშიძე დ., „დაკარგული ძმების შესახებ“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 20, გვ. 5-8).

გაზეთ „მწყემსში“, ხშირად იბეჭდებოდა პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები „აფხაზეთის“, „თუმ-ფშავ-ხევსურეთისა“ და „ოსეთის“ რეგიონებში არსებული საზოგადოებრივი და რელიგიური ყოფა-ცხოვრების ამსახველი ინფორმაციებით, სადაც ხაზგასმულად ვხედავთ ერთი და იმავე პრობლემას რელიგიური სიჭრელისა, თუმცა, ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ არსად იკვეთება მათი სეპარატისტული განწყობები, რაც კიდევ ერთხელ გვანახებს რუსეთის „დამსახურებას“ ამ ტრაგიკულ ამბავში, მთელი საქართველოსა და კონკრეტულად იმ მხარეებისა, რომლებიც დღესდღეობით, აღარ იწოდებიან საქართველოს ნაწილად.

აფხაზეთს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს, გეოგრაფიული თუ საერთო ჩვეულებითი ქცევების მხრივ, შემდეგნაირ კონტექსტში ხატავს, „სამურდაყანოში“ მოღვაწე, მღვდელი პ. ასათიანი: „ჩვენი საქართველო, როგორც მთლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა ნაწილებშიაც, საზოგადოდ წარმოადგენს მათვალ-ყურებელს ორს ერთი მეორის წინააღმდეგ სურათს: ყოველის ფრით უხვად შემკობილს, სამოთხის მსგავსს, მშვენიერს ბუნებას და ეკონომიკურად ღარიბსა და ღატაკს ხალხს... დამტკიცებულია, რომ პროგრესი, წინ სვლა, ცივილიზაცია ფეხს ვერ მოიდგამს იქ, სადაც ეკონომიკური სიღატაკე აწუხებს ხალხს, რადგან ცივილიზაციის შეთვისებისათვის აუცილებლად საჭიროა მოცლილი დრო,

რომელიც ღარიბს, მუდამ ლუკმა-პურის უკან მადევარს კაცს, რასაკვირველია, არ ეშოვება... ყველამ ვიცით, რა მნიშვნელობა ჰქონდა მსხვერპლშეწირვას ძველ აღთქმაში... ეს ჩვეულება გავრცელებულია საქართველოს ყოველ კუთხეებში და ამ ჩვენ სამურძაყანოში ხომ ზომაზედ უფრო გავრცელებულია ეს ჩვეულება“ (მღვ. ასათიანი პ., „აფხაზეთიდან“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., №4, გვ. 5). სასულიერო პირი საუბრობს დაკრძალვის ტრადიციაზე, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან, დაუჯერებლად კი გამოიყურება, რადგან აქ საუბარია მიცვალებულის დაკრძალვის შემდგომ ქელებში ხუთი-ექვსი სული მსხვილფეხა საქონლით და უამრავი წვრილფეხა თუ ფრინველით სტუმრების დაპურებაზე, ხოლო ამის შემდეგ ცერემონიალზე, სახელწოდებით „შეყრა“, რომლის დროსაც კლავდნენ „ორმოც-სამოცამდე ძროხას, ხარს და ცხვარს“ და ყიდულობდნენ პურსა და ღვინოს, რითაც უმასპინძლებოდნენ სტუმრებს. ავტორი, ამ ტრადიციის საჯარო განსჯით, ცდილობს სასულიერო პირებს დაანახოს მათი პირდაპირი მოვალეობა, რომ „ამისთანა დამღუპველი ჩვეულებანი მოსპონ სამურძაყანოში“ (იქვე, 6).

როგორც ჩანს, აფხაზეთის მოსახლეობა არ გამოირჩეოდა რელიგიური სიმტკიცით და პოლიტიკური ვითარება, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობდა მათგან სარწმუნოებრივ პოზიციებში ლავირებისას. „მწყემსში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში „ხმა აფხაზეთიდან“, ვინმე XX, აფხაზ ხალხზე წერდა: „ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ აფხაზეთში ამ საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა დაეცა და იმის ნაცვლად მაჰმადიანობა მიიღეს, მაგრამ ესენი არც მაჰმადიანნი იყვნენ და არც ქრისტიანენი... აფხაზებს სწამდათ და სწამთ ერთი ღმერთი, ამასთანავე სცემენ თაყვანს სხვა-და-სხვა უბრალო საგნებს... ამ ბოლო დროს, როცა რუსეთის მმართველობამ ფეხი მოიდგა აქ და „კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მისსიონერები გამოგზავნა, აფხაზებმაც მონახეს მათთვის საუკეთესო ადგილი და დაიწყეს ქრისტიანობის მიღება.“ (XX (უცნობი ავტორი, ინიციალებით), „ხმა აფხაზეთიდან“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 5, გვ. 6).

თუმცა ეს „საუკეთესო ადგილი“, რაზედაც ჩვენგან დამოწმებულ წყაროში, საუბრობს უცნობი კორესპონდენტი, როგორც 1889 წლის „მწყემსის“, ერთ-ერთ ნომერში (10) კვითხულობთ, არც ისე სასურველი და სიკეთის მომტანი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რადგან რუსეთის იმპერიამ, სამხედრო რეფორმის გზით, ერთმანეთს დაუპირისპირა აფხაზეთის ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა. იმპერია ჯარში იწვევდა ქრისტიან ადგილობრივებს, ხოლო სოხუმის ოლქში მცხოვრებ მაჰმადიან აფხაზებს, ჩანს, უნდობლობას უცხადებდა და გაწვევის ნაცვლად, სამხედრო ბეგარას აკისრებდა, რაც პროტესტს, თავის მხრივ ორივე მხარეში იწვევდა. კორესპონდენტის ავტორი, იმოწმებს ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის პოზიციას და ამას შემდეგნაირად აყალიბებს: „ჩვენც მზად ვართ ჯარში გასვლის მაგივრად ფული გადავიხადოთ, და, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ თათრობას დაუვბრუნდებით; ჩვენ გვეგონა, რომ რუსეთის სახელმწიფოში უპირატესობა ქრისტიანობას ეჭირა, მაგრამ, როგორცა სჩანს, ეს უპირატესობა მაჰმადიანებსა ჰქონებია...“ (მღვ. ფარჟიშვილი პ., „მწყემსის“ კორესპონდენცია „აფხაზეთიდან“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 10).

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, აფხაზმა მოსახლეობამ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, აქტიურად დაიწყო მასობრივი გადინება ოსმალეთში. ჯერ კიდევ 1866 წელს, როდესაც რუსიფიკატორული პოლიტიკის წნეხში მოქცეულები აჯანყდნენ იმპერიის წინააღმდეგ, მისი სასტიკი ჩახშობის შემდეგ, ფაქტობრივად, იძულებულნი შეიქნენ, დაეტოვებინათ საკუთარი მიწა-წყალი (20 ათასამდე ადგილობრივი). მოგვიანებით, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, 1877 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიემხრო ოსმალეთს. ისინი შეიჭრნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ადგილობრივმა მოსახლეობამ ივარაუდა, რომ ეს იყო კარგი საშუალება იმპერიის წინააღმდეგ ბუნტის მოსაწყობად. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ამბავი ისევ აფხაზთა საუბედუროდ დასრულდა და სამშობლოს დატოვება 40 ათასამდე ადგილობრივს მოუხდა. რუსეთის იმპერიამ კი აფხაზები „მოღალატე ხალხად“ შერაცხა და ამ სტატუსს ატარებდნენ ისინი 1917 წლამდე. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ფაქტი,

რომ ქრისტიან აფხაზებს, არანაირი სურვილი არ ჰქონიათ იმპერიის სამსახურში მდგარიყვნენ, მით უმეტეს სამხედრო მიმართულებით.

1890 წლის „მწყემსის“ კორესპონდენციაში, „აფხაზეთიდან“, ავტორი - მღვ. პ. ფარჟიშვილი აღწერდა აფხაზთა სოციალურ ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მათი განსახლების თავისებურებებსა და ამ თავისებურებების გამომწვევ მიზეზებზე საუბრობდა. რაც შეეხება მათ რელიგიურ კუთვნილებას, ადგილობრივი სასულიერო პირი შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: „ვერ ნახავთ ერთად შეკრებილ საზოგადოებას, მოლებიც მათში არ იყვნენ. შთამომავლობით მოლები აფხაზები არიან, მაგრამ გარეგანი შეხედულებით არაფრით არ განირჩევიან თათრებისაგან. რუს-ოსმალს ომის შემდეგ ამ პირებს თავის თანამომძე მაჰაჯირებთან¹¹ ერთად მიუტოვებით თავისი მიწა-წყალი და სათათრეთში გადასახლებულან. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იგინი ხელახლად დაბრუნებულან და თავის მიწა-წყალზე დასახლებულან.“ (მღვ. ფარჟიშვილი პ., „მწყემსი“-ს კორესპონდენცია - აფხაზეთიდან“, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., № 3-4, გვ. 6-7).

აფხაზი მოსახლეობის სარწმუნოებრივ მდგომარეობასა და მათ ყოველდღიურობაში კერპთაყვანისმცემლობის როლზე „მწყემსის“ რედაქცია 1890 წელსაც აქტიურად წერდა რამდენიმე ნომერში და ამ სარწმუნოებრივი თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორად მის ისტორიულ წარსულს ასახელებდა: „შავი ზღვის ნაპირის მკვიდრთა სარწმუნოებაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდათ ბერძნებს და რომაელებს, რომელთა მფლობელობაში იმყოფებოდა ეს მხარე უწინდელს დროში. ბერძნები და რომაელები იმ დროს კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და ზნეობრივადაც მეტად ძირს იდნენ...თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ აფხაზებს ყოველთვის სწამდათ ერთი უმაღლესი არსება, რომელსაც იმავე თვისებას აწერდნენ, რასაც ჩვენ ვაწერთ ჭემმარიტს ღმერთს...“ (დამბაშიძე დ., „სარწმუნოებრივი მდგომარეობა ძველად აფხაზებისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., № 2, გვ. 1).

¹¹ კორესპონდენციის ავტორი სქოლიოში განმარტავს მუჰაჯირობას შემდეგნაირად: „მაჰაჯირები ჰქვიან იმ აფხაზებს, რომლებმაცა ამ ომების დროს უღალატეს რუსეთს და გარდასახლდნენ ოსმალეთში“.

კერპთაყვანისმცემლობა რომ ყოფილა აქტიურად, გავრცელებული თუმ-ფშავ-ხევსურეთში, სადაც მოსახლეობას ეკლესიების გარდა, ჰქონიათ ცალკე სალოცავები, ხევის ბერის ავტორიტეტული ფიგურით. ხსენებულის შესახებ, 1884 წელს, სასულიერო ორგანოს, კორესპონდენციის სახით წერდა, უცნობი ავტორი. იგი აღწერდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც რუსულმა სასულიერო და საერო ხელისუფლებამ გაატარა „ხევის ბერის“, ე.წ. „დეკანოზის“ საქმიანობის წინააღმდეგ, რასაც დიდი ვნებათაღელვა გამოუწვევია ადგილობრივ მოსახლეობაში.

ეგზარქოს პავლეს დავალებით თუშეთში მივლინებით გაიგზავნა დეკანოზი ეგნატე მრელოვი, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფებოდა აღნიშნული ადგილის სამრევლო. დეკანოზს დაევალა, რომ აღმოეფხვრა ის „თვითნებობა“, რასაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისა და მათი სულიერი წინამძღოლისაგან.¹² პუბლიცისტურ წერილში ვკითხულობთ, რომ ეგზარქოსის მიერ გაგზავნილი პირები, მრელოვის თაოსნობით, ე.წ. „დეკანოზს“ - უ. ხაზანაურს ჩაუსაფრდნენ, რათა თავიანთი თვალთ ენახათ მთელი პროცესი რელიგიური რიტუალისა. შემდგომ მრელოვმა დაიბარა თავისთან და ყველა ნივთი, რაც კი გააჩნდა „ხევისბერს“ ჩამოართვა. კორესპონდენციაში წერია, რომ მან თავად, სიამოვნებით გადასცა დეკანოზს ოქრო-ვერცხლის ჯვრები, რომლებიც დეკანოზის პირობით, გადაეცემოდა ეგზარქოს პავლეს და მოგვიანებით მას უკან დაუბრუნდებოდა. კახეთში დაბრუნებულმა დეკანოზმა მ. მრელოვმა, ხსენებული ნივთები მართლაც გაუგზავნა ეგზარქოსს და შემდეგ გავრცელებული ხმებით, ისინი შეინახეს სიონის ტაძრის სალაროში, თუმცა, როგორც წერილის ავტორი გვაწვდის ინფორმაციას, ნივთების საბოლოო ბედი, იმ დროისთვის, ცნობილი არ იყო...(უცნობი ავტორი, „თუმ-ფშავ-ხევსურეთიდან“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №10, გვ. 5-6).

¹² მოცემულ კორესპონდენციაში, საკმაოდ საინტერესოდ და დეტალურადაა აღწერილი, საქართველოს მთიანეთში დამკვიდრებული რელიგიური ადათ-წესი და ასევე, გარეგნული აღწერილობა ხევისბერისა (ისევე როგორც, ზემოთ დამოწმებულ კორესპონდენციაში, რომელიც ეხებოდა აფხაზეთის სარწმუნოებრივ თავისებურებებს), რაზდაც ყურადღება არ შევაჩერეთ, ჩვენი ნაშრომის ფორმატისა და კვლევის ამოცანების გათვალისწინებით. თუმცა, რეკომენდაციას გავუწევდით, საქართველოს ეთნოგრაფიით დაინტერესებული პირებისათვის.

2.3. პ. ჩუდეცკის მკვლელობა, დ. ყიფიანის ტრაგიკული ისტორია და ე. მჭედლიძის აღსასრული გაზეთ „მწყემსში“

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთმა ყველაზე გახმაურებულმა ამბავმა, რომელიც მოგვიანებით, მის ირგვლივ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიაში დარჩა როგორც ტრაგიკული, მაგრამ საამაყო გვერდი, ვინაიდან აღნიშნული გახდა დასაბამი, ჩვენი ქვეყნის ისტორიას შემატეზოდა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი და აწ, უკვე წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანი.

მოცემული საკითხის ირგვლივ მცირედ მსჯელობა, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ იმ მიზეზით, რომ გაზეთ „მწყემსში“, არა ერთი პუბლიცისტური წერილი და ხსენებული საქმის ირგვლივ, მოვლენათა ქრონიკის ამსახველი სტატია დაიბეჭდა. მათ შორის, „სასამართლო მატთანე“, რომელიც ასახავდა მიმდინარე მოვლენების სპექტრს, რის რეზონანსაც შეეწირა ფიზიკურად (და არა სულიერად) ქართველი მოღვაწე წმ. დიმიტრი ყიფიანი. გაზეთის რედაქციის შეხედულება, აღნიშნული საკითხის ერთი ნაწილისადმი, ცალსახად მიკერძოებულ დამოკიდებულებას ავლენს, რაც, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს იმ საფრთხის შეგრძნებით, რომელიც აშკარად ჩანდა რუსეთის იმპერიის მხრიდან. თუმცა ამაზე ქვემოთ შევეცდებით, რომ ჩვენეული ხედვა დავაფიქსიროთ.

მოვლენათა განვითარება კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა სასულიერო ორგანოში: 1886 წლის ივნისის ნომერში (14-15), „მწყემსში“ დაიბეჭდა სტატია, სახელწოდებით „საშიშარი მკვლელობა“, რომელიც ეხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის პავლე ჩუდეცკის მკვლელობას ამავე სემინარიის სტუდენტის - იოსებ ლაღიაშვილის (ლაგიევის) მიერ: „საშიშარმა ბოროტებამ, რომელიც შეასრულა ბოროტმა პირმა ოც-და-ოთხს ამა მაისის თვისას, მოუსპო სოცოცხლე თბილისის სემინარიის რექტორს, მამა დეკანოზს პავლე ივანეს ძეს ჩუდეცკის, ამ მრავალ სასარგებლო პირს.“ (ლამბაშიძე დ., „საშიშარი მკვლელობა“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 14-15, გვ. 3).

ჯერ კიდევ, 1884 წელს, იგივე დ. ღამბაშიძე, რეალობისაგან მკვეთრად განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებდა და პარადოქსულ შეფასებას აძლევდა პ. ჩუდეცკის პიროვნებასა თუ მოღვაწეობას (აღნიშნულის ყურადღების მიღმა დატოვება, ვფიქრობთ, რომ არ იქნებოდა მართებული და გარკვეულწილად, ეს პასაჟიც ინტერესს გამოიწვევს მკითხველში. - თ.ჭ.). დეკანოზი წერდა: „...სასიხარულოდ ჩვენდა, ერთი შაგირდი არ გვინახავს ეხლანდელი რექტორის მომდურავი. ყველანი ერთ ხმათ განაცხადებენ, რომ ეხლანდელი რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი მათთვის არის არა მარტო რექტორი, არამედ მზრუნველი მამა მათი სიკეთისათვის და ღმერთსა სთხოვენ მის დღეგრძელობას. დარწმუნებული ვართ, რომ სამღვდელოება ამაზედ უსიამოვნეს ამბავს ვერ გაიგონებს...“ (ღამბაშიძე დ., „ახალი ამბები და შენიშვნები“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., № 6, გვ. 8).

გარდა ამისა, 1883-86 წწ.-ში არა ერთხელ გამოქვეყნდა სტატია, თბილისის სასულიერო სემინარიაში დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ძმობის“ საქმიანობის შესახებ, რომლის შექმნის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელიც იგივე პ. ჩუდეცკი იყო. გარდა ამისა, იბეჭდებოდა აღნიშნული „ძმობის“ ხარჯთაღრიცხვის ანგარიშები და გაზეთი ყოველ ჯერზე ეხმაურებოდა, მაღლობის წერილებით იმ პიროვნებებს, რომლებიც ქველმოქმედების სახით, გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ დასახელებულ საზოგადოებას. 1885 წლის 15 ოქტომბრის „მწყემსის“, „ოფიციალურ ნაწილში“ ვკითხულობთ პავლე ექსარხოსის მიმართვას - „საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოებას“: „თბილისის სასულიერო სემინარიის საქველმოქმედო „ძმობის“ თავმჯდომარემ, სემინარიის რექტორმა, მ. პავლე ჩუდეცკიმ წარმოადგინა ჩემთან ანგარიში „ძმობისა“ (რედაქცია, „წესდებულება - ძმობის, შეწევნისათვის ღარიბთ მოსწავლეთა თბილისის მართლმადიდებელის სასულიერო სემინარიისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., №14 გვ. 9-11). ათას რვაას ოთხმოცდა სამის და ოთხის წლებისა მაისის პირველამდე ათას რვაას ოთხმოცდა ხუთის წლისა. სასიამოვნო არის განხილვა ამ ანგარიშისა, როდესაც ვხედავ, რომ მთელი საქსარხოსოს სასულიერო წოდება იღებს მონაწილეობას სემინარიის ღარიბ შაგირდების დახმარებაში თავიანთი

შეწირულებით... განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებ კვალითის წმ. ბარბარეს ეკკლესიის მღვდელს მ. ხუსკივაძეს (იმერელთაგანია), რომელმაც შესწირა „ძმობის“ სასარგებლოდ ასი მანეთი და დაბა ყვირილის ეკკლესიის მღვდელს მ. ბლალოჩინს დ. ღამბაშიძეს, რომელმაც მისგან გამოცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით აღმოუჩინა შემწეობა „ძმობის“ კეთილ მნებელობითი ფულების შეწირვაში და უსასყიდლოდ დაბეჭდა „ძმობის“ ანგარიში ცალკე წიგნაკებათ.“ (პავლე არქიეპისკოპოსი საქართველოსა, „საქართველოს საქსარხოსოს სამღვდელოებას“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 20, გვ. 1).

რაც შეეხება მკვლელობის საქმეს, სტატიაში სახელწოდებით „საშიშარი მკვლელობა“, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობთ, მკვლელი ახალგაზრდა ხაზგასმით მოხსენიებულია ეროვნებით ოსად და არა ქართველად: „მოდგმით ოსი და არა იმერელი, როგორც შეცდომით ამბობდა გაზეთი „კავკაზი“.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ დაზუსტებით, გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია ცდილობდა, ქართველი საზოგადოების დაცვას რუსეთის იმპერიის მოსალოდნელი საფრთხისაგან, რომელიც, მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, არ იქნებოდა მსუბუქი და სადამსჯელო ოპერაციები ყველას ერთბაშად დააზარალებდა.

მოგვიანებით, როდესაც სასამართლო პროცესის გაშუქება დაიწყო („სასამართლოს მატთანე“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 18 გვ. 3-9, ასევე, № 19, გვ. 8-10 და № 20, გვ. 7-10). სასულიერო ორგანოს რედაქციამ¹³ და სასამართლოს გამოძიებითვე, დადასტურდა რომ ი. ლალიაშვილი გორელი სასულიერო პირის შვილი იყო, სამეგრელოში დაბადებული, არა თუ ოსი წარმომავლობისა, „მწყემსის“ სულისკვეთება, მაინც არ შეცვლილა აღნიშნული პირის მიმართ. გაზეთი ავლენდა შეურიგებელ დამოკიდებულებას ახალგაზრდა ლალიაშვილის საქციელისადმი, მაშინ, როცა გაზეთი „ივერია“, არსებული პირობების ფარგლებში, ცდილობდა მეტი აქცენტი გაეკეთებინა შემამსუბუქებელ გარემოებებზე¹⁴.

¹³ ეს გახმაურებული საქმე, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემის ყურადღების მიღმა. მათ შორის იყო გაზეთი „ივერია“.

¹⁴ თავადმა კონსტანტინე მუხრან-ბატონმა, თვით რუსეთის სამეფო კარზე მიღებულმა და უაღრესად გავლენიანმა კაცმა, არც ითაკილა, არც დაიზარა, არც ხარჯს მოერიდა და მთელ იმპერიაში ყველაზე სახელგანთქმული და ძვირად ღირებული ადვოკატი ტურკევიჩი დაუქირავა განსასჯელს; სასამართლო

ჩვენი დაკვირვებით, გვიჩნდება განცდა, რომ „მწყემსის“ სუბიექტური დამოკიდებულება გამომდინარეობდა არა იმდენად პირადი განწყობითა და დამოკიდებულებებით (თუმცა, ჩანს კიდევ რომ დ. ღამბაშიძე პირადად იცნობდა და საუბრობდა ხოლმე პ. ჩუღეცკისთან - (ღამბაშიძე, „კიდევ მოწამეობრივი სიკვდილისა გამო სემინარიის რექტორის დეკანოზის ჩუღეცკისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 22, გვ. 1.¹⁵)), რამდენადაც ძალიან ჰგავდა ეს პოზიცია საერთო კეთილდღეობისათვის, ერთი პიროვნების ზვარაკად შეწირვას. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს, სასულიერო ორგანოსთან, რომლის რექტორისთვისაც ათი მცნების ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი „არა კაც ჰკლა“, საბაზისო ცხოვრებისეული კრედო უნდა ყოფილიყო და ამას, მოგვიანებით, დავინახავთ კიდევ ერთხელ, როდესაც განვიხილავთ კიდევ ერთ მკვლელობას, ამჯერად გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის მდივან ესტატე მჭედლიძისას. გარდა ამისა, ალბათ ვერ წარმოიდგენდა რედაქცია იმ სავალალო რეზონანსს, რაც მომხდარს მოჰყვა: „გავრცელდა ხმა, რომ რექტორის დაკრძალვის დღეს ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა¹⁶ თქვა: „წყეულმც იყოს საზოგადოება, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედს წარმოშობს“. სიტყვა „საზოგადოება“ ქართველ ერთან იქნა გაიგივებული, რის გამოც ეგზარქოსის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღა აზვირთდა.

დარბაზი სავსე იყო, შენობის გარეთ შეკრებილი უამრავი ქართველიც თანაგრძნობით ელოდა განაჩენს... აღსანიშნავია, რომ ლალიაშვილი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა - საქმის განსაკუთრებულობის გამო (რადგან ჩაითვალა, რომ განსასჯელის ქმედება სახელმწიფოსთვის საზიანო შინაარსს შეიცავდა). იხ. ზ. გურული, „რატომ დაწყევლა ქართველი ერი რუსმა ეგზარქოსმა?!“ - <https://www.kvirispalitra.ge/history/8031-ratom-datsyevla-qarthveli-eri-rusma-egzarqosma.html>

¹⁵ „განსვენებულ რექტორს ხშირად უთქვამს ჩემთვისაც, რომ იგი უშლის სემინარიელებს ლალიაშვილთან კავშირის დაკავებას და ამხანაგობას...ყოველივე ღონეს ხმარობდა რომ შაგირდები მოემორებინა ლალიაშვილისა და მისი მსგავსი პირობისაგან და ამითი დაეცო სემინარიის შაგირდები ზნეობითი და გონებითი დაცემისაგან...“

¹⁶ ეგზარქოსი პავლეს შესახებ რუსი ისტორიკოსი და ფილოლოგი ნ. დურნოვო 1907 წელს წერდა: „ეგზარქოსი პავლე - ფიცხი ხასიათის, შმაგი და ნადირისებრი ადამიანი... მართლმადიდებლობის დამქცევი ბესარაბიაში, სადაც მან 340-ზე მეტი ეკლესია დახურა, ცეცხლს მისცა მოლდავურ ენაზე დაბეჭდილი ათასობით საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნი. მან საშინელი არეულობა შეიტანა ქართულ ეკლესიაში. თბილისის სემინარიის ყოფილი რექტორის დეკანოზ ჩუღეცკის (მასთან ერთად კიშინოვიდან რომ გადმოიყვანეს და მერე ქართველმა მოკლა) ცოლთან სამარცხვინო ურთიერთობის შემდეგ, მოკლულის წესის აგების დროს, სიტყვა წარმოთქვა და ქართული ეკლესია შეაჩვენა, რის შედეგადაც ხალხის უზომო სიძულვილი გამოიწვია...“ იხ. ნიკოლოზ დურნოვო, „ქართული ეკლესიის ბედი“ - https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/05/qartuli_eklesii_bedi.pdf

ს. კაკაბაძის შეფასებით, აღნიშნული „სიტყვა, მაშინ არსებული დაძაბული მდგომარეობის გამო, გაგებულ იქნა, როგორც ქართველი ხალხის მიმართ წარმოთქმული წყევლა. ქართველობა თბილისში და ყველგან მოიცვა მითქმა-მოთქმამ“ (კაკაბაძე 1997: 128).

პროტესტი ყველაზე აქტიურად დიმიტრი ყიფიანმა გამოხატა: ეგზარქოსს წერილი მისწერა და მოსთხოვა ან გაექარწყლებინა ბრალდება, ან დაეტოვებინა საქართველო. მღვდელმთავარმა ბრალდება არც დაადასტურა და არც უარყო. ამიტომ დაბეჯითებით დღესაც ვერავინ ამბობს, ასეთი რამ მართლა წარმოითქვა, თუ არა. თუმცა არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს პროტესტი დ. ყიფიანის სტავროპოლში გადასახლების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. იქ იგი 1887 წლის 24 ოქტომბერს მოკლეს“, - წერს ნუგზარ პაპუაშვილი, თავისი ნაშრომის „რელიგიები საქართველოში“ ერთ-ერთ თავში (პაპუაშვილი 2007).

გაზეთ „მწყემსის“ რედაქციამ 1886 წლის ივნისის ნომერში (16) გამოაქვეყნა პ. ჩუდეცკის დაკრძალვის ამსახველი წერილობითი მასალა, სადაც აღწერილი იყო დაკრძალვის დღის მოვლენათა ქრონოლოგია და მათ შორის, სიტყვა, რომელიც დაედო საფუძვლად ჩვენგან ზემოთ ხსენებულ, ტრაგიკულ, პროცესებს. საგულისხმოა, რომ დაბეჭდილ სიტყვაში, რომელიც პავლე ეგზარქოსის პოზიციიდან სავსებით ლოგიკურად და შინაარსიანად გამოიყურება, პირდაპირ არ იკვეთება ის აზრი, რაც შეიძლება წყევლის შემცველი იყოს. მთელი მონოლოგიდან, ქართველთა მიმართულებით წარმოთქმულს ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს: „ავაზაკობის მსხვერპლნი კი არ არიან სამწუხარონი, არამედ ის წრე, რომელთაგანაც გამოდიან ავაზაკნი. იტირეთ მამებმა და დედებმა ჩვენი მხარისა, რომ ჩვენ შორის გამოდიან ყმაწვილები მხეცური მიდრეკილებებით, რომლებიც ვერ დაუღბილებია კეთილ ოჯახების ზედ მოქმედებას... სტიროდეთ და გემინოდესთ უფლის დასჯისა თქვენც, რომელნიც თანაუგრძნობთ ავაზაკთ და აქეზებთ მათ... ამისთვის თქვენ ყველაზე უწინ გეწევათ ბოროტება, რომელსაც თქვენ უმზადებთ და აყენებთ სხვას... სტიროდეთ ყველანი და ევედრეთ უფალს, რომ განსვენებული ჩვენი თანამომძე იქმნეს უკანასკნელი მსხვერპლი ბოროტი ხელისა, რომ უფალი საუკუნოდ არ განრისხებულიყოს ჩვენზე და მოარბილოს და გაასწოროს ფიცხელი

გული კაცთა, რომელთა მიდრეკილება აქვსთ მკვლელობისადმი.“ (რედაქცია, „სასულიერო სემინარიის რექტორის მოკვლის გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 16, გვ. 10).

ფაქტი ერთია, რომ საზოგადოების მღელვარებამ თავის მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია და დიმიტრი ყიფიანი, რომლის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც გრ. გიორგაძე აფასებს შემდეგნაირად: „რუსეთის თვითმყოფლობის ერთგული და ამ ერთგულების საშუალებით საქართველოს სამსახური“ (გიორგაძე 1928: 245), წერილობით მიმართა ეგზარქოს პავლეს, სადაც იგი წერდა:

“თქვენო, მაღალსამღვდელოებაჲ! მიიღეთ მწყემს-მთავრულ მოწყალება და თუ გატაცებული დაუჯერებელი ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცდომა, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და, რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფობით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონოდეთ, ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდვილეს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხოფელნი შეურაცხოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გადაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება. ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემს-მთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოესობის მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.

8 ივნისი, 1886 წ. სად. მიხაილოვო.“ (ჯორჯაძე 1989: 173).

მოვლენები ამის შემდგომ, ტრაგიკულად განვითარდა: დ. ყიფიანი მთავარ-მართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა სტავროპოლში გადაასახლა. არქივისკოპოსი პავლე, გაწვეულ იქნა საქართველოდან და მის ნაცვლად ეგზარქოსის სტატუსით განამწყესეს ვინმე პალლადი, რომლის შესახებაც „მწყემსის“ რედაქცია იუწყებოდა: „მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას, სწორეთ ეს მეშვიდე

მთავარ-ეპისკოპოსი ინიშნება რუსთაგანი საქართველოს საეპისკოპოსო კათედრაზე... მთავარეპისკოპოსი პავლე უკვე დაინიშნა ყაზანის ეპარქიის კათედრაზე და მისი ადგილი ებოძა ყაზანის მთავარეპისკოპოსს პალლადის.“ (ღამბაშიძე დ., „ახალი ეპისკოპოსი საქართველოშია- მაღალ ყოვლად სამღვდლო არქიეპისკოპოსი პალლადი“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., № 22, გვ. 1).

დიმიტრი ყიფიანი კი 1887 წელს მოკლული იპოვეს სასტუმროში, სადაც იგი ცხოვრობდა. დაქირავებული მკვლელები ვერ აღმოაჩინეს... სასულიერო ორგანოს 1887 წლის №23 გამოცემაში ვკითხულობთ ნეკროლოგს დ. ყიფიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, გადმობეჭდილს გაზეთი „ივერიიდან“, რომელიც გამოხატავს უსაზღვრო მწუხარებას იმ პოლიტიკური რეალობის გათავისებით, რამაც კიდევ ერთხელ, მწარედ შეახსენა თავი ქართულ საზოგადოებას: „თავ-ზარის დაცემამდე შემადრწუნებელი ამბავი დიმიტრი ყიფიანის უბედურად გარდაცვალებისა ჯერ განმარტებული არ არის დაწვრილებით...მისი სამსახური და ღვაწლი ყველას ანდერძასავით თვალ-წინა აქვს...“ (რედაქცია, „ნეკროლოგი“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., № 23, გვ. 10). მომდევნო ნომერში კი აღნიშნული პერიოდული გამოცემის ფურცლები ეთმობა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის შესახებ ინფორმაციას და ასევე მის ბიოგრაფიულ ცნობებს.

აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ დ. ყიფიანის საქართველოში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის პროცესი, რეალურად, თავისი გამოხატვის ფორმით, შეიცავდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ელემენტებს, რისი მოზღვავებაც აშკარად იგრძნობოდა იმ პერიოდისათვის, არა მხოლოდ ქართულ ინტელიგენციაში, არამედ სასულიერო წრეებსა და უბრალო მოქალაქეებში. საერთო სულისკვეთება აშკარად იგრძნობა კიდევ სტატიიდან. თუმცა არ ფიქსირდება მოვლენათა ის ჯაჭვი, რომელსაც აღნიშნულ დღეს ჰქონდა ადგილი. როგორც პუბლიკაციიდან ირკვევა, დაკრძლვას ესწრებოდა სამღვდლოება ეპისკოპოს ალექსანდრეს მეთაურობით, თავად-აზნაურები, ქალაქის სამმართველოს, სათავადაზნაურო ბანკების და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლები, ქართული ინტელიგენცია და ხალხი, რომლებიც „ყოველი ფეხის გადადგმაზე შესამჩნევად ემატებოდა“. ღვაწლი, წმ. დიმიტრისა, იმთავითვე

გააზრებული ჰქონდა ქართველ ერსა თუ ბერს, რაც დასტურდება კიდევ სტატიის შემდეგი მონაკვეთიდან: "განსვენებულის საფლავზე ბ. აკაკი წერეთელმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ სავსე სიტყვა. ილია ჭავჭავაძეს სიტყვა არ წარმოუსთქვამს და კარგადაც მოიქცა. გარდაცვალებულის საფლავზე სიტყვას წარმოთქმენ სხვათაშორის, მისთვის, რომ შეატყობინონ საზოგადოებას გარდაცვალებულის ღვაწლი, სამსახური და მისი მიმართულება. მთელი საზოგადოება უსიტყვოთაც ძლიერ კარგად იცნობდა განსვენებულს, როგორც ეს საქმითაც დამტკიცდა. ამისთვის ამისთანა კაცების საფლავზე სიტყვის წარმოთქმა ჩვენ ნამეტნავად მიგვაჩნია. აგერ წინაზე ერთი დიდათ დამსახურებული და გამოჩენილი ქართველი დაასაფლავეს. ბევრი სიტყვები წარმოსთქვეს მის საფლავზე. მრავალ გზის წარმოთქვეს ხალხის წინ, „ცრემლი გვდის თვალებზე“, ვეღარ ვიკვებთ თვალებზედ ცრემლსაო“, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ერთი წვეთი ცრემლი არ ჩამოვარდნიათ თვალებიდან. აქ კი არავის არ უთქვამს ცრემლი გვდის თვალებზე, მაგრამ ღელესავით კი მოსდიოდათ ცრემლები. და რომელს სიტყვას შეუძლია დაწვრილებით შეატყობინოს საზოგადოებას განსვენებულის სამსახური, მიმართულება და თავგადასავალი?" (რედაქცია, „დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის დასაფლავება“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., № 24, გვ. 2-3).

დაკრძალვის პროცესს მშვიდად არ ჩაუვლია და პუბლიკაციაში აღწერილი სიტუაცია, სადაც ვკითხულობთ: „ადგილობრივ პოლიციის მეცადინეობით წესიერება მთელი პროცესის დროს მშვენივრად იყო დაცული“, ალბათ უფრო სარკასტული გაგებით უნდა მივიღოთ, რადგან იგივე პოლიცია არა თუ წესრიგისა და სიმშვიდის სადარაჯოზე იდგა, არამედ, როგორც დ. დამბაშიძის შვილის - ვახტანგ დამბაშიძის მემუარული ჩანაწერებიდან ჩანს, სადაც ავტორი იხსენებს მშობლებს შორის დიალოგს და მამის მონაყოლს, ყველაფერი გაუკეთებია აღნიშნული პროცესისათვის ხელის შესაშლელად, თუმცა უშედეგოდ: „პოლიციელნი გადაგველობნენ და არ გვიშვებდნენ სასახლისაკენ კუბო წაგვესვენებია და ისეთი წუთი დადგა, ყველანი აილესნენ, დამსწრეთა უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა და მეც დამავიწყდა ჩემი ხარისხიც და ანაფორაც და ისეთ გუნებაზე დავდექი, რომ მზად ვიყავი ხელჩართულ ბრძოლაში

ჩავრთულიყავი და სხვისი იარაღიც მეხმარა... ბოლოს ალექსანდრე ეპისკოპოსი მიაწვა პოლიციელებისაგან გაკრულ კედელს და ჯვრით გააპო მათი ურჩი წინააღმდეგობა“(დამბაშიძე ნ., „ვახტანგ დამბაშიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“, სამეცნიერო ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (7), თბ., 2010 წ., გვ. 203).

წმ. დიმიტრი ყიფიანის მოწამეობრივი აღსასრული იყო ერთ-ერთი პირველი ფაქტი, საიდანაც დაიწყო მისი თანამედროვეებისათვის დროის ათვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მიზნებით.

კიდევ ერთ, თუმცა ნაკლები საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე, მკვლელობას გამოეხმაურა გაზეთის რედაქცია ჯერ კიდევ 1885 წელს, როდესაც სიცოცხლე მოუსწრაფეს გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანს, კრიტიკოსსა და პუბლიცისტს ესტატე მჭედლიძეს¹⁷. „მწყემსი“ თავის 1885 წლის მაისის გამოცემაში (№10) იუწყებოდა „გასაოცარი და საზარელი მკვლელობის,, შესახებ, რომელიც რვა მაისს მოხდა ქუთაისში, დღისით, ხალხმრავალ ადგილზე და შეეწირა 32 წლის ახალგაზრდა კაცი (დამბაშიძე დ., „გასაოცარი და საზარელი მკვლელობა“, გაზ. „მწყემსი“, 1885 წ. № 10, გვ. 12-13). ამ ამბიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ე. მჭედლიძის მკვლელობის ინიციატორად გაზეთი „შრომა“, „მწყემსის“ რედაქტორს დ. დამბაშიძეს ასახელებდა: „დ. დამბაშიძე ეწეოდა დასმენას ქართულ პრესაზე და განუწყვეტლივ პროვოცირებას უწყობდა ე. მჭედლიძეს (ბოსლეველს). იგი იყო მთავარი წამქეზებელი ამ ახალგაზრდა პუბლიცისტის მკვლელობისა“ (მჭედლიძე გ., ქართული პრესის საწყისები ქუთაისში, ჟურნალი „განთიადი“, 1994 წ., №9 (12), გვ. 139). ამის პარალელურად გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორი ხაზგასმით ითხოვდა, რომ ეპოვათ მკვლელი და დაედგინათ, მკვლელობის მოტივი, რაც ნათელს მოჰფენდა რეალობას. აქვე აღსანიშნავია, რომ დაკვირვებული თვალისთვის შესამჩნევია სიმპათიის ნაკლებობა, რომელიც უნდა ჰქონოდა დ. დამბაშიძეს დასახელებული პირის მიმართ. პირველი, ის რომ მკვლელობის შესახებ მიძღვნილ პირველივე სტატიაზე, თანდართული ბიოგრაფიული ცნობები ესტატე მჭედლიძისა, შეიცავს ისეთ

¹⁷ ესტატე ბოსლეველი (მჭედლიძე) - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00002900/>.

ინფორმაციას, რომელიც მკითხველის თვალში ხსენებულ პიროვნებას წარმოადგენს, როგორც უნიჭო და უნიათო ახალგაზრდა კაცს, რომელიც გზას რომ არ ასცდენოდა, შეიფარა გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის ყოფილმა მდივანმა, რომელიც თვით მჭედლიძის წინამორბედი იყო აღნიშნულ თანამდებობაზე: „ე. მჭედლიძე იყო ერთი ღარიბი მღვდლის შვილი სვირის სოფლიდამ (ქუთაისის მაზრაში). შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გათავებისა, ის შევიდა თფილისის სემინარიაში, მაგრამ სემინარიის მეოთხე კლასიდან გამოვიდა; იმას სურდა სამთო ინსტიტუტში შესვლა, მაგრამ საჭირო იყო ატესტატი აელო გიმნაზიის კურსის ცოდნისა და მოწიფულობისა. თუმცა ბევრი ეცადა საწყალი, მაგრამ ვერ დაიჭირა ეკზამენი და ვერ მიიღო ეს ატესტატი. ბოლოს დაანება თავი სამთო ინსტიტუტში შესვლას და განიზრახა შესვლა მოსკოვში და თითქმის ორი წელიწადი ემზადებოდა ეკზამენის დასაჭერათ, მაგრამ საცოდავი ვერც ამ სასწავლებელში შევიდა. დაბრუნდა მოსკოვიდამ და კარგა ხანი უსაქმოდ იყო. ბოლოს სააზნაურო სკოლაში მიიღეს და თითქმის ისე მოირთო, რომ უნდა დამტკიცებულიყო მასწავლებლად, მაგრამ რადგან საჭირო სწავლის ცენზი არა ჰქონდა, არ იქმნა დამტკიცებული და ამიტომ უადგილოდ დარჩა. ამ დროებაში ესტატე მჭედლიძე მიიქცა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის სეკრეტარ განსვენებულ თეიმურაზ ლეჟავსთან. ამას ძლიერ შეებრალა მჭედლიძე და ურჩია, თხოვნა შეეტანა მის თანაშემწეობაზე ეპისკოპოსთან და ასეც მოხდა. ის დაინიშნა საეპარქიო კანცელარიის სეკრეტარის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. შემდეგ ლეჟავის გარდაცვალებისა, ის დაინიშნა ამ ხსენებული კანცელარიის სეკრეტარის თანამდებობის აღმასრულებლად.“ (დამბაშიძე დ., „გასაოცარი და საზარელი მკვლელობა“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 10, გვ. 13). გარდა ამისა, დეკანოზი დ. დამბაშიძე დასძენდა: „მკვლელობა, როგორი გვარიც უნდა იყოს და რა მიზნითაც უნდა ჩაიდინონ, ყოველთვის საზიზღარი ყოფილა, არის და იქნება...არ შეიძლება ეს საზიზღარი მკვლელობა უმიზეზოდ მომხდარიყოს.“ (რედაქცია, „ე. მჭედლიძის მკვლელობის გამო“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 11, გვ. 5-6).

როგორც ჩანს, იმავე თვეში (ოქტომბერში) იპოვეს მკვლელი, რასაც გამოეხმაურა გაზეთი „მწყემსი“ მცირე განცხადებით: „ბ. ესტატე მჭედლიძის მკვლელობის საქმე გათავდა 31 ოქტომბერს. მკვლელათ იცვნეს კონსტ. ქელბაქიანი, რომელსაც თერთმეტი წლით კატორღა გადაუწყვიტეს. ეს მკვლელობა ძლიერ გასაოცრად იყო მოხდენილი. მთელს საქართველოში არ მომხდარა ამ გვარი მკვლელობა“ („ახალი ამბები და შენიშვნები“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 22, გვ. 14), - წერდა გაზეთის რედაქცია.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასულიერო ორგანო „მწყემსი“ თავისივე სამოქმედო პროგრამით ნაგულისხმევი საქმიანობის გარდა, ეწეოდა აქტიურ ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობას და მისი პუბლიცისტური ხასიათი არ მოიცავდა მკითხველი საზოგადოებისათვის ვიწრო, რელიგიურ კონტექსტში ინფორმაციის მიწოდებას, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობასთან, მისგან გამოცემულ ცირკულიარულ დადგენელებებთან ერთად და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კავკასიაში და, კერძოდ საქართველოში საქმიანობის ამსახველ იმ თუ იმ ფაქტს.

გაზეთ „მწყემსის“ რედაქციის მიერ შესწავლილი და დაბეჭდილი ინფორმაციები, ერთობ მრავალფეროვანი, საინტერესო და აქტუალური საკითხების მიმოხილვითაა გაჯერებული.

თავი III. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხები გაზეთ „მწყემსში“

ჩვენი ქვეყნის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დიდი და შეუცვლელი როლი ეჭირა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების, განმტკიცებისა და ერის სულიერი ამაღლების საქმეში.

რუსეთის იმპერიისათვის ნათელი გახდა, რომ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებას ვერ მოახერხებდა ეკლესიის რეორგანიზაციის გარეშე. სწორედ ამიტომ საქართველოს დაპყრობისთანავე თვითმპყრობელობა შეუდგა საეკლესიო რეფორმის გატარებას რუსულ ყაიდაზე მის მოსაწყობად. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეგზარქოსად შეირჩა და დაინიშნა თავისი შავზნელი შეხედულებებით გამორჩეული რიაზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, ხსენებულმა სასულიერო პირმა თავისი შეუკავებელი უხეშობით დაიწყო საეკლესიო რეფორმების გატარება.

იმპერატორმა და სინოდის ობერპროკურორმა ა.ნ. გოლიცინმა მოიწონეს მის მიერ შემუშავებული სარეფორმო ღონისძიებათა პროექტი და სისრულეში მოსაყვანად გამოუგზავნეს კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალსა და საქართველოს მთავარმმართველ ა.პ. ერმალოვს. რეფორმა ითვალისწინებდა: საეკლესიო თავადაზნაურების მიღებას სახაზინო უწყებაში, მათ გადასახლებას საეკლესიო მიწებიდან თავისუფალ სახაზინო მიწებზე, იმპერატორის 1808 წლის 4 ივლისის ბრძანებულების მიხედვით, სასულიერო გლეხობის განთავისუფლებას ბატონყმური მოვალეობისაგან, ეკლესიისათვის იმ მიწებისა და გლეხების დაბრუნებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით იყო გადასული კერძო მფლობელობაში. ეს ღონისძიებანი სამღვდელთაგანათვის თითქოს არ უნდა ყოფილიყო დიდად მტკივნეული, მაგრამ მათზე აშკარა დარტყმას წარმოადგენდა თეოფილაქტეს მიერ წამოყენებული მოთხოვნები: დასავლეთ საქართველოში 8 ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო მხოლოდ 3 (იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში), მცირდებოდა ეკლესიების რიცხვი, კონტროლი წესდებოდა მათ შემოსავალ-გასავალზე, პროდუქტების მაგივრად

საეკლესიო ყმებს უნდა გადაეხადათ ფულადი მოსაკრებელი. რეფორმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საეკლესიო გადასახადებისა და ეკლესიის მსახურთა შემოსავლების ზრდა და სამღვდელოების ხელფასზე გადაყვანა (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 233-234).

როგორც ჩანს, აღნიშნული საკითხის ირგვლივ მსჯელობას აქტუალობა არც საუკუნის დასასრულს დაუკარგავს, ვინაიდან გაზეთ „მწყემსის“ 1890 წლის ივნისის ნომერში (12) ვკითხულობთ რედაქტორის მიერ დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილს „საერო ჟურნალ-გაზეთთა მსჯელობა სამღვდელოების ჯამაგირებისა და მათი ნივთიერი მდგომარეობის შესახებ“, სადაც ავტორი საუბრობდა იმ პოლემიკაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ საზოგადოებაში ხსენებული თემატიკის ირგვლივ: „სწორედ გასაოცარი და საარაკონი არიან ზოგიერთების წარმოთქმული აზრები, ისიც ბეჭდვითი სიტყვით, ჩვენი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების და მათთვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. ყველას ჰქონდა უფლება თავისი აზრი გამოეთქვა ხსენებული კითხვის შესახებ და, მართლაც, ყველანი თავისებურად სჯიდნენ ამ საგანზე. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ სამღვდელოება უჯამაგიროდ უნდა მსახურობდეს სამრევლოებს, რადგან *უსასყიდლოდ მიუღებესთ და უსასყიდლოდ მისცემდნენ*, ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ სამღვდელო პირთაც უნდათ სმა-ჭამა და ცხოვრება და ამიტომ მათაც უნდა დაენიშნოს ჯამაგირები მათი სამსახურისა მეტად. ზოგნი ამტკიცებდნენ და დღესაც ამტკიცებენ და ამათ ეთანხმებიან სამღვდელო პირნიც, რომ ჩვენს სამღვდელოებას მეტად ამცირებს ხორაგეულობის და დრამის კრება სამრევლოში და ამასთან ამ გარემოებას მეტად ცუდი ზეგავლენა აქვს როგორც სარწმუნოებაზე, ისე ზნეობაზეო. ვიდრემდის ჩვენი სამღვდელოება ხელში შეჩერებია სამრევლოს, ვიდრემდის ჩვენი სამღვდელოების ცხოვრება დამოკიდებული იქნება მრევლზე, მათგან მისაცემ დრამაზე და საჩუქრებზე, მანობამდის სიკეთე არ იქნება და მღვდელი, მქადაგებელი ქრისტეს სახარების სწავლისა და სარწმუნოებისა, ხალხის თვალში არ ამალღდება და არავითარი გავლენა არ ექნება ხალხში. ერთი სიტყვით, სამღვდელოების დამამდაბლებელ მიზეზად, სარწმუნოებისა და ზნეობის დამამცირებლად და დამასუსტებლად მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ ზოგიერთებს დრამის ფულის და საჩუქრების მიღება და თავის მამულში მიწის მუშაობა

სამღვდელოების მხრით. ზოგნი პირიქით ამტკიცებდნენ რომ თუ სამღვდელოებას ჯამაგირი დაენიშნება, იგი მაშინ მთლად გაზარმაცდება და თავის სამსახურს გულით აღარ მოეკიდება, რადგან დარწმუნებული იქმნება, რომ ჯამაგირს მაინც მიიღებს თავის დროზეო და სხვ. და სხვ.“ (ღამბაშიძე დ., „საერო ჟურნალ-გაზეთთა მსჯელობა სამღვდელოების ჯამაგირებისა და მათი ნივთიერი მდგომარეობის შესახებ“, გაზეთი „მწყემსი“, 1890 წ., № 12, გვ 3-4).

ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური დამონება მიღწეული ვერ იქნებოდა, ვიდრე ცარიზმი ეკლესიის დამოუკიდებლობას არ მოსპობდა და მას თავისი რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის ერთგულ მსახურად არ გადააქცევდა (ბერძენიშვილი 1971: 248). ეგზარქოს ევსევის, იმერეთში მოგზაურობისას მლოცველები ვერ უნახავს, რის გამოც გაოცება ვერ დაუმაღავს. რუსი საეკლესიო მმართველობა თავს იმით ინუგეშებდა, რომ, რახან ეკლესიებში ქართველი ხალხი არ დადიოდა, დამშვიდებით შეეძლოთ ეკლესიები დაეკეტათ, მიზეზი კი ნაკლებად აინტერესებდათ, თუ რამ გამოიწვია ქრისტესმოყვარე ერში სარწმუნოების ესოდენ დაქვეითება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში ექსარხოლობის პერიოდში დაიკარგა მრავალი საეკლესიო ხელნაწერი: "მტკვარში იქნა გადაყრილი საქართველოს ეკლესიის დადგენილებები და კანონები, ცეცხლს მისცეს უძველესი საეკლესიო დოკუმენტები, ნაწილი კი პეტერბურგში იქნა გადატანილი... თანამედროვე ეტაპზე 860 ტაძარზე მეტი დგას ღვთისმსახურების გარეშე." (დურნოვო 1907).

XIX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან მიმდინარე საეკლესიო რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საეკლესიო ქონების აღწერა და სამართავად ხაზინისათვის გადაცემა. ამ ქონებაში უმთავრესი მიწის ფონდი იყო. მაშინ ამ ღონისძიების განხორციელება სახალხო აჯანყების გამო არ მოხერხდა და მომავლისათვის გადაიდო. ხელისუფლებამ ამ მსუყე ლუკმის ხელში ჩაგდება 50-იანი წლების დასაწყისში მიიჩნია შესაძლებლად და იმპერატორის რესკრიპტი საეკლესიო ქონების სამართავად ხაზინისათვის გადაცემის შესახებ 1852 წლის 5 ნოემბერს გამოქვეყნდა. აქამდე ცალკეული ეკლესია-მონასტრების მღვდლებსა და წინამძღვრებს საეკლესიო ქონების (განსაკუთრებით მიწების) კუთვნილების დასამტკიცებლად

სასამართლოებში იმდენი დავა ჰქონდათ, რომ მათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებაშიც კი ეშლებოთ ხელი, ამიტომ დავით მიტროპოლიტი მოწონებითაც კი შეხვედრია ამ არცთუ სასიამოვნო ფაქტს (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 262). 1869 წლის 13 ნოემბრის კანონით, აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონება ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა და სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში ჩაირიცხა (ვაჭრიძე 2006: 95).

მართალია, იმპერატორის ზემოხსენებული რესკრიპტი პირდაპირ მიემართებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების სამართავად ხაზინისათვის გადაცემას, მაგრამ ეს ღონისძიება იმერეთსა და გურიაშიც უნდა განხორციელებულიყო. თუმცა საქმე ამჯერადაც შეფერხდა. საჭირო გახდა იმერეთის საეკლესიო ქონების ხელახლა აღწერა. იმპერატორის ბრძანებულებით იგი დაევალა საგანგებო დროებით კომისიას, რომელმაც ხანგრძლივი მუშაობის შემდეგაც საბოლოოდ ვერ მოაგვარა ეს საკითხი. 15 საუკუნის განმავლობაში დაგროვილი ქონების კუთვნილების გარკვევა იოლი არ გამოდგა. 1860 წელს ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორი გ. ერისთავი კავკასიის სამეფისნაცვლოს წინაშე აყენებდა კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელების საკითხს და წერდა: „საეკლესიო ქონება გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმწიფოსი, ამიტომ მისი აღწერა-მიმოხილვა ხანგრძლივ დროსა და დიდ შრომას მოითხოვს“ (იქვე, 59). ასე რომ, ეკლესიის ქონების გასახელმწიფოებრიობის საქმე გახანგრძლივდა და კვლავ ვერ განხორციელდა.

1885 წლის 28 ივნისს, იმპერატორის ბრძანებულების თანახმად, საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიები ხელახლა გადანაწილდა. ახალი განაწილების მიხედვით: ა. იმერეთის ეპისკოპოსს სამთავროდ რჩებოდა ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრების ეკლესია-მონასტრები; ბ. გურია-სამეგრელოს საეპისკოპოსოს სახელწოდებით გაერთიანდა გურიის საეპისკოპოსო და სამეგრელოს სავიკარო (საქორეპისკოპოსო). ამ ეპარქიაში შევიდა ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრები, ბათუმის და ართვინის ოლქები. ეპისკოპოსის კათედრად დაუდგინდა ქ. ფოთის (ალექსანდრე ნეველის) და მარტვილის (ღვთისმშობლის მიძინების) ტაძრები; გ. ნაცვლად აფხაზეთისა, შეიქმნა სოხუმის ეპარქია, რომელშიაც, გარდა სოხუმის ოლქისა, შევიდა შავიზღვისპირეთის

ოლქის ნაწილი (ქალაქები: ნოვოროსიისკი, ანაპა; სოფლები - ველიამინოვსკი, გელენჯიკი, ჯუბა, ვულანსეკი, ადლერი; პოსტიდოხოვსკი (სოჭი) და აქამდე კავკასიის ეპარქიაში შემავალი სოფ. ვესელაია). სოხუმის ეპისკოპოსს კათედრად გამოეყო სოხუმის ალექსანდრე ნეველის ტაძარი (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 281-282). აღნიშნული ფაქტის შესახებ წერდა გაზეთი „მწყემსიც“ იმავე წლის №15-ში რუბრიკაში სახელწოდებით „მატიანე საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა“, სადაც რედაქცია იუწყებოდა რომ დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს საეგზარქოსოში ხუთი ეპარქიის დაარსების საქმე დასასრულს იყო მიახლოებული („მატიანე საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ. №15, გვ. 13).

საეკლესიო მამულებისა და ყმების პრობლემა, ისევე როგორც სასულიერო პირების ჯამაგირისა, რომელზედაც ზემოთ ვისუბრეთ, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულშიც საკმაოდ მტკივნეულად იდგა ქართული საზოგადების წინაშე. სიაჩამონათვალი ისე იყო შედგენილი, რომ მას საეკლესიო უწყებისათვის ნაკლები იურიდიული ძალა ჰქონოდა. ეპისკოპოსი გაბრიელი ქუთაისის გუბერნატორს წერდა, რომ მასში შეტანილია ობიექტები ადგილმდებარეობის მითითების გარეშე, ზოგი მათგანი გაცემულია იჯარით არა მარტო საეკლესიო, არამედ სხვადასხვა წოდების პირებზე, ხოლო ნაწილი სადავოა. ამის გამო, სიაში მითითებული ქონების რეალურად მიღება ბევრ სიძნელეს იქნება დაკავშირებული. მალე ნათელი გახდა, რამდენად სწორი იყო ეპისკოპოს გაბრიელის ეს ვარაუდი. თუმცა საეკლესიო ქონების ხაზინისათვის გადაცემამ წარმოშვა სხვა პრობლემებიც, რომლებმაც დასავლეთ საქართველოში საადგილმამულო ურთიერთობათა შემდგომი გამწვავება გამოიწვია (ვაჭრიძე 2006: 100-101).

საეკლესიო ქონების გადაცემას ხაზინის საკუთრებაში ნ. დურნოვო თავის წიგნში „ქართული ეკლესიის ბედი“ - ეკლესიის უსინდისო გამარცვას უწოდებს. რუსული ხაზინა, - ამბობს მოძღვარი ვოსტორგოვი, - წერს ნ. დურნოვო, ჩამორთმეული ადგილმამულების სანაცვლოდ, ქართულ ეკლესიას ყოველწლიურად უხდის 125.000 მანეთს. შევნიშნავთ, რომ ეს მიწები 140 მილიონ მანეთადაა შეფასებული...რასაც ამჟამად

ქართული ეკლესია რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდან ღებულობს, მისი საეკლესიო ქონების შემოსავლების 1%-ს არ შეადგენს (ვაჭრიძე 2006: 103).

ზემოხსენებულ თემასთან დაკავშირებით 1892 წლის მაისის ნომერში (9), „მწყემსის“ რედაქცია გამოქვეყნებულ წერილში „გვაქვს და მოხმარება არ ვიცით“, წერდა: „ჩვენში, კაი ხანია, მოისპო ბატონ-ყმობა საერო წოდებაში. საბოლოოდ განისაძღვრა მებატონეთა და ყმათა უფლებანი და ურთიერთ შორის დამოკიდებულებანი. დიდ ხანს არ გაუვლია საერო წოდებაში ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, რომ კითხვა აღიძრა სასულიერო წოდებაში ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებაც. განიდრახეს ეკლესიებისა და მონასტრებისაგან ყმების და მამულების ჩამორთმევა. ეს კითხვა მალე დაბოლოვდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი საძნელო და რთული საქმის გადაწყვეტა ძლიერ მოჩქარებით მოხდა. საერო წოდების მეუფროსენი და გამგებელნი ყოველივე ზომას ხმარობდნენ, რომ ეს საქმე მათდა სასარგებლოდ გათავებულიყო და მონასტრების და ეკლესიების სარგებლობაზედ ბევრს არაფერს ზრუნავდნენ, თითქო ეკლესია და სახელმწიფო სხვა-და-სხვა დაწესებულება იყოს... აიღეთ წინანდელი დაფასებულება საეკლესიო მამულებისა, შეადარეთ ამ მამულების უწინდელი შემოსავალი დღევანდელს ფასს და შემოსავალს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენს ეკლესიებს მაინც და მაინც ბევრი არ მოუგია რა თავისი მამულების სახაზინო უწყებაში გადაცემით“ (ლამბაშიძე დ., „გვაქვს და მოხმარება არ ვიცით“, გაზეთი „მწყემსი“, 1892 წ., №9, გვ. 8-9)

იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობა ქართველ სამღვდელოებას „მისი მოვალეობისათვის შეუფერებელი საქმიანობის - მამულების მართვისაგან“ ათავისუფლებდა, თავად საქართველოში, აფხაზეთში, 1874 წელს, ძველი ანაკოფიის ადგილას ათონის (საბერძნეთი) მონასტრის ფილიალი - სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის ეკლესია დააარსა. შემდეგ ააგო სხვა ეკლესიები და ახალი ათონი შავიზღვისპირეთში უდიდესი რუსული საეკლესიო ცენტრი გახდა. ხაზინას ქართული ეკლესიის მამულების მიღება დამთავრებული არ ჰქონდა, როცა ახალი ათონის მონასტერს 3.278 დესეტინა, ხოლო დრანდის ეკლესიას (დაარსდა 1885 წ.) 300 დესეტინა მიწა გადასცეს. ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის მამულებით უზრუნველყოფას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა შემდეგაც. 1892-1893

წლებში მას დამატებით გადაეცა 2.045 დესეტინა მიწა. მთავრობის ასეთი ყურადღება ახალი ათონის მონასტრისადმი იმითი იყო განპირობებული, რომ იგი კავკასიურ შავიზღვისპირეთში, ძირითადად აფხაზეთში, თვითმპყრობელობის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა და თავს უყრიდა უკიდურესად რეაქციულ, შოვინისტურ ძალებს (ვაჭრიძე 2006: 103).

ქართველებში, აშკარად, შემცირდა მორწმუნეების რიცხვი იმ ასწლიანი პოლიტიკის წყალობით, რასაც ატარებდა იმპერია საქართველოს ეკლესიის ეპარქიებში. ქართული ეკლესია, ფაქტობრივად, გადაიქცა იმპერიის ბიუროკრატიულ დაწესებულებად. ერთის მხრივ, წირვა-ლოცვების რუსულ ენაზე აღვლენამ, მეორეს მხრივ, კი ეკლესია-მონასტებიდან დიდძალი მვირფასეულობის გატანამ და მითვისებამ, ეკლესიისათვის ადგილ-მამულების ჩამორთმევამ, ზოგადად, უსამართლობის განცდამ, სამღვდელოებას და მრევლს შორის უფსკრული გააჩინა - „ხალხი აღარ დაიარება ეკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად, გაუგრილდა მას გული ეკლესიებში სიარულზედ; ვიდას ნახავთ ბატონო ეკლესიებში კვირა-უქმე დღეებში?“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1887 წ., № 18, გვ. 5), - წერდა 1887 წლის ნომერში (18), არსებული რეალობის გათავისებით დამწუხრებული გაზეთის რედაქტორი. ჩანს, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1885 წელს გამოცემული ცირკულიარი რომლის თანახმადაც, კვირა დღეს, წირვა-ლოცვის დამთავრებამდე, ოფიციალურად იკრძალებოდა ყოველგვარი საქმიანობა და იკეტებოდა ყველა, სავაჭრო და სასმლის გასაყიდი დაწესებულება, ტაძარში წირვაზე დასწრების „აუცილებლობის“ საბაბით, ყოველდღიურ ცხოვრებაში მაინც ვერ განხორცილდა და მკვიდრად ვერ მოიკიდა ფეხი (ცირკულიარი, გაზ. „მწყემსი“, 1885 წ., № 12, გვ. 3).

მოსახლეობა ხედავდა, თუ რაოდენ შემცირდა სასულიერო პირების რაოდენობა, რომლებიც მათ რეალურ, სულიერ საზრდოს სთავაზობდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა სიღმისეული სასულიერო განათლებით ვერ დაიკვებნინა და სემინარიიდანვე განიცდიდნენ „ცარისტული“ პროპაგანდის ზეგავლენას. მათ შორის, ეკლესია-მონასტრებშიც, სადაც მოღვაწეობდნენ. წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა უმეტესად, რუსულ ენაზე და თვით სასულიერო ხასიათის ლიტერატურა არ

მოიპოვებოდა ქართულ ენაზე შედგენილი: „აბა ჩამოიარეთ ჩვენი სატახტო ქალაქ თბილისის მართლ-მადიდებელი ეკლესიები, თუ თქვენ რომელიმე ტაძარში ნახოთ რაიმე წიგნაკი, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსისა ქართულ ენაზე! ზოგიერთს ადგილას, დიდის თავმომწონეობით დაუბარებიათ რუსული წიგნაკები „ბაპტისების“ და „მოლაკნების“ წინააღმდეგ და ფულით რომ არავინ ყიდულობს, მუქთად აძლევენ ხელში მლოცველებს. განა ეს არის ჭეშმარიტი ზრუნვა ჩვენი სამწყსოის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განათლების და განვითარების შესახებ? არა და არა. დროა, რომ ჩვენი მოვალეობის მტკიცეთ აღსრულებას ყურადღება მივაქციოთ და სამწყსოთა ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ.“- წერდა „მწყემსის“ რედაქტორი 1893 წელს (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1893 წ., №8, გვ. 4).

მცირერიცხოვანი, ეროვნული ფასეულობების მქონე სასულიერო ძალა, შვენიერობული და უფლებააყრილი ცდილობდა, მრევლი არ გადაეყვანა ჭეშმარიტების მაძიებლის გზიდან და საკუთარი სამსახურეობრივი თანამდებობის თუ პირადი უსაფრთხოების გარისკვის ფასადაც ექადაგა ქართულად, ეროვნული ღირებულებების დაცვით. დიდად დამწუხრებული „მწყემსის“ შემფოთებული რედაქტორი წერდა: „თუ ოდესმე ეჭირებოდა ჩვენს ხალხს წაქეზება, ცხოველი მაგალითების ჩვენება, მამობრივი რჩევა-დარიგება კეთილ-ზნეობაზე და ქრისტეს სწავლებაზე, - ყველა ესეები დღეს ერთი ორად საჭიროა მისთვის. ჭეშმარიტება მწარეა ზოგიერთათათვის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას და ჩვენც დიდის გულმტკივნეულობით აღვიარებთ, რომ ჩვენს ხალხში, ჩვენდა სამწუხაროდ, თავი იჩინა სარწმუნოებრივმა გულ-გრილობამ და ამის განუყრელმა ამხანაგმა - ზნეობრივმა დაცემულობამ და სისუსტემ. სითაც უნდა გაიხედო, ცხადით რწმუნდებით ამ სამწუხარო მოვლენაში“ (დამბაშიძე დ., „წინანდელი და ახლანდელი მდგომარეობა ჩვენი მონასტრებისა და მათი ზნეობრივი გავლენა ხალხზე“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 10, გვ. 7).

სამწუხაროდ, სიტუაცია იმდენად სავალალო ხასიათისა იყო, რომ ქართული ეკლესია-მონასტრები იძარცვებოდა, არა მხოლოდ პირდაპირ იმპერიის ქვეშევრდომთა მიერ (დურნოვო 1907)¹⁸, არამედ გაურკვეველ ვითარებაში, (თუმცა,

¹⁸ „საქართველოში გამწესებული რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასამარცვავ მხარეს...გელათიის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონებად ღირებული განძეულობა; მათ შორის იყო: 1) ოქროთი მოჭედილი, ტიხრული

ახლა უკვე ბევრი რამ გარკვეული და ცხადია) დაჯგუფებებისგან, რომელთა რელიგიურ გრძნობებზედაც საუბარი უადგილო იქნება ჩვენი მხრიდან. ამ ფაქტების დამადასტურებელ, არა ერთ ცნობას გვაწვდის გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია. რამდენიმე მათგანს აქვე მოვიყვანთ. მაგალითად:

1885 წლის ნომერში (5), გაზეთ „მწყემსის“ რედაქციამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთის ეპარქიაში ეკლესიების მარცვა-გლეჯა თანდათან გახშირდა და ამ საქმის მოთავეებად ასახელებდა ლეკებს, რომლებიც იმკობდნენ მოპარული ძვირფასეულობით ხმლებს, სატევარებსა და სხვა იარაღებს („ახალი ამბები და შენიშვნები“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 5, გვ. 13). იგივე სასულიერო ორგანო იმავე 1885 წელს მსგავს, ორ სამწუხარო ინფორმაციას იტყობინება, სადაც ქურდების შესახებ, ხაზგასმით, ორაზროვან პოზიციას იჭერს: „ჩვენ გვატყობინებენ სურამიდან, რომ

მინანქრით გაწყობილი XI საუკუნის უძველესი ქართული სახარება“. “ეს სახარება ეგზარქოს ევსევის ნებართვით გელათიდან გაიტანა ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშევმა, რომელმაც მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა საზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით. ამჟამად ეს ძვირფასი ოქროს მჭედლობა ინახება პეტერბურგში, სტროგანოვის მუზეუმში, სადაც იგი გრაფ პანინის მიერ იქნა ჩატანილი. ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში იძლეოდნენ ასი ათას ფუნტ სტერლინგს. 2) ოქრომკედლით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოსების პატრიარქის შესამოსელი...ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული. მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებულ იქნა გულქანდების დასამზადებლად... განძეულის დატაცებასა და შეცვლაში ადანაშაულებდნენ გრაფ პანინსა და გენერალ ლევაშევს, რომლებმაც ნებართვა ეგზარქოს ევსევისგან აიღეს.

ამავე დროს, ეგზარქოს ევსევის ხელშეწყობით სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ძვირფას მორთულობასთან ერთად გაქრა მრავალი ძვირფასი ნივთი და სამღვდელმთავრო ამფორებიდან და ბისონებიდან ფუთობით მოხსნილი თვალ-მარგალიტი. ზუსტად ასევე გაქრა აურაცხელი ძვირფასეულობა: ოქროს ჭურჭელი, ჯვრები და სხვა განძეული მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის და სხვა საკათედრო ტაძრებიდან. ამათ მიჰყვა განძეულობა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოდან, ჯუმათის, შემოქმედისა და სხვა მონასტრებიდან...” ცოტა ხნის წინათ, ეპისკოპოს კირიონის თქმით, სიონის ტაძრის საეკლესიო სალაროში ინახებოდა მინიატურებიანი ხელნაწერები. “ისინი ეგზარქოსის ნებართვით წაიღო გრაფმა ბობრინსკიმ; ხელნაწერებიდან ამოჭრა მინიატურები, – დაიკარგა მინიატურებიცა და ტექსტიც, რომელიც მინიატურების უკანა მხარეს იყო მოთავსებული. (იხ. საეკლესიო უწყებები. 1906, №47, გვ.16)...დოქტორი ერისტოვო-შერვაშიძე თავის წიგნში “სამახსოვრო წერილი ქართველი ხალხის გაჭირვებათა შესახებ” ამბობს: „რასაც ქართველი ხალხი ოდითგანვე სასოებით ინახავდა და იცავდა, ამჟამად დღისით და მზისით იმარცვება, მრავალსაუკუნოვანი ჩვენი ტაძრები მძარცველთა საკუთრება გახდა, მონასტრები გაპარტახების წყვდიადში იძირებიან ანდა უმეცარი ბერების (ათონელი რუსების) მიერ იბილწებიან. ვინ იყვნენ მთავარი გამტაცებლები? რუსი ეგზარქოსები. ეგზარქოს ევსევის მიერ საქართველოში გამარცულ იქნა თითქმის ყველა მონასტერი. როგორც ქართული ეკლესიის ქომაგი ზემოთდასახელებული ავტორი ამბობს: „მათგან გამარცულ იქნა ისეთი სალოცავები, თურქ-ოსმალთა შემოსევებს რომ გადაურჩა“.

იქაური მართლმადიდებელი ეკლესიის გატეხა განუზრახავთ ქურდებს, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რადგან გამვლელ-გამომვლელებს მოუშლიათ.“ „იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ჭალის ეკლესია გაუტეხიათ და ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი წარუღიათ. ქურდები დღესაც ვერ უნახავთ. საკვირველად გახშირდა ეკლესიების ცარცვა. სტოროჯობა, ვგონებ თითქმის ყველგან არიან დაყენებულნი, მაგრამ ეკლესიები მაინც იტეხებიან ქურდებისაგან...“ („ახალი ამბები და შენიშვნები“, გაზეთი „მწყემსი“, 1885 წ., № 17, გვ. 11).

მოპარული საეკლესიო ნივთების წაღება ვერ მოასწრეს სოფელ შროშაში, სოფლის მოსახლეობის ჩარევის გამო „მწყემსის“ ცნობის თანახმად 1886 წელს. თუმცა აქ ქურდების ვინაობაზე რედაქცია არავითარ ინფორმაციას იძლევა („ახალი ამბები და შენიშვნები“, გაზეთი „მწყემსი“, 1886 წ., № 6, გვ. 7).

რაც შეეხება 1889 წელს დაბეჭდილ სტატიას, სახელწოდებით „შენიშვნა შენიშვნაზე“, გაზეთის რედაქცია ეხმაურება გაზეთ „Нов. Оиоз“-ში გამოთქმულ აზრს, იმის შესახებ, რომ ეგზარქოსმა პალლადიმ დიდი ყურადღება მიაქცია „საეკლესიო ქონებათა და ქრისტიანულ ძველ ნაშთთა დაცვას“, რაც მის ეგზარქოსობამდე ვერ ხორციელდებოდა ეკლესიურ ქონებათა არაჯეროვანი სიების არსებობით. საკვირველი სისწრაფით იკარგებოდა ძვირფასი ნივთები და საგნები, რომლებიც შემდეგში ჩნდებოდნენ ევროპის სხვა და სხვა მუზეუმებში.

„მწყემსის“ რედაქციამ სრულიად გაიზიარა შენიშვნის პირველი ნაწილი, პალლადისტან მიმართებაში, მაგრამ გააპროტესტა სიების არარსებობის შესახებ მსჯელობა: „უწმინდესი სინოდის განკარგულებით, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ განაახლა ეს სიები საქართველოს საექსარხოსოს ყველა შესანიშნავ მონასტერში, მაგრამ სიებმა მაინც ვერ გადაარჩინა ტაძრები და მონასტრები ზოგიერთ ძვირფას ნივთთა გაბნევისა და გამარცხისაგან. ძლიერ გვიკვირს, რომ ამ შენიშვნის ავტორმა სრულად უყურადღებოდ დატოვა უფრო ნამდვილი და საპატიო მიზეზები ამ ცარცვა-გლეჯისა...“ („შენიშვნა შენიშვნაზე“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 7, გვ. 8).

„ნამდვილი და საპატიო მიზეზების“ შესახებ კი ბევრის გაგება შეიძლება რუსი ისტორიკოსისა და ფილოლოგის ნ. დურნოვოს ნაშრომიდან „ქართული ეკლესიის

ბედი“, რაზედაც ნათელი წარმოდგენა, ცხადია, ექნებოდათ, როგორც „მწყემსის“ რედაქტორს (ჩვენი აზრით, მითითებასაც სწორედ ამ მიმართულებით აკეთებს. - თ.ჭ.), ასევე ქართული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებსაც: „ეგზარქოს პავლეს დროს მეტეხის ეკლესიიდან გაქრა ოქროთი მოჭედილი მეტეხის ღვთისმშობლის (ბეთლემის) სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც ღირდა 50 ათასი მან. მასში ჩაწყობილი იყო წმინდანთა ნაწილები. წმინდა ხატი ცხრაკლიტულში იყო გადამალული. 1891 წელს, ეგზარქოს პალადის დროს, იგი ნაპოვნი იქნა ამავე ეკლესიის სხვენზე, მაგრამ მოჭედილობა აღარ ჰქონდა. ეგზარქოს პავლეს დროს სიონის ტაძრიდან გაქრა ნინოწმინდის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც ძვირადღირებული ოქროს მოჭედილობა ამშვენებდა. საქმე უკეთესად არ იყო ეგზარქოს პალადის დროსაც. მან თავის საყვარელ მხატვარს, სომეხ საბინგუსს, თითქოს ახალი მოჭედილობის გასაკეთებლად, ნება დართო, სამეგრელოსა და გურიის მონასტრებიდან გაეტანა უძველესი ხატების საუკეთესო და ძვირფასი მოკაზმულობა. საბინგუსმა მარტვილის, ხობის, ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიდან წაიღო ძვირადღირებული და ოსტატურად შესრულებული მომინანქრებული ხატები, მანამდე კი გელათის მონასტრის ხატებიდან “აწაპნა” არაჩვეულებრივი ტიხრული მინანქარი. მონასტრებიდან წამოღებული მთელი განძეულობა საბინგუსმა ეგზარქოს პალადის წარუდგინა. მან კი ნება მისცა, რომ ყველაფერი ეს გაეყიდა“. ნაწილი მინანქრებისა შეიძინა ცნობილმა სიძველეთა მოყვარულმა გრაფმა ზვენიგოროდსკიმ. ამჟამად საქართველოს საუკეთესო და მდიდრული მანუსკრიპტები ინახება ლონდონის, პარიზის, ვენის, ბერლინის, რომის ბიბლიოთეკებში, სადაც ისინი საღებოდა ფულისმოყვარულ ეგზარქოს ევსევის დროს. სამაგიეროდ თბილისის მუზეუმებში შეიძლება იხილოთ მინიატურებ-ამოჭრილი უამრავი მანუსკრიპტი. ამას აკეთებდა ბევრი რუსი მაღალი წოდების პირი.“ (დურნოვო 1907).

1894 წლის „მწყემსის“ ნომერში (10) დეკ. დ. ღამბაშიძე, ვრცელ საავტორო სტატიაში წერდა, რუსულ გაზეთ „РУССКАЯ ЖИЗНЬ“ -ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის შესახებ, რომლის თანახმადაც საქართველოს ეკლასია-მონასტრებიდან უნდა მომხდარიყო შეკრება უკლებლივ, ყველა, ფასეული ნივთისა: ჯვრების, ხატების, წიგნებისა და ა.შ., რომელთა მოთავსებაც გადაწყვეტილი იყო თბილისში -

საქართველოს საეკლესიო მუზეუმში¹⁹. აღნიშნული მუზეუმი დაარსდა ჯერ კიდევ 1888 წელს, ისტორიკოსისა და მეცნიერის, დ. ბაქრაძის ინიციატივით და ეგზარქოს პავლეს თანხმობით. ამ უკანასკნელის საქმე შემდგომ გააგრძელა საქართველოს მომდევნო ეგზარქოსმა პალლადიმ.

სტატიის თანახმად, თავდაპირველი გეგმა არ ითვალისწინებდა ხატებისა და ჯვრების გატანას ეკლესია-მონასტრებიდან და მხოლოდ ის ნივთები უნდა გატანილიყო, ისიც ტაძრის წინამძღოლის თანხმობით, რომლებიც აღარ გამოყენებოდა აქტიურად ან დაზიანების საფრთხეს განიცდიდა. თუმცა ის, რასაც დასახელებული რუსული გაზეთი წერდა, ახალი ინფორაცია იყო ქართველი სამღვდელოებისათვის და ნაკლებ სარწმუნოც, მით უმეტეს იმისი გათვალისწინებით, რომ როგორც დღეს ჩვენთვისაა ცნობილი, თავად დეკანოზი ერთ-ერთი მონაწილე იყო საეკლესიო მუზეუმის დაარსების პროცესისა. ავტორი აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად მისგან საერთო იდეის თანაზიარობისა, არ ეთანხმებოდა ბაქრაძისეულ პოზიციას, რომელსაც მიაჩნდა, რომ მთელი განძეული ერთ შენობაში უნდა შეეგროვებინათ მისი დაცვის მიზნით. ღამბაშიძის აზრით, საუკუნეობრივ ქარტეხილებს გადარჩენილ განძს არაფერი ემუქრებოდა და ისტორიკოსის ეს იდეა ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ერთის მხრივ, რწმენით, რომ საქართველოში ეგზარქოსობა საუკუნოდ გაგრძელდებოდა (რასაც თავად ღამბაშიძე არ იზიარებდა) და, მეორეს მხრივ, კერძო გამორჩენით.

დეკანოზი კატეგორიულად უარყოფდა იდეას, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტები დაეცარიელებინათ და ამით „პატივი აეხადათ“ მათთვის (ღამბაშიძე დ., “რა არის მართალი“, გაზეთი „მწყემსი“, 1894 წ., №10, გვ. 5-8).

ამ ყველაფრის ფონზე რუსული ბიუროკრატიული აპარატი აქტიურად აწარმოებდა სამღვდელოების მოქრთამვა-მოსყიდვას სხვადასხვა ტიპის ჯილდოებითა და პენსიებით (რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკების მიერ, ქართველი სასულიერო პირების დაჯილდოვებასთან დაკავშირებული ცნობების, არასრული ნუსხა, წარმოდგენილი გაზეთ „მწყემსში“, 1884 წ., № 11, გვ. 2, 1885 წ., №17, გვ. 2, 1892

¹⁹ თბილისის საეკლესიო მუზეუმი -

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98

წ., № 5, გვ. 9, 1892 წ., № 10, გვ. 12). რაც ჩანს, რომ კარგადაც მუშაობდა ქართველი სასულიერო პირების გადაგვარების მიმართულებით, რის დასტურადაც, გაზეთის ერთ ნომერში, რამდენიმე თემად გაყოფილ წერილს ვკითხულობთ რედაქტორისას, საიდანაც ერთში იგი სამღვდელოებას საყვედურობს უმოქმედობასა და მდუმარეობას, ნაცვლად საყოველთაო სიმაართლის სადარაჯოზე დგომისა და მათ პირდაპირ ამხელს: „ყველა ჩივის, ყველა სწუხს, რომ სარწმუნოება და ზნეობა სუსტდება ხალხში და უმართებულობა და ცუდ-კაცობა მატულობსო. მე ყურადღებით ვადევნებ თვალს ზოგიერთებისგან დასახელებულს მიზეზებს ამ სამწუხარო მოვლენისას, მაგრამ ცხადით ვხედავ, რომ არც ერთი მიზეზი არ არის ნამდვილი და შესაწყნარებელი. ყველანი ფარავენ სიმაართლეს, ყველანი თვალს არიდებენ ნამდვილ მიზეზთ, ყველანი დამნაშავენი არიან სიმაართლის წინაშე. რამოდენი დრო გადის და აბა მიიხედ-მოიხედეთ, თუ სადმე ხედავთ მოწამეებს სიმაართლისა და სარწმუნოებისათვის? წინეთ რით მტკიცდებოდა სარწმუნოება და ზნეობა ხალხში? მოწამეებით, რომელთა რიცხვი მრავალი იყო. დღეს? დღეს ყველას თავის გაბედულება აღარ აქვს, ეშინია: „ვაი, თუ ჯილდოზე აღარ წარმადგინონო, ვაი თუ პენსია დამეკარგოსო, ვაი თუ ბიჯი ვეღარა წარვსდგაო და სხვა და სხვა... აი ჭეშმარიტად საგულისხმო სიტყვები, აი ნამდვილი მართალი მიზეზი, სხვათა შორის, ეხლანდელი დროის ზოგიერთ სამწუხარო მოვლენათა აწინდელი დროის ვარამისა!“ (ლამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 23-24, გვ. 10). მღვდლების მიერ გამოხატული უკმაყოფილების შესახებ, რომელთაც, ჯერ კიდევ, არ შეხვედროდათ აღნიშნული ჯილდო.

დეკანოზი დ. ლამბაშიძე დიდი მწუხარებითა და დანანებით დასძენდა, რომ მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ საერთოდ გააუქმებნენ ამ წესს, რითაც აღმოიფხვრებოდა სასულიერო პირებს შორის ერთმანეთის მიმართ შური და წყენა: „იმდენი საჩივრების წერილები ჯილდოზე წარუდგენლობის გამო არასოდეს არ მიგვიღია ჩვენ, რამოდენიც ამ წელში მივიღეთ. რომ დააკვირდეთ ამ წერილების შინაარსს, სწორედ დათანხმდებით, რომ ბევრის წილად სასარგებლო იქნება, რომ სამღვდელოებაში ჯილდოს მიცემა სულ მოისპობოდეს...“ (იქვე, 11).

გარდა ამისა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, აღნიშნულ პერიოდში იდგა სხვა - გაცილებით უფრო დიდი და ყოვლისმომცველი პრობლემა სასულიერო პირების განათლების საგრძნობლად დაბალი ხარისხისა, რაც ქმნიდა წინაპირობას მოსახლეობაში რელიგიური გრძნობების შესუსტებისა ან სრულიად გაქრობისა.

სასულიერო პირების განათლების აუცილებლობას ხედავდა დეკანოზი დ. ღამბაშიძეც, ადარებდა რა საქართველოს ეკლესიის ძველ, საუკუნეობით მდგომარეობას, არსებულს. იგი იხსენებდა დროს, როდესაც სასულიერო წოდება ერის პირველ წინამძღოლ წოდებას შეადგენდა, რადგან ამ სფეროში იღვწოდნენ „შესანიშნავის სწავლისა და ნიჭის მქონენი. ეხლა კი მათი ადგილი დაიჭირეს ისეთმა პირებმა, რომელნიც აჩრდილნიც არ არიან ღირსეული წინაპრებისა... ამ სასარგებლო და სასიქადულო საქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ის, რითაც ძლიერი იყო ჩვენი ძველი სასულიერო წოდება, საჭიროა ეროვნული სწავლა-განათლება... უბრალო ლოდიკა იმას ამბობს, რომ „ნასწავლი მოძღვრის“ საშოვნელად ჯერ საჭიროა ნამდვილი სწავლა-განათლების გავრცელება... რა ქადაგება შეუძლიან ისეთ სემინარიელს, რომელმაც არ იცის არც სამშობლოს საეკლესიო ისტორია, არც სამშობლო ქადაგებითი სიტყვის წარსული და აწმყო და არც სხვა? თუნდაც დიდი სურვილი ჰქონდეს, მაინც ასეთი სემინარიელი ვერ შეიქმნება მქადაგებელი, რადგანაც იგი არ არის მომზადებული ერის და საზოგადოების საქადაგებლად, სამოდვოდ...“ (ღამბაშიძე დ., „კიდევ ქადაგებით სიტყვაზედ“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., № 18, გვ. 2-3).

პირველ რიგში, თავად სამღვდელოება უნდა ყოფილიყო საკმაო ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების მფლობელი, რომ საზოგადოებისათვის მიეწოდებინა სულიერი და გონებრივი განათლისათვის საჭირო ცოდნა. სწორედ ამ მიმართულებით მოუწოდებდა მათ დეკანოზი დ. ღამბაშიძე: „ეცადეთ შეითვისოთ ახალი სინათლე განათლებისა, - მიმართავდა იგი ქართველ სამღვდელოებს, - რათა უმეტესად შეგეძლოთ განავრცელოთ ესრეთი ნათელი თქვენ გაუნათლებელ და უმეცრების ბნელით მოსილს სამწყსოს შორის, მოკიდეთ ხელი თვითგანვითარებას, იკითხეთ, დაუკვირდით ყველაფერს, შეეჩვიეთ მსჯელობას და აზროვნებას, ისწავლეთ და ასწავლეთ...“ (ღამბაშიძე დ., გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., №17).

დეკანოზი ნამდვილად არ იყო ერთადერთი, ვინც ამგვარად ფიქრობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად მოსახლეობაზე. ასეთივეს და შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით მწვავე პოზიციას იჩენდა ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ისინი არ ერიდებოდნენ საგაზეთო სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების საშუალებით ემხილათ სამღვდელოების ის კოჰორტა, რომლებიც არა თუ რამე სარგებელს ამღვდნენ საზოგადოებას, არამედ მძიმე ტვირთადაც კი ექცნენ ქართველ ხალხს. ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები ამის მთავარ მიზეზად რა თქმა უნდა, ხედავდნენ რუსეთის იმპერიას და მის პოლიტიკას, თუნდაც საგანმანათლებლო მიმართულებით, სასულიერო სემინარიაში. 1886 წელს სემინარიის რექტორის, დეკანოზ ჩუდეცკის მკვლევლობის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სტუდენტების ერთი ნაწილი მეამბოხეებად შერაცხეს და სასწავლებლიდანაც გარიცხეს. სემინარიის შიგნით ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა ეროვნულ სულისკვეთებასა და რუსულ იმპერიულ პოლიტიკას შორის, რასაც უპირისპირდებოდნენ.

1889 წელს თბილისის სემინარიის სამოცდაცამეტწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად იზეიმეს მისი ტაძრის დღე, ახალი რექტორის - არქიმანდრიტ ნიკოლოზის ინიციატივით. ხსენებული მოვლენა, ზედმიწევნით გააშუქა „მწყემსის“ რედაქციამ და ცალკე თავი მიუძღვნა იმ ფაქტს, რომ ასეთ პომპეზურ დღესასწაულს ამგვარად აკლდა ქართველი ინტელიგენცია, რომელთაგან არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა ხსენებულ ზეიმს. რედაქტორი დანაწილებით წერდა: „ნუ თუ ჩვენი ქართველი საზოგადოება ისე დამაბუნდა, რომ ყურადღებას აღარ აქცევს მათი სამღვდელოების საქმეებს და მათთვის სულ ერთია, როგორი მღვდლებიც უნდა ჰყავდეს? რომ ეს ასე იყოს, მაშინ ჩვენ აღარაფერს აღარ ვიტყვით და აღარც არაფერს დავუძებნით გარდა მწუხარებისა, მაგრამ არა, როდესაც საქმე ჩვენს განათლებულ ინტელიგენციაზე მივარდება, მაშინ ეს უკანასკნელი თავისი თავის გამოსაჩენად მოყვება სიტყვების რახუნს, საქმის კი სრულიად არა გაეგება რა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთ დიდად საპატიო ქართველს, რომელიც წერილობით უმტკიცებდა უმაღლესი მთავრობის ერთ პირს, რომ თბილისის სემინარიას დღიდან მისი დაარსებისა ერთი რიგიანი მღვდელი და მოსამსახურე კაცი არ მიუცია საზოგადოებისათვის... ჩვენი უბედურება ის არის,

რომ, რასაც თვალთ არ დავინახავთ, არ გვწამს, არ გვჯერა და არც ვცნობთ და საქმის რიგიანად გამოკვლევასაც არ ვეძებთ... ამისთანა დროს ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტები გამომდგარან და ერთ ჩხუბს და ალიაქოთს აყენებენ: ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველის ქმნილებაა, თუ სპარსული ცხოვრებიდამ და წყაროებიდამ იხელმძღვანელა?! ერთი ჭაპან წყვეტით იკვლევენ და ვერ აუხსნიან კიდეც, თუ ხუთი-ექვსი წლის წინად საქართველოს ხალხს და მეფეებს საჭმელებში ბოზბაში მოსწონდათ თუ ფლავიო?!...“ (დამბაშიძე დ., „თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდამ“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 23-24, გვ. 7-9).

ამკარაა, რომ გაზეთის რედაქტორის მიერ ხსენებული პუბლიცისტები და ზოგადად, ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ძალა ნამდვილად განიცდიდნენ მდგომარეობას, რომელიც ქართულ სასულიერო წრეებში არსებობდა: „რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ყველა მღვდლები არა-მღვდლები იყვნენ და აღარ მოიპოვებოდეს მათ შორის ისეთი სულით კეთილი, გულით პატიოსანი და გონებით ბრძენი, არა, როგორ არ მოიპოვებინან, მაგრამ ასში ერთიც ძლივს და აბა ზღვაში წვეთს რა შეუძლიან?“ - წერდა ვინმე „მაჩხანელი“²⁰, გაზეთ „ივერიაში“, რაც კრიტიკის მიზნით, გადმოხედა „მწყემსის“ რედაქციამ. დ. დამბაშიძე ხსენებულ კრიტიკულ აზრს მეტწილად „ივერიის“ რედაქტორის - ილია ჭავჭავაძის მიმართ ავითარებდა და დამოკიდებულებას შემდეგნაირად აყალიბებდა: „ილია ჭავჭავაძის გამოცემას, „ივერია“-ს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია, რომ საქართველოს მთელს სამღვდელოებას, რომელსაც ერთის მხრით განიავებას და გასრესას ემუქრებიან, ცეცხლი შეუკიდოს და სამარე გაუთხაროს. ნაცვლად დახმარებისა, თანაგრძნობისა და სემწეობისა მტრის სასიხარულო საქციელს ჩადის „ივერია“; იგი ცდილობს მალე ამოფხროს ხალხის გულიდამ ის პატივისცემა, რომელიც ხალხს დღემდის კიდეც ჩარჩენია გულში სამღვდელოებისადმი. აფერუმ „ივერიის“ პატრიოტებო, პუბლიცისტებო, საქართველოს აღმდგენლებო!... რასაც არა ვსწერთ რომელიმე გარემოებათა გამო, ეს თვითონ იგულისხმე, პატივცემულო მკითხველო და მიხვდი...“ (დამბაშიძე დ., „მწარე ფიქრები“, გაზეთი „მწყემსი“, 1892 წ., № 8, გვ. 8).

²⁰ დიმიტრი ნადირაძე - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001011/>

ჩვენი თანამედროვეებისათვის ძალზე ფასეულია ზოგიერთი სტატია იმ მხრივ, რომ მასში მოთხრობილი მოვლენები, აღბეჭდილი ადამიანები და აღწერილი შენობა-ნაგებობები ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის გარკვეულ ეტაპზე სრულიად მიეცა დავიწყებას, რაც საბჭოთა კონიუნქტურას უკავშირდება. „მწყემსში“ აღწერილი ესა თუ ის მოვლენა იძლევა საშუალებას, გავერკვეთ არა მარტო ქართული საზოგადოების რელიგიური ცხოვრების პერიპეტიებში, მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, არამედ ცხადად წარმოვიდგინოთ ქართველთა სოციალური ცხოვრება და მათი ყოველდღიურობის ზოგიერთი თავისებურება.

ერთ-ერთი მსგავსი ტიპის პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა 1896 წელს, №9-10-ში, სადაც „მწყემსის“ რედაქტორი აღწერდა ქუთაისის „მთავარ-ანგელოზთა ტაძარში“ ღვთისმსახურების განსაკუთრებულობას თავისი შინაარსობრივი და გარეგანი ნიშან-თვისებებით. ტაძარი, რომელიც მრევლის სიმცირეს არასოდეს უჩიოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის შენიშვნის თანახმად, ზომით საკმაოდ მცირე იყო, ყოველთვის გამორჩეოდა ხალხმრავალი ღვთისმსახურების რიტუალებით. შესაბამისად მრევლის დიდ ნაწილს ადრიან დილით და ასევე საღამოს წირვა-ლოცვაზე ტაძრის გარეთაც კი უწევდა ყოფნა. ეს არის ტაძარი, რომელიც 1944 წელს დაანგრეს და მის ადგილზე დღეს განთავსებულია ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა. დღემდე აღტაცებით აღწერდა პროცესს, როდესაც იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (1896-1900 წწ.) წითელ პარასკევს „გარდამოხსნა“ ხსენებული ტაძრიდან გადააბრძანა უამრავი ადამიანის თანხლებით იმდროინდელ წმ. ალექსანდრე ნეველის²¹ სახელობის ქუთაისის საკათედრო ტაძარში²²: „არ ყოფილა მაგალითებრ, ერთი ეკლესიიდან გასვენება გარდამოხსნისა დიდ პარასკევს. ეს აღასრულა ქუთაისში მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა. გარდამოხსნა დიდის კრძალულებითა და ცერემონიით გაასვენა მთავარ ანგელოსთა ეკლესიიდან კათედრის ტაძარში. აუარებელი ხალხი გაყვა და მშვენიერი შთაბეჭდილებაც იქონია ამ შემთხვევამ ხალხზე.“ (რედაქცია, „მთავარ-ანგელოსთა ტაძარი ქუთაისში“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №9-10, გვ. 11-12). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ წერილში ხსენებული

²¹ მოგვიანებით კი წმ. დავით აღმაშენებლის სახელობისა.

²² ეს უკანასკნელიც, ემსხვერპლა საბჭოთა რეჟიმის ადრეულ წლებს.

იმერეთის ეპისკოპოსი (იქამდე, ალავერდის ეპისკოპოსი) ბესარიონი (დადიანი), ჯერ კიდევ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ, ავადმყოფობის პერიოდში აღებული შვებულებისას, იმერეთის ეკლესია მართავდა. მეუფის გარდაცვალების შემდეგაც იგი განაგრძობდა ეპარქიის ხელმძღვანელობას და 1898 წლის 6 ივნისს ოფიციალურად დანიშნეს იმერეთის ეპისკოპოსად. იგი მცირე ხანს იყო ამ პოსტზე. გარდაიცვალა 1900 წლის 20 აგვისტოს (რედ. მჭედლიძე 2013: 451-452). და ე.წ. „სობოროს“ ანუ წმ. ალექსანდრე ნეველის და შემდგომ წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში დაკრძალეს. 1924 წელს კი ტაძრის დანგრევის შემდეგ მისი ნეშტი, ისევე როგორც მიტროპოლიტი ანტონისა (გიორგაძე), არავის გადაუსვენებია და მათი ნაწილები დღესაც განისვენებს ქუთაისის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (შადრევანსა და „თი ბი სი“ ბანკს შორის)²³... 1900 წლის 12 აგვისტოს იმერეთის ეპარქიის მმართველად დანიშნეს ეპისკოპოსი ლეონიდე, ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე.

ლეონიდეს იმერეთის ეპისკოპოსად დანიშვნის მეორე წელს წარმოდგენილი ანგარიში ეპარქიის ინფრასტრუქტურის შესახებ შემდეგნაირ სტატისტიკურ სურათს იძლევა: იმერეთის ეპარქიის მართლმადიდებელი მოსახლეობა შეადგენდა 481 179 მორწმუნეს. აქედან მამაკაცი იყო 256, 023, ქალი - 225 156 სული, ემსახურებოდათ 829 ეკლესია, მათგან ახალაგებული იყო 12, შეკეთებული-5. ეპარქიაში შედიოდა 7 მონასტერი (6 მამათა, 1 დედათა)...1901 წლის ანგარიშში წარმოდგენილ ამ სურათს დიდი ცვლილებები არ განუცდია იმერეთში ლეონიდეს 8-წლიანი ეპისკოპოსობის განმავლობაში. ეს ჩანს მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს შედგენილი ბოლო (1907) წლის ანგარიშიდან.

ლეონიდეს იმერეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს, 1904 წლის 19 ივლისს გაძარცვეს გელათის მონასტერი. ეს იყო ამ მონასტრის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გაძარცვა. გატაცებულ ნივთთა შორის სხვებზე ძვირფასი იყო თამარ მეფისეულად მიჩნეული სარტყელი, რომელიც მორთული გახლდათ 204 მარგალიტით, 59 ზურმუხტითა და ფირუზით; დაახლოებით 900 გრ. წონის ოქროს ბარძიმი, ასევე იაგუნდითა და

²³ ქუთაისის დანგრეული საკათედრო ტაძარი და ორი მღვდელმთავრის საფლავების ისტორია, რომელიც ბევრმა არ იცის - <http://kutaistoday.com/quthaisis-dangreuli-sakathedro-tadzari-da-origghvdelmthavris-saplavis-istoria-romelic-bevrma-ar-icis-poto/>

ფირუზით შემკობილი დავით აღმაშენებლის ოქროს დიდი ბეჭედი და სხვა. მეუფე ლეონიდე ადრეც წერდა და ამ ძარცვის გამო შედგენილ არაერთ დოკუმენტშიც მიუთითებდა, რომ ასეთი ფაქტები არის საეგზარქოსო მმართველობის უვარგისობისა და ხალხში ამით გამოწვეული რწმენის შესუსტების შედეგი, რასაც სიწმინდეთა დაცვისადმი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა მოჰყვა.

მეუფე ლეონიდეს დიდი როლი აქვს შესრულებული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. მისი მეთაურობით იმერეთის სამღვდელთა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე მთავრობას წერილობითი პეტიცია წარუდგინა (რედ. მჭედლიძე 2013: 452-453).

როგორც ვხედავთ, თვითმპყრობელობა უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა ქართულ ეკლესიას. მისთვის ეროვნული შინაარსის გამოცლის მიზნით კატეგორიულად კრძალავდა ღვთისმსახურებაში ქართული ენის გამოყენებას, დაუნდობლად დევნიდა პროგრესულად მოაზროვნე, პატრიოტულად განწყობილ სამღვდელთა. ქართული ეკლესიის რღვევისაკენ იყო მიმართული ლოცვების მეგრულ-სვანურად თარგმნის კამპანიაც, რაც საერთო ეროვნული სხეულიდან ამ კუთხეების ჩამოცილების მცდელობას წარმოადგენდა. რუსი სამღვდლო პირები, ძირითადად აგრესიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული და საეკლესიო-სააღმსარებლო ტრადიციების მიმართ. საქართველოში, ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელთა ნაწილი, ტიპურ რუსიფიკატორულ პოლიტიკას (ერთნი შენიღბულად, მეორენი კი სასულიერო და მით უმეტეს, ზოგადი განათლების უქონლობის გამო), გაუთვინციობიერებლად, შეუგნებლად ახორციელებდნენ. რაც შეეხებათ, ეროვნული თვითშეგნების მქონე სასულიერო მოღვაწეებს, მათი როლი, მართლია, ხარისხობრივად რა თქმა უნდა უდიდესი იყო, მაგრამ ისინი რაოდენობით სავალალოდ მცირერიცხოვანნი იყვნენ.

რუსული იმპერიის ბატონობისაგან ძნელ-ბედობაში იმყოფებოდა ქართველი ხალხი, მაგრამ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას არ დაუკარგავს თავისი როლი რისი ცხადყოფაც არაერთგზის მოხდა. თუმცა ეს არ იყო იოლი საქმე, ვინაიდან, რუსული სასულიერო ხელისუფლების მიერ განხორციელებული უხეში საეკლესიო პოლიტიკის შედეგად საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნული ნიადაგის მოცლამ,

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მოშლამ, ჭეშმარიტი ქრისტიანი და საქართველოს მოამაგე სასულიერო პირები „გათითოკაცა“ და ქართულ ეკლესიას უმძიმესი პრობლემები შეუქმნა.

სასულიერო ორგანო „მწყემსი“, ხედავდა რა ეკლესიისათვის ძირეული ფუნქციების დაკარგვის რეალურ საშიშროებას, შესაძლებლობების ფარგლებში, აქტიურად აშუქებდა ქართული ეკლესიის შიგნით არსებულ პრობლემებს, რომლებმაც ეკლესიისაგან ქართველი ხალხის რამდენადმე გაუცხოება გამოიწვია.

3.1. „მწყემსის“ პუბლიკაციები წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ

გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციური წერილებიდან არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ინფორმაციულად საკმაოდ მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო მასალა, რომელიც გვაწვდის ცნობებს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცხოვრების, მოღვაწეობისა და აღსასრულის შესახებ. ამავე გაზეთში შემონახულია ქადაგებითი სიტყვები, წარმოთქმული სასულიერო დღესასწაულებსა და სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით. პარალელურად, სტატიებში თავმოყრილი ინფორმაციების ნუსხა გვიხატვს სურათს, იმ დროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სასულიერო ცხოვრების მდგომარეობის წარმოსადგენად. გარდა ამისა, პერიოდული გამოცემის ფურცლებიდან ნათლად ჩანს ის უზარმაზარი სიყვარული და მადლიერება, რომელიც ქართველ მრევლს გააჩნდა სულიერი მოძღვრის მიმართ.

ჩვენ შევეცადეთ, რომ წმ. გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული შტრიხები გამოგვეკვეთა საგაზეთო სტატიებში ამოკითხული ინფორმაციისა და ჩვენს ხელთ არსებული სხვა წყაროების დახმარებით, შედარებისა და საერთო დასკვნების გამოტანის მიზნით.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე, დაიბადა 1825 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში, ეკონომიურად მეტად შეჭირვებულ ოჯახში. გაბრიელის მამა იყო გურიის მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვარი (რედაქცია, „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №13, გვ. 3). ეპისკოპოსის დედა - მარიამ დგებუაძე იმდენად ადრე გარდაცვლილა, რომ გაბრიელს სრულიად არ ახსოვდა იგი. („სულმნათ გაბრიელის საუნჯე“ 1897: 5).

1837 წელს მამამ თავისი ვაჟები წაიყვანა თბილისის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად, სადაც ძმებთან ერთად, პატარა გერასიმე, ასაკის გათვალისწინებით, დასვეს სემინარიის ე.წ. „მცირე განყოფილებაში“. მან სემინარიაში მიყვანის დროს უკვე იცოდა როგორც ქართული წერა-კითხვა, ასევე რუსული ენა. სასულიერო სემინარიაში, გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც მ. კელენჯერიძის ნაშრომში ვკითხულობთ, სულ მალე, „მცირე განყოფილებიდან“ გადაიყვანეს „მაღალ განყოფილებაში“, რის გამოც შეიკრიბა სემინარიის პედაგოგიური საბჭო და ერთხმად მიიღეს აღნიშნული გადაწყვეილება (კელენჯერიძე 2006: 97). 1841 წელს, გაბრიელ ეპისკოპოსი თბილისის სასულიერო სემინარიიდან სასწავლებლად გადავიდა ფსკოვის სემინარიაში და 1844 წელს სწავლა გაგრძელა სანკ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა მომდევნო წელს. იმავე წლის აგვისტოში სწავლა გააგრძელა სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1849 წელს, მაგისტრის ხარისხით. ამის შემდეგ, მიმართა თხოვნით ეგზარქოს ისიდორეს, რომ იგი დაენიშნათ თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად, რაც ეგზარქოსმა დაუკმაყოფილა კიდევ და ყოვლადსამღვდელო გაბრიელი იქ ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. თუმცა 1854 წელს ეპისკოპოსი გაბრიელი, მიუხედავად მისი თავგანწირული შრომისა, თბილისის სემინარიის ინსპექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და დანიშნეს ქალების ინსტიტუტის საღმრთო სჯულის მასწავლებლად.

ჯერ კიდევ 1849 წელს, გერასიმე ქიქოძემ ცოლად შეირთო მღვდელ ნიკოლოზ ვლადიკინის ქალიშვილი, რომელთანაც მას შეეძინა ხუთი შვილი. თუმცა, 1856 წელს თავს დაატყდა დიდი უბედურება და გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი, რამაც ახალგაზრდა მღვდელს დიდი სულიერი ტრამვა მიაყენა. შედეგად გერასიმე ქიქოძე

სასულიერო ცხოვრების დატოვებასაც კი ფიქრობდა, მაგრამ მაშინდელმა ეგზარქოსმა ისიდორემ გადააფიქრებინა აღნიშნული განზრახვა: „შენ ვითარცა გონიერ კაცსა კარგად უნდა გესმოდეს და იცოდე, რა საკვირველება ქმნა შენზედ ღმერთმა. იცი შენა, შენი სამშობლო ქვეყანა საქართველო დიდად მოკლებულია კარგ და შეგნებულ ხელმძღვანელ მღვდელ-მთავრებს, რომელნიც არიან და ყოფილან ამ მოკლე დროებაში, ყველანი უსწავლელი და გაუნათლებელნი ყოფილან. რომლის გამო მათ სამწყსოში არავითარი გავლენა არა აქვთ და არ ჰქონდათ. ამით მთელი ხალხი, თუმცა არის ქრისტეს აღმსარებელი, უგუნურებაშია დაფლული, მას უნდა მღვდელმთავარნი და ხელმძღვანელნი რიგიანნი და მცოდნენი, რომლისთვისაც ნათლად სჩანს, გირჩევს შენ უფალი არ ხედავ, რა გიყო უფალმა? ცოლი მოგაშორა, შვილები მოგაშორა და შერაცხა ანგელოზებად და მათ ნაცვლად გაძლევს ქართველთა ერთა, რათა უწინამძღვრო მათ, ასწავლო გზა ჭემმარიტებისა და მიუძღვნა უფალსა ერი იგი განათლებული და განწმენდილი ყოვლისა ბოროტებისაგან“ (კელენჯერიძე 2006: 67). როგორც აღმოჩნდა, ეგზარქოსის ამ დარიგებამ ნაყოფი გამოიღო და გერასიმე, 1858 წელს ბერად აღიკვეცა. ბერობის სახელი გაბრიელი ეწოდა.

ბერად აღკვეცის შემდეგ გაბრიელი განაგრძობდა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელსა და სემინარიაში მასწავლებლად მუშაობას. ამავე პერიოდში დაასრულა წერა თავისი ნაშრომისა „**Основания Опытной Психологии**“ („ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“) და მიუხედავად წიგნის მიმართ არაერთგვაროვანი განწყობის არსებობისა, პეტერბურგელი მეგობრის, მღვდელ ალექსანდრე რუდაკოვის უდიდესი მხარდაჭერით წიგნი 1000-იანი ტირაჟით გამოსცა პეტერბურგში (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 274).

„მწყემსის“ რედაქცია, აღნიშნულთან დაკავშირებით წერდა: „მუდმივი მეცადინეობის შედეგი იყო მისი თხზულება რუსულს ენაზე „**Опытная Психология**“, რომელიც გამოვიდა საბეჭდავად 1858 წელში და რომელიც მაშინვე იქნა მიღებული სახელ-მძღვანელოდ რუსეთის საშუალო სასწავლებლებში და საქებურის ღირსებით იქმნა დაფასებული ნემეცურის კრიტიკისაგან (რედაქცია, „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №13, გვ. 3). ...შემდეგ წელში, 6 იანვარს მან მიიღო არქიმანდრიტობა, 6 დეკემბერს აღყვანილ იქნა

ეპისკოპოსის ხარისხზე და დაინიშნა საქართველოს ექსარხოსის ვიკარად, და 1860 წელს იმერეთის ეპისკოპოზად...“ (რედაქცია, „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №13, გვ. 4).

მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის, „მწყემსის“ რედაქცია იმერეთის ეპარქიაში არსებული სულიერი და მატერიალური მდგომარეობის შესახებ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსად ეკურთხა: „ყოვლად სამღვდელო გაბრიელი აღვიდა იმერეთის კათედრაზე სწორეთ იმ დროს, როცა ეს ეპარქია მთლად დაცემული იყო. უწინდელს დროში საქართველოში არსებული საეპისკოპოსო კათედრებზე ეპისკოპოსად ინიშნებოდნენ უმეტესად თავადები და სამეფო გვარეულობის პირნი, რომელთაც მხოლოდ ერთი მარტო შინაური განათლება ჰქონდათ მიღებული. ეს ეპისკოპოსები მართავდნენ ეპარქიებს თავიანთი სურვილისა მებრ, რაისა გამო საქართველოს ყველა ეპარქიებში, მათ რიცხვში იმერეთის ეპარქიაშიც სუფევდა დიდი უწესობა. ეკლესიები იყო პატარაები და ისინიც მთლად დაძველებულნი და მოკლებულნი შინაგან მორთულობას, ზოგიერთ ეკლესიებში დიდის გაჭირვებით დაეტეოდა 20-30 კაცი. ქალები კი იდგნენ დასავლეთის მხარით ეკლესიაზე მიშენებულ ხის სადგომში, რომელიც იწოდებოდა საქალებოდ... მთელ ეპარქიაში ოც-და ათ ეკლესიაში თუ ნახავდა კაცი შესაფერის კანკელებს, თორემ დანარჩენ ტაძრებში ტრაპეზი გაყოფილი იყო უბრალო ფიცრებით, ამ ფიცრებზე ალაგ-ალაგ ეკიდა ხატები, რომლებზედაც დროთა-ვითარებისაგან მთლად წაშლილი იყო გამოხატულებანი...რამდენადაც ღარიბი და უნუგემო იყო ეკლესიების მდგომარეობა, იმოდენად სამწუხარო მდგომარეობაში იყო იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება როგორც გონებით, ისე ნივთიერად. მთელს იმერეთის ეპარქიაში 5-6 მღვდელი თუ მოიპოვებოდა სასულიერო სემინარიაში სწავლა დამთავრებული, თორემ დანარჩენი სამღვდელოებისა, გარდა მცირე ნაწილისა, რომელსაც სწავლა შესრულებული ჰქონდა სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებში, სულ გაუნათლებელი იყო.“ (რედაქცია, „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №13, გვ. 40).

მძიმე მდგომარეობა რომ სუფევდა იმერეთის სასულიერო იერარქიაში, ამასთან დაკავშირებით მღვდელი დავით ნემსაძეც წერდა: „იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსები

სოფრომ (წულუკიძე), გერმანე (გოგოლაშვილი), ექვთიმე (წულუკიძე), დავით მიტროპოლიტი (წერეთელი), იყვნენ ტანად ახოვანნი, ენამჭეველნი... ამათთან ვერ მიხვიდოდით, თუ ძღვნად არ მიიყვანდი ძროხას ან ცხვარს, დაბარებითაც ხშირად იბარებდნენ მღვდლებს (ძღვნისათვის), არც კურთხევა შეიძლებოდა უძღვნოდ. მღვდელმთავრებს მაგდენი ჯამაგირი არ ჰქონდათ და კრებული მთლად მღვდლების იმედად იყო. უმეტესი ნაწილიდან ანაფორა არ ეცვათ, განირჩეოდნენ ერისკაცთაგან გრძელი წვერით და თმით, თუ ვინმეს განურისხდებოდნენ მღვდელმთავრები, თვით პირადად შეხსნიდნენ ქამარს და რა ვადითაც სურდათ, გადააყენებდნენ, კანტორას არას მოახსენებდნენ. ქართული წერა-კითხვა უმრავლესმა სამღვდელოებამ არ იცოდა, ცხოვრობდნენ ეპისკოპოსები დიდებულად, არჩევდნენ მრავალ მათხოვრებს.” (კელენჯერიძე 2006: 114).

„ყოვლად სამღვდელო გაბრიელი - ვკითხულობთ, სასულიერო ორგანოს 1888 წლის აგვისტოს ნომერში (14), - ყოველ წლობით ჩამოივლის ხოლმე თავის ეპარქიის უმეტეს ნაწილს, როდესაც მოუხდება ხოლმე 1500 ვერსამდის ცხენით გავლა წელიწადში; ათვალიერებს ეკკლესიებს და ყოველგან, თითოეულ სამრევლოში, მრევლს აძლევს სწვლა დარიგებას სარწმუნოებაზე და წარმოსთქვამს დღეში სამს ანუ ოთხს ღვთის-მსახურების გარეშე სიტყვა-მომღვრებას, სამწყსოს სულიერ საჭიროებათა დაგვარად შედგენილს... ყოვლად სამღვდელოს მოგზაურობის დროს არ უყვარს ზოგიერთებივით დიდის ამბით და ამალით სიარული: ეტლის მაგიერ ჩვენ ვხედავთ ჯორსა ანუ ცხენსა, ამალის ნაცვლად მოსამსახურეს და მეჯინიბეს; ყოვლად სამღვდელო არ ერიდება არცა სიცხეს და არცა სიცივესა... ქადაგების დროს, ყოვლად სამღვდელო კათედრის მაგიერ სდგას მაღალ-ადგილზე ანუ ქვაზე და ან ჯირკზე“ (რედაქცია, „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №14-15, გვ 1-2).

როგორც ჩანს, ეპისკოპოსს თავისი მწყემს-მთავრული ვალდებულებანი, საკუთარი მრევლის მიმართ, სრულად გაესიგრძეებინა და არ მორიდებია არც სვანეთის კლდეებზე რთულად სვლას, არც სამეგრელოსა და აფხაზეთში ქადაგებას, რთული ფიზიკური ყოფითა და ცრუმორწმუნეობით გადაგვარებულ მოსახლეობასთან: „...თითქმის ფორთხვით ადიოდა ყოვლად სამღვდელო სვანეთის მთების ციცაბო და

კლდოვან ბილიკებზე. აქ სვანებში, რომელთაც მართლ-მადიდებელი ეკლესიის ყველა წესები და ჩვეულებანი თითქმის მთლად დავიწყებოდათ, ზოგჯერ ყოვლად სამღვდელოს სიკვდილისაც კი უნდა შინებოდა, მაგრამ ის უშიშრად უქადაგებდა მათ... შრომა კიდევ უფრო გაორკეცდა იმერეთის ეპარქიასთან აფხაზეთის შემოერთების შემდეგ, რომელიც 1869 წელში კავკასიაში ნამესტნიკად ყოფილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის აზრისამებრ და სამეგრელოს ეპარქიის შემოერთებისა 1873 წ. აფხაზეთის და სამეგრელოს ეპარქიებში ყოვლადსამღვდელო გაბრიელმა გასწია, ისეთივე შრომა, როგორც პირველად იმერეთის ეპარქიაში, მაგრამ სამეგრელოს ეპარქია უფრო დაცემული იყო, ვინემ იმერეთისა; მეორედ ყოვლად სამღვდელო თითქმის ყოველწლობით თითო თვეს ანდომებდა აფხაზეთის სოფლების ჩამოვლას, სადაც ქადაგების დროს სჭირდებოდა მთარგმნელი. მაგრამ ყოვლად სამღვდელომ სძლია ყველა ამ დაბრკოლებათ და ღვთის შეწევნით 18 ათასი აფხაზი მოაქცია მართლ-მადიდებლობაზე. ყოვლად სამღვდელო ყველგან სასულიერო ქადაგებასთან მჭერ-მეტყველად უქადაგებდა მორწმუნეთა ჰუმანურ კაცობრიული ურთიერთობის ვალდებულებას, ერთი სიტყვით, იგი გამოდიოდა, არა თუ ისე, როგორც მქადაგებელთ სიტყვისა ღვთისა, არამედ ისე, როგორც მისიონერი განათლებისა, მოღვაწე მოქალაქობრიობისა.“ (რედაქცია, „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №14-15, გვ 1-2).

მეუფე გაბრიელმა აფხაზეთში უკანასკნელად ყოფნის პირველ დღეს, 27 სექტემბერს აკურთხა 1877-1878 წწ. ომის დროს დარბეული, მაგრამ მთავრობის სუბსიდიების ხარჯზე, რუსი ბერების მიერ ხელახლა აღდგენილი დრანდის რუსული მონასტერი. მეორე დღეს მან წირვა ჩაატარა სოხუმის ახლადდაგებულ ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარში. აქვე შეკრებილი მრევლის წინაშე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ფაქტობრივად გახლდათ მისი ბოლო საჯარო გამოსვლა აფხაზეთში (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 290). გაზეთი „მწყემსი“ 1886 წლის ნომერში (28) მაღალ შეფასებას აძლევდა გაბრიელის მოღვაწეობას აფხაზეთში და ამ „აფხაზეთის სამწყსოსადმი უკანასკნელი სიტყვის“ კომენტარების დასასრულს წერდა: „ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, თითქმის ეკლესიაში ყველა მდგომმა თვალთაგან გადმოღვარეს ცრემლები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მსმენელთ

ეს სიტყვა ესმოდათ იმისთანა პირისაგან, რომელმაც ამდენი შრომა და ძალა არ დაიშურა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში, რომ ქრისტეს სწავლა მოეფინა ამ გაუნათლებელ ქვეყანაში“ (დამბაშიძე დ., გაზ. „მწყემსი“, 1886 წ., № 28).

გარდა ამისა, სწორედ მეუფე გაბრიელის ეპისკოპოსობის დროს, მისი ყურადღებისა და გულისხმიერების შედეგად, სათავე დაედო ქართული საგალობლების ჩაწერისა და გადმოცემის საქმეს (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 299). ეპისკოპოსის, ფილიმონ ქორიძისა და მაქსიმე შარაძის რუდუნების შედეგად ასეულობით ქართული საეკლესიო საგალობელი დაკარგვას გადაურჩა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ეკლესიებში გალობის საქმე თუნდაც დამაკმაყოფილებელი იყო. პირიქით, იგი სასურველს მიახლოებულადაც ვერ ჩაითვლებოდა. ამას მოწმობს ეპისკოპოს გიორგისთან შემოსული რამდენიმე დოკუმენტი. ერთ-ერთ მათგანში, 1911 წლის 11 ივნისს, ქართული საეკლესიო გალობის არაპროფესიონალთა ხელში მოხვედრის გამო, „ქართული გალობა... დაკარგვის კარზე დგას... იმერეთში სულ ცოტაღა უკლია, ნამდვილი ქართული კილო მოისპოს“. გაბრიელი მოითხოვდა, ვინც თავად ეპისკოპოსისაგან ქართული გალობის ცოდნის მოწმობას არ მიიღებდა, მათთვის ბლალოჩინებსა და მღვდლებს სოფლად გალობის სწავლების ნება არ დაერთოთ, რაზედაც ეპისკოპოსს დაუდევს რეზოლუცია: მიეწერათ სამღვდლოებისათვის, რომ მათ მკაცრად ედევნებინათ თვალყური საეკლესიო გალობისათვის და ყველა გარეწარს ეკლესიასა და სკოლაში სიმღერის ნება არ დართოდა. ეს განკარგულება ცირკულარის სახით დაიგზავნა ეკლესიებში (კეზევაძე 2006: 144).

ნაშრომის პირველი თავის პირველ პარაგრაფში ჩვენ შედარებით ვრცლად ვისაუბრეთ ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის საქმიანობისა შესახებ და ამჯერად, მეტად აღარ შევჩერდებით აღნიშნულ თემაზე. თუმცა საჭიროდ მივიჩნიეთ, გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლთა შორის აღგვენიშნა ზემოთ დასახელებულიც.

1896 წელს, მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსი გაბრიელი გარდაიცვალა, გაზეთ „მწყემსის“ რედაქციამ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი სათაურით „წერილები და მიწერ-მოწები ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა სხვადასახვა

პირებთან და დაწესებულებებთან“, სადაც გამოქვეყნებული იყო 1871 წლის 9 თებერვლით დათარიღებული წერილი, რუს მოგზაურ ა.ნ. მურავიოვის მიერ მიწერილი, გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ, სადაც ადრესანტი, დაუფარავად გამოხატავდა აღტაცებას, ეპისკოპოსის ღვაწლის მიმართ, რომელიც მას მიუძღოდა აფხაზეთის ეპარქიის წინაშე:

„ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! თუმცა მე პირადად ვერ გიცნობთ თქვენ, მაგრამ ალბად თქვენი მეუფება მიცნობს მე ჩემი ლიტერატურული სასულიერო ნაშრომით; მე ჩემის მხრით დიდის სიხარულით წავიკითხე „მართლმადიდებელ მიმოხილვაში“ თქვენი მისიონერული მიზნით მოგზაურობა აფხაზეთში და ამ თქვენი მოგზაურობის წაკითხვამ აღმიძრა სურვილი, რომ წერილობით გამომეცხადებინა თქვენთვის ის უღრმესი პატივისცემა, რომელსაც მე იმ დღიდან თქვენდამი ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ველური მხარე, რომელიც მე ვნახე 1847 წელში და-ბოლოს ეღირსა ისეთ განმანათლებელს, რომელსაც როგორც ადგილობით მკვიდრს, უფრო სინამდვილით ეცოდინება მისი სულიერი საჭიროებანი, ვინემ ყველა იმ მისიონერთ, რომელთაც სრულებით უსარგებლოთ გზავნიდნენ ხოლმე აფხაზეთში. გაცოცხლდა ხელახლივ ძველი ბიჭვინტა და განახლდა ეკლესია სიმონ კანანელისა, დრანდის მონასტერი და სხვა მრავალი გაოხრებული ეკლესიები. ნეტავი აჭარა და ახალციხის მხარეც, სადაც ადგილობითი ქართველები დიდის ერთგულებით აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას ეხლაც კი, როცა ეს მხარეები რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან, ეღირსებოდნენ თქვენისთანა მქადაგებელს, როგორსაც ეღირსა აფხაზეთი, რომელიც თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიას არც კი ეკუთვნის...“ („წერილი ა.ნ. მურავიოვისა 9 თებერვ. 1871 წ.“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №4, გვ. 10).

გაბრიელ ეპისკოპოსს მეტად მძიმე პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, იმ მხრივაც, რომ ეს იყო დრო, როდესაც საქართველოში არსებობდა უმძიმესი ზეწოლა რუსული კოლონიური პოლიტიკისა. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ, ეგზარქოსის მხრიდან არნახული ცენზურა. იმისათვის, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს ექადაგებინა, მსახურების შემდეგ აუცილებლად შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ეგზარქოსთან: „გაბრიელი წარადგენდა, ეგზარქოსი წაუშლიდა ბევრს ადგილს, აზრებს უკუღმა გადაატრიალებდა და ისე დაავალებდა თქმას. გაბრიელი უმეტეს ნაწილად ჯიუტობდა

და ისევ თავისებურად ამბობდა. ნამეტურ მაშინ, თუ ქართულად იყო სათქმელი სიტყვა.” (კელენჯერიძე 2006: 97).

ის ფაქტი, რომ ეპისკოპოსი არ ერიდებოდა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ღიად საკუთარი აზრის დაფიქსირებას და ხშირად, ამგვარი საქციელით სასწორზე დებდა, როგორც თავის თანამდებობას, ასევე სიცოცხლესაც კი, ნათლად ვხედავთ მისი მოღვაწეობის პერიოდის ერთ-ერთი მონაკვეთიდან, რომლის შესახებაც ცნობები დაცული აქვს ქართველ საზოგადო მოღვაწეს - ივანე ზურაბიშვილს, თავის ნაშრომში „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“ და, ჩვენი აზრით, სარწმუნო წყაროც უნდა იყოს, მინიმუმ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მოგონებების ჩაწერა მოხდა ავტორისაგან, ემიგრაციაში ყოფნის დროს, საფრანგეთში²⁴ და მას არც უნდა ჰქონოდა მიკერძოებულობის საბაზი ან ვალდებულება - 1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III თავისი ოჯახით, რომელსაც შეხვდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ი. ზურაბიშვილი წერს: „1888 წელს შემოდგომაზე ალექსანდრე III ჩამოვიდა საქართველოში, ჯერ თბილისს მოვიდა, მოიარა კახეთი და ბოლოს ქუთაისს მოვიდა. აქ სადგურიდგან პირდაპირ სობორში გაემართა, სადაც გაბრიელს პარაკლისი უნდა გადაეხადა ეტლის სობორის კიბესთან გაჩერდა, ხელმწიფემ ამაღლის თანხლებით აიარა კიბე, შევიდა სობორში და ამბიონისაკენ გაემართა, როდესაც ეპისკოპოზის ხმა მოესმა: – შესდექ, რუსეთის ხელმწიფევ ...

ხელმწიფე შეყოყმანდაო, - ამბობდნენ დამსწრენი, უნდოდა სვლა განეგრძო, მაგრამ უნებლიედ შედგა კარიბჭეში, სადაც ეპისკოპოზის შემომახებამ მოასწრო და ცხადის უკმაყოფილებით მოისმინა ეპისკოპოზის სიტყვა.

... ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში, - უთხრა სხვათაშორის თავის მისალმებაში გაბრიელმა, - და როგორც ასეთი სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობასა მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვს...” (ზურაბიშვილი 1962: 70).

²⁴ ივანე ზურაბიშვილი - https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94_%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

იმავე მისასალმებელ სიტყვას გაზეთ „მწყემის“ რედაქცია სულ სხვაგვარად აშუქებს, გასაგები მიზეზების გამო და პირიქით, ეპისკოპოსის სიტყვებიდან, ერთი შეხედვით, მადლიერება და პატივისცემა გამოსჭვივის, იმპერატორის მიმართ, მაგრამ, ჩვენი აზრით, თუ დაბეჭდილი სიტყვები გადმოსცემს იმ აზრს, რაც მეუფე გაბრიელმა რეალურად წარმოთქვა, გამოკლებით ზემოთ მოყვანილი მიმართვისა, რაც იმპერატორისათვის ერთობ უხერხულ სიტუაციას შექმნიდა, მაშინ აქაც შეიძლება ამოიკითხოს გათვიცნობიერებულმა მკითხველმა ეპისკოპოსის ნართაული მინიშნებები სათქმელისა, როდესაც იგი ხაზს უსვამს რუსეთის იმპერიისა და იმპერატორის გამორჩეულობას, ქვეშევრდომი ხალხების მიმართ „სამართლიანი მოპყრობის“ მიმართულებით: „რუსეთის მართლ-მადიდებელი სახელმწიფოს დიდი და მსოფლიო დიდება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ყველა ქვეშევრდომნი ხალხოსნობისა და აღსარების განურჩევლად სცხოვრობენ ერთ და იგივე მართლმსაჯული და პირუთვნელი კანონებისა ქვეშე, აქვსთ ერთი და იგივე უფლება, როდესაც ზოგიერთ სხვა დიდი სახელმწიფოში, რომელნიც მედიდურობენ თავისი უმაღლესი განათლებით, ქვეშევრდომთა თანასწორობა რჩება ქალაქდზე, და სარწმუნოების შეწყნარებაც მხვედრია მხოლოდ ღვთის მგმობელთათვის, მართლ-მადიდებელნი ხშირად მოკლებულნი არიან.“ („მათი იმპერატორობითი უდიდებულესობათა მობრძანება ქ. ქუთაისში“, გაზეთი „მწყემის“, 1888 წ., №19, გვ. 20.

გაბრიელ ეპისკოპოსი იყო მისაზადი მაგალითი თავისი ცხოვრებით ყველასათვის. იგი გამოირჩეოდა თავისი უბრალოებით, როდესაც ეპისკოპოს გაბრიელთან რუსი მოხელეები მიდიოდნენ სტუმრად, გაკვირვებას ვერ მალავდნენ, იმდენად უბრალოდ ცხოვრობდა მეუფე.

მისი დაუღალავი შრომისა და მოღვაწეობის შესახებ მადლიერი სასულიერო პირი - დეკანოზი დავით ღამბაშიძე წერდა: „...მათი მეუფების მეცადინეობით და განკარგულებით იმერეთის ეპარქიაში აშენდა რამდენიმე ასი ახალი შესაფერი ქვის და ხის ეკლესიები... უადგილო და შტატ გარეთ დარჩენილ მღვდლებს მისცა შტატის ეკლესიები; უსწავლელი და გაუნათლებელი მღვდლების მაგიერ, ყოვლად სამღვდელომ გაგაზავნა სამეგრელოში 40 მღვდელი, რომელთაც სასულიერო სემინარიის კურსი აქვსთ დამთავრებული...ყოვლად სამღვდელო გაბრიელის

მეცადინეობით აღაშენა ქუთაისში მშენიერი შენობა საეკლესიო სასწავლებლისათვის; გაიხსნა ასამდე საეკლესიო-სამრევლო სკოლები იმერეთის ეპარქიის სხვა და სხვა სოფლებში; ყოვლად სამღვდელომ სასულიერო წოდების ობოლთა და ქვრივთათვის დააარსა სამზრუნველო; მათი მეუფების მეცადინეობით აღდგენილ იქმნა ქართული საეკლესიო გალობა, რომლის მრავალი საგალობელნი გადაღებულ იქმნა ნოტებზე... საკუთარი ხარჯით მის სამშობლო სოფელს ბახვში აღშენდა მშენიერი ეკლესია და ამ ეკლესიის მახლობლად ორ-კლასიანი სკოლა, რომელსაც ნივთიერად ინახავს მათი მეუფება. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი კაცის ღონეს გადამეტებულად მეცადინეობდა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაფუძვნებას...მათი მეუფების შემწეობით ქუთაისის წმიდა გიორგის ეკლესიასთან დაარსებულ იქმნა საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლებს მათი მეუფება თავისი საკუთარ საშუალებათაგან წელიწადში აძლევს ჯამაგირად 200 მანეთს.“ („ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“, გაზეთი „მწყემსი“, 1888 წ., №14-15, გვ. 2).

აღნიშნული საქმიანობა იმერეთის ეპისკოპოსისა, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩენიათ ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს და მადლიერების გამოხატულებად, მცირედ მაინც, მიიჩნიეს გაბრიელ ეპისკოპოსისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი ტიტულის მინიჭება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილმა მიმართა წერილობითი თხოვნით, სადაც იგი ასაბუთებდა გაბრიელ ეპისკოპოსის დიდ ღვაწლს ქართველი ერისადმი და სთხოვდა საზოგადოებას, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი აერჩიათ საზოგადოების საპატიო წევრად (ამ პერიოდში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე). „გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში. პირველად: ორ კლასიანი, კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში, სოფელ ბახვში, თავისი საკუთარი ხარჯით.

მეორედ: მრავალი სამრევლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითხვა ეხლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში.

მესამე: თავისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებით, ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილნით, რომელნიც ორ ტომად დაიბეჭდნენ რამდენიმე გამოცემად და რომელნიც ინგლისურის ენაზედ კი თარგმნენ.

მეოთხე: იმით, რომ თავდაპირველადვე... გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოიჩინა ჩვენს საზოგადოების, წესდებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და იმ თავითვე შემოიტანა 30 თუმანი ფული ხვედრი დამფუძნებელ წევრებისა და ყოველ წლივ შემოაქვს საწევრო ფული.” (ნიკოლეიშვილი 1990: 26).

1890 წლის 21 ნოემბერს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებამ გაბრიელ ეპისკოპოსი აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად, რის შესახებაც თავად ილია ჭავჭავაძემ აცნობა გაბრიელ ეპისკოპოსს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წლის ერთბაშად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადო და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა. უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ამ „საზოგადოების” საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას” გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა. უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს „საზოგადოებისა”, ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ „საზოგადოების” გულწრფელი ნატვრაა, ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მის და სასიქადულოდ და თავ-მოსაწონად.” (იქვე, 26-27).

ილია ჭავჭავაძის ამ წერილის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა რედაქციას მისწერა სამადლობელი წერილი, სადაც აღნიშნავდა: „უმორჩილესად გთხოვთ, ი. ჭავჭავაძეს, - გადასცეთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემ თავს მათგან საპატიო წევრად არჩევისა; ამისთვის მზად ვარ მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა საზოგადოებაში,

რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობასა, ხოლო თქვენ ბრწყინვალეობას ვსთხოვ მიიღოს ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემს თავს ღირსად ამ საქმისა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგონებ ერთმა მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ჩემდამი ამოდენი ჩემი ქება” ((ნიკოლეიშვილი 1990: 27).

გაზეთ „მწყემსში“ თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, სტატიები და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც დაკავშირებულია იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის გარდაცვალებასთან, რადგან წაკითხულიდან სრული სისავსით იგრძნობა განწყობა იმისა, თუ რამდენად ცხადად აქვს წარმოდგენილი სამწყსოს დანაკლისი, რომელიც მან განიცადა სულიერი წინამძღოლის დაკარგვით.

პირველივე ცნობა, რომელიც დაიბეჭდა 1896 წლის 3 თებერვლის ნომერში (2), იუწყებოდა, რომ 26 იანვარს, ნაშუადამევს 2 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რამაც უაღრესად დაამწუხრა მთელი სამწყსო (ლამბაშიძე დ., „ყოვლად სამღვდლო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №2, გვ. 1-5). აღნიშნული ცნობის გარდა, გაზეთის რედაქციამ მცირე ინფორმაცია დაბეჭდა მღვდელთმსახურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც მცირე რედაქტირებით, წარმოადგენდა 1888 წელს დაბეჭდილ და ჩვენ მიერ ნაშრომში მოყვანილი ცნობების მოკლე მონახაზს, რაც გამოწვეული იყო, როგორც რედაქტორი წერდა, სამწუხარო ამბისაგან მიღებული ძლიერი ემოციით. იმავე ნომერში დაიბეჭდა პუბლიცისტური წერილი სახელწოდებით: „უკანასკნელი დღენი ყოვლად სამღვდლო გაბრიელისა და წესის აგება“, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „26 იანვარს, დილით ეკლესიების ზიარების სამგლოვიარო ხმამ ყველას აუწყა მათი საყვარელი მღვდელ-მთავრის გარდაცვალება. ამ დღეს მეტად ცუდი ამიდი იყო. ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ ქალაქშიაც კი შეიკრა გზები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი ხალხი მოაწყდა მათი მეუფების სასახლეს, რომ თავიანთი ეცა საყვარელი მღვდელ-მთავრის გვამისათვის... სამსა თებერვალს, დღით შაბათს, დილის ცხრა საათზე, განსვენებული მღვდელ-მთავრის სახლში შეიკრიბა მთელი ქალაქის და

მახლობელი სოფლიდამ ჩამოსული სამღვდელოება ყოვლად სამღვდელო ბესარიონის, ალავერდის ეპისკოპოსის, წინამძღოლობით. მოვიდა ქალაქის წოდების წარმომადგენლები და აუარებელი ხალხი, ორივე სქესისა. შეიქმნა ეკკლესიებზე ზარების სამგლოვიარო რეკა, რომელმაც აუწყა ხალხს მათი საყვარელი მღვდელ-მთავრის გვამის წამოსვენება მათი მეუფების სასახლიდან ქუთაისის საკრებულო ტაძარში...“ (ღამბაშიძე დ., „უკანასკნელი დღენი ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა დ წესის აგება“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №2, გვ. 5-8).

სამგლოვიარო პროცესია „არქიერის მთიდან“ „გაბრიელის ქუჩით“ გაემგზავრა „ქუთაისის საკრებულო ალექსანდრო ნეველის სობოროში“²⁵. წირვის გადახდის შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვეს „სობოროს“ კათედრის დეკანოზმა გ. ცაგარეიშვილმა, მეუფე ბესარიონმა, ქუთაისის სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა დიმიტრიმ, დეკანოზმა ი. ჭეიშვილმა და ბოლოს დეკ. დავით ღამბაშიძემ, რის შემდეგაც, წაკითხულ იქნა გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი, რომელიც განსვენებულს 1890 წელს შეუდგენია. როგორც „მწყემსში“ ვკითხულობთ, შეუდგენია ავადმყოფობის ჟამს, როცა დაავადებულა ფართოდ გავრცელებული „ინფლუნცათი“ (იგივე გრიპი) და შიშობდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა სავალალოდ დაუმძიმდებოდა.

ანდერძის პირველ ნაწილში მღვდელ-მთავარი ითხოვდა შენდობას და ასევე, თავის მხრივ შენდობას უცხადებდა ყველას, ნებსითი და უნებლიე შეცოდებებისათვის; ასევე მადლობას სწირავდა უფალს და თავის სამწყსოს „თანამსახურებისა“ და „ერთგულებისთვის“, სთხოვდა სასულიერო და საერო პირთ ლოცვას, მისი სულის მოსახსენიებლად და ბოლოს, „ხორციელ ნათესავთა“ დარიგებებს აძლევდა, სწავლის, შრომის, ღვთისა და ხელმწიფის წინაშე პატიოსნად სამსახურის შესახებ.

ანდერძშივე შეტანილი თხოვნით, აღნიშნული ნაწილი უნდა წაკითხულიყო წირვის შემდეგ „ანდერძის აგების წინ“ (ღამბაშიძე დ., „უკანასკნელი დღენი ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა დ წესის აგება“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №2, გვ. 6).

²⁵ ქუთაისის ალექსანდრონეველის სობორო - <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98>

აქვე რედაქცია აკეთებს მცირე კომენტარს მღვდელ-მთავრის სურვილთან დაკავშირებით, დაკრძალულიყო გელათის მონასტერში და დასძენს, რომ „დიდი თოვლისა გამო ქუთაისსა და გელათს შორის გზა შეკრულია, მათი მეუფების გვამის გადასვენება ხსენებულს მონასტერში გადაიდვა დიდი მარხვის მეორე კვირისთვის.“ (ღამბაშიძე დ., „უკანასკნელი დღენი ყოვლად სამღვდლო გაბრიელისა დ წესის აგება“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №2, გვ. 6).

ანდერძის მეორე ნაწილის ძალით, ეპისკოპოსის კუთვნილი ყველა ხატი (გარდა ორი - მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატებისა, რომლებიც მეუფის თხოვნით, უნდა დაბრძანებულიყო მეუფის საფლავთან, ჩაუქრობელ კანდელთან ერთად), რუსული და ქართული ღვთისმსახურების წიგნებთან ერთად უნდა გაგზავნილიყო სოფ. ბახვის ეკკლესიაში. მეუფე გაბრიელის მატერიალური ქონება, დეტალური აღწერილობით, გადანაწილდა სასულიერო პირებს და ქალაქის ღარიბ მოსახლეობას შორის. ამათგან, შედარებით, ზირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთების გაყიდვით მიღებული თანხა უნდა გადანაწილებულიყო „ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, ანუ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა“ შორის.

იმერეთის ეპისკოპოსის კუთვნილი წიგნთსაცავის შეფასება, ანდერძის ტექსტის თანახმად, უნდა მომხდარიყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფროსი ზედამხედველის, მისი თანაშემწისა და ამავე სასწავლებლის სამმართველოს ერთი წევრის მიერ. რის შემდეგაც წიგნები განაწილდებოდა მითითებისამებრ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის წუიგნთსაცავებში.

განსვენებული ეპისკოპოსის ანდერძითვე, მის მიერ წლების მანძილზე შეგროვილი თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. 12,000 მანეთი გადაეცემოდა ბახვის სკოლას.
2. 2,000 მანეთი იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სამზრუნველოს.
3. 1,500 მანეთი ქუთაისის სამოქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას.
4. 3,000 ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეებს.
5. 3,000 მანეთი თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს.

6. 5,000 მანეთი იმერეთის ეპარქიალურ, მის სახელზე დაარსებულ საქალბო სასწავლებელს.
7. 2,000 მანეთი ქუთაისის უფასო საქალბო სასწავლებელს.
8. 1,000 მანეთი გელათის მონასტერს იმ პირობით, რომ ყოველ წელს, მისი გარდაცვალების დღეს, აღნიშნული თანხით გადაეხადათ წირვა.
9. თავისი თხზულებების პირველი გამოცემისათვის 2,500 მანეთი გადაეცემოდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს და ამავე თხზულებათა პერიოდული სახით გამოცემის უფლება იმ პირობით, თუ მიღებული მოგება გადაუნაწილდებოდა ხსენებული სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეებს.

1894 წელს შეტანილი შესწორებით, თუ ბახვის სოფლის სკოლა გაუქმდებოდა სრული თანხა უნდა გადასცემოდა ამავე სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიას ისევე, როგორც სოფლის სალაროში შენახული 600 მანეთი, იმავე მიზეზის შემთხვევაში. გარდა ამისა, თბილისის სასულიერო სემინარიისათვის ნაანდერძევი თანხა უნდა გადამისამართებულიყო ქუთაისის სასულიერო სემინარიაში (ღამბაშიძე დ., „უკანასკნელი დღენი ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა დ წესის აგება“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №2, გვ. 7-8).

1896 წლის 12 მარტის ნომერში (5) დაიბეჭდა წერილი სახელწოდებით „როგორ ვსცეთ პატივი ჩვენს ძვირფას მწყემსთ-მთავარს გაბრიელს“, სადაც გამოცემის რედაქტორს, მკითხველი საზოგადოების წინაშე წამოჭრილი ჰქონდა საკითხი, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელის უკვდავყოფისათვის, ღირსეული პატივების ფორმის შესახებ. წერილიდან ჩანს, რომ განიხილებოდა რამდენიმე ვერსია, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მისაღები უმრავლესობისათვის შეიქნა, ერთ-ერთ სასულიერო აკადემიაში სტიპენდიის დანიშვნა, განსვენებული მღვდელთმთავრის სახელზე. ამ მიზნით, დაარსებულა კომიტეტი ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორის თავმჯდომარეობით და რამდენიმე ქუთაისელი სასულიერო პირის მონაწილეობით, რომელთაც დაუბეჭდავთ განცხადება და ხელმოსაწერი სიები, სადაც საუბარია „კერძო შეწირულებათა ფონდის“ დაარსების შესახებ, საიდანაც შეგროვილი თანხით სურდათ ერთი ან ორი სტიპენდიის დანიშვნა.

დ. ღამბაშიძე ჩანს, რომ ნაჩქარევად მიიჩნევდა ამ ნაბიჯს იმ პრობლემების გამო, რომლებიც ჯერ კიდევ არ ყოფილა განხილვის საგანი აღნიშნული კომიტეტისგან. მაგ.: რამდენი უნდა ყოფილიყო აკრებილი თანხა? რომელ აკადემიაში დაარსდებოდა ხსენებული სტიპენდია? ვინ უნდა გაგზავნილიყო უმაღლეს სასწავლებელში ამ სტიპენდიით და რა ტიპის ვალდებულებები დაეკისრებოდა მას? ვინ აირჩევდა სტიპენდიატს და ა.შ.

ასევე დეკანოზს შეცდომად მიაჩნდა განცხადების მიმართულება იმერეთის სამღვდელოების მისამართით, თანხის აკრებასთან დაკავშირებით, რადგან, ავტორის აზრით, ისინი პატივისცემას ისედაც გამოხატავდნენ ეპისკოპოსის მიმართ და ყოველ წელს 4,000 მანეთს კრებდნენ, რომ სამღვდელოების ამავე ნაწილს დაეარსებინა ქალების სასწავლებელი, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობისა.

დ. ღამბაშიძის აზრით, საუკეთესო ფორმა მწყემსმთავრისადმი პატივისცემის გამოსახატად, იქნებოდა ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმული აზრი, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „დროებაში“ და „მწყემსის“ რედაქტორი მკითხველს რამდენიმე ამონარიდს სთავაზობდა, სადაც ი. გოგებაშვილი წერდა, რომ განსვენებულის პატივსაგებად ყველაზე კარგი ფორმა იქნებოდა: „სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულ ენაზედ, განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი განამტკიცებენ სარწმუნოებას და ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა, განათლებასა“. გოგებაშვილი ასევე აღნიშნავდა: „ახლა უბრალო კატეხიზმოდ არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებას ვერ გაიცნობს ქართველი კაცი თავისს დედანაზედ და მოკლე „უჩებნიკების“ ამარად დარჩენილები... საჭიროა, საჭირო მიუცილებლად ხალხს მივაწოდოთ სულიერი საზრდო და თვითონ შევაჩვიოთ ამ საზრდოს კეთილად ხმარებას, თორემ ერთი და ორი და თუ გინდ ათი მქადაგებელი საქმეს ვერ წასწევს წინ, როგორც ორი და სამი მერცხალი გაზაფხულს ვერ დააყენებს. მიუცილებლად საჭიროა, საჭირო ხალხში გავრცელედეს სასულიერო შინაარსის წიგნები და, თუ ამას მოვახდენთ, ჩვენის დაუვიწყარი მღვდელ-მთავრის სახელით, ეს იქნება სწორედ ყველაზე უკეთესი პატივისცემა...სტიპენდიის დაარსება კარგი საქმეა, მაგრამ იმდენი სასარგებლო და საპატიო არ იქნება, როგორც ზნეობრივი და

სარწმუნოებრივი წიგნების ხალხში გამრავლება...“ (რედაქცია, „როგორ ვცეთ პატივი განსვენებულ ჩვენს ძვირფას მწყემსთ-მთავარს გაბრიელს“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №5, გვ. 3-6).

ამავე ნომერში დაიბეჭდა ცნობები გაბრიელ ეპისკოპოსის ნეშტის გადასვენების შესახებ „ალექსანდრო ნეველის საკრებულო ტაძრიდან“ გელათის მონასტერში, რომელიც შესრულდა 1896 წლის 10 მარტს. ნეშტი 3 თებერვლიდან, უამინდობის გამო, დაბრძანებული იყო „სობოროში“, მითითებულ დრომდე და 46 დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო, რადგან უჩვეულოდ დიდი ზამთრის გამო ვერ მოხერხდა მისი დაკრძალვა.

გადასვენების დღეს „ტაძარში შემობრძანდა, - იუწყებოდა გაზეთის რედაქტორი, - მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქრთველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა ვლადიმირი განსვენებული მღვდელ-მთავრის გაბრილზე პანაშვიდის გარდასახდელად. პანაშვიდის გადარხდის დროს ექსარხოსთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ყოვლად სამღვდელო გრიგორმა და ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა და მრავალმა სამღვდელოებამ მწირველ სამღვდელოებასთან ერთად. პანაშვიდზე დაესწრნენ მრავალი წარჩინებულნი პირნი... ამ დღეს კიდევ დიდძალი ხალხი მოაწყდა ქუთაისს, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან“. წერილის ავტორის შენიშვნით, მთელ საზოგადოებას აოცებდა ხმები, რომლებიც მათს ყურამდე აღწევდა და შემდეგ თავადაც რწმუნდებოდნენ ამაში, რომ თვე-ნახევრის დასვენებული ეპისკოპოსის გვამი არ გახრწნილა, მიუხედავად ფაქტისა, რომ „კუბო თავ-ახდელი იდგა ტაძარში. ეკკლესია, თითქმის ყოველ დღე ისე სავსე იყო ხოლმე ხალხით, რომ შიგ შესვლა უჭირდა კაცს... აქ სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ჰაერი იქნებოდა ტაძარში, რომელიც ყოველ დღე დილიდან საღამომდე სავსე იყო ხალხით“ (რედაქცია, „გადასვენება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამისა ქუთაისის კათედრის ტაძრიდან გელათის მონასტერში“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №5, გვ. 10). პუბლიკაციის ტექსტიდან ჩანს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესი სწორედ ამ „უცნაური“ მოვლენის ხილვისკენ იყო მიმართული და „მრავალნი პირნი ცდილობდნენ ყნოსვით შეეტყოთ მცირე რამ ნიშანი ხრწნილებისა, მაგრამ არა თუ უბრალო კაცები, თვით გამოჩენილი

ექიმებიც გაოცებულნი არიან, რომ თვე ნახევრის განმავლობაში განსვენებულის გვამს არავითარი ნიშანი ხრწნილებისა არ ემჩნევა რა“. დეკანოზი აქვე შენიშნავდა, რომ „ამ მოვლენის შესახებ, თუ ვიცოცხლე, კიდევ მოველაპარაკებით, ჩვენს მკითხველს“²⁶-ო.

სამგლოვიარო პროცესიას არც 10 მარტს უწყობდა ხელს ამინდი, ისევე როგორც - 3 მარტს. ამჯერად ძლიერი წვიმა წარმოადგენდა დაბრკოლებას, თუმცა, როგორც სტატიის ავტორი წერდა: „მთელი მოედანი ამ ტაძრისა [სობორო] და ამ ტაძრიდან მოკიდებული თბილისის ქუჩა თვით რკინის გზის სადგურამდე გაჭედილია ხალხით. ხალხის მოძრაობა სწორედ მდინარეების ზღვებთან შეერთებას მოგაგონებს... შემოსილი სამღვდლოება წყობით გაემწვრივა იმ ქუჩაზე, რომელზედაც უნდა გაველო პროცესიას. საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა თავთავისი ადგილი დაიკავეს. რკინის გზის სადგურიდამ მოკიდებული ფრანციის სასტუმრომდე²⁷ ქუჩის ორივე მხრით ჩამწვრივებულნი არიან ქუთაისის ყველა სასწავლებლების მოსწავლეები მათი მასწავლებლები და ადგილობითი სამხედრო ჯარი...“ (რედაქცია, „გადასვენება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამისა ქუთაისის კათდრის ტაძრიდან გელათის მონასტერში“, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №5, გვ. 110.

სამგლოვიარო პროცესიამ ნეშტი მიაბრძანა რკინიგზის სადგურზე, სადაც მომზადებული იყო „ერთ გაშლილ ვაგონზე საუცხოოდ მოწყობილი ბალდახინი. ბალდახინის გვერდით კი ჰქონდა ეკლესია-ვაგონი“. როგორც ჩანს, გელათში წასვლის მსურველი ბევრი იყო, ხოლო მატარებელი 250 ადამიანს იტევდა, რის გამოც ხალხის გადასაყვანად საჭირო გახდა მატარებელს დამატებით ოთხი რეისი შეესრულებინა.

გელათის მონასტერში ნეშტის გადასვენების შემდეგ გადახდილ იქნა წირვა, სადაც სიტყვა წარმოთქვა არაერთმა სასულიერო თუ საერო პირმა. მათ შორის

²⁶ თუმცა როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ და სხვა არა ერთ უცილობლად საყურადღებო ფაქტზე, აქტიური საუბარი დაიწყო გაცილებით გვიან. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1995 წელს მოხდა, ეპისკოპოსი გაბრიელის წმინდანად შერაცხვა.

²⁷ არსებობს ორი ვერსია სასტუმრო „ფრანცია“-ს ადგილმდებარეობის შესახებ, რომელთაგან ერთი ვერსიით, იგი იყო განთავსებული სტომატოლოგიური პოლიკლინიკა №1-ის შენობაში, პუშკინის N18-ში. 1890-იან წლებში ვინმე ჟუკს სასტუმრო „ფრანცია“ ჰქონდა მოწყობილი. ნაგებობა კი მეზუკეს ეკუთვნოდა. 1911 წელს მისი მეპატრონე ჩხიკვიშვილი გახდა და სასტუმროს „გრანდოტელი“ დაარქვა. გასაბჭოების შემდეგ კი სამედიცინო ხასიათის სამსახურები განთავსდა და მეორე ვერსიით, დღევანდელი დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეა, რომელიც ამ შენობაში 1976 წელს განთავსდა. ჩვენი აზრით, სამგლოვიარო პროცესიის გადასაადგილებელ ლოკაციაზე დაყრდნობით, „სობოროდან“ რკინიგზის სადგურამდე მარშუტით, პირველი ვერსია სასტუმროს მდებარეობისა უფრო რეალურია და პრაგმატულადაც ჩანს.

საქართველოს მაშინდელმა ექსარხომა ვლადიმერმა, რომლის მისამართითაც წერილის ავტორი მრავალმნიშვნელოვნად დასძენდა: „საზოგადოთ მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისაგან წარმოთქმული სიტყვანი და მოძღვრებანი შესანიშნავნი არიან, მჭევრ-მეტყველების მხრით“ (დამბაშიძე დ., იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა განსვენებისა გამო, გაზეთი „მწყემსი“, 1896 წ., №3, გვ. 3).

„მწყემსში“ დაიბეჭდა დეკანოზ ი. ჭეიშვილის გამოსამშვიდობებელი სიტყვა, წარმოთქმული ეპისკოპოსის დაკრძალვაზე, სადაც სასულიერო პირი მწყემს-მთავრის საქველმოქმედო მოღვაწეობიდან იხსენებდა შემდეგ საქმიანობას: „იგი მრავალ მოსწავლე ყმაწვილს ხელს უწვდიდა, მრავალს თავის სახლშივე ინახავდა. აბარებდა მათ სასწავლებელში და სწავლის ქირასაც მათ მაგიერ იხდიდა. ისე სიყვარულით და უბრალოდ ექცეოდა ამ ყმაწვილებს, რომ მათთან ბაასობდა და ხალისობდა იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა ყოველივე კეთილშობილური აზრი, დაენერგა მათ ნორჩ გულში სიყვარული სიმდაბლისადმი... განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გაბრიელ ეპისკოპოსი სწავლა-განათლების მიმართ. მისი თაოსნობით დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სკოლა და ბიბლიოთეკა გაიხსნა. მისივე ხელშეწყობით ქუთაისში 1890 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, 1894 წელს კი – სასულიერო სემინარია. გ. ქიქოძის შემწეობითა და დახმარებით მრავალმა ღარიბმა მოსწავლემ მიიღო განათლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.“ (იქვე, 4).

სამგლოვიარო მიტინგზე ორატორები ერთმანეთს ეცილებოდნენ გარდაცვლილის ღვაწლის განდიდებაში. გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდათ. იმდენად ბევრი იყო სიტყვის მსურველი, რომ თვით ილიასაც კი დაუგვიანეს ტრიბუნასთან მისვლა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მოგონება ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელიც სპეციალურად ჩავიდა თბილისიდან დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. (ნიკოლეიშვილი 1990: 7). „გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი, - იგონებს ე. თაყაიშვილი, - გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული, საკურთხევის წინ. ხალხი მოდიოდა, მჭიდროდ ერტყმოდა კუბოს გარშემო და იყო გაუთავებელი სიტყვები... ამ მდგომარეობაში ვიყავით, რომ სადამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ და მერე კი წავიდეთ“. ბოლოს მანვე გვითხრა, „მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვით

მიცვალეზულსაო“. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტმულ ხალხთან, რამდენადმე გავთიშე იგი და ხმა-მაღლა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა-მეთქი“. ერთი სიტყვით „პროვოკაცია“ მოვუწყვე ილიას! ხალხი მაშინვე გაიშალა, ილიაც წამოდგა და წარმოთქვა სიტყვა. მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა ხალხმა, რომელსაც გაეჭედა ეკლესია... თვითონ ილიაც კმაყოფილი დარჩა, რომ სთქვა“ (თაყაიშვილი 1968: 254).

აი როგორ მიმართა თავის სამგლოვიარო სიტყვაში გელათის მონასტერში დასვენებულ მღვდელმთავარს ილიამ:

„მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრასა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება — მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული. დიად, ბატონებო, მისის ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდის-ღა გვადირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა“²⁸. ივანე ზურაბიშვილი ამ ფაქტს შემდეგნაირად გამოეხმაურა, თავის ნაშრომში: „მე-19 საუკუნის ორი დიდი ქართველი პირველად და უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს, ერთი ცოცხალი და მეორე კი მარადისობის საიდუმლოებას ზიარებული“ (ზურაბიშვილი 1962).

გაზეთ „მწყემსში“ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ წარმოთქმულ არა ერთ ქადაგებით სიტყვას ვხვდებით, რომლებიც შეგნებულად არ შეგვიტანია ნაშრომში, რადგან მათი მოპოვება, აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის არ წარმოადგენს პრობლემას, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არა ერთი კრებულისა და ტომეულის სახით არის ხელმისაწვდომი. გაზეთ „მწყემსში“ დაბეჭდილი ქადაგებითი სიტყვები, რომელთა რელიგიური და ზნეობრივი დატვირთვა უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, ყურადღების მიღმა არ დარჩენია მის თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებს. ნ. ნიკოლაძე 1888 წელს სიამაყით წერდა:

²⁸ სიტყვა თქმული გელათის მონასტერში, გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს - <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/gabriel.htm>

„მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში „დროებასა“ და „მწყემსში“ გაბრიელის ქადაგებები სისტემატიურად იბეჭდებოდა, ისინი ცალკე წიგნებად სამჯერ გამოიცა. ასეთი პატივი ქართულ ენაზე, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, არც ერთ წიგნს ღირსებიაო“ (კელენჯერიძე 1913: 315). ამ სიტყვების დაწერის შემდეგ გაბრიელ ქიქოძის „ქადაგებანი“ 1913 წელს ორ ტომად გამოიცა ქართულ ენაზე (ქუთაისში), ხოლო რუსულ ენაზე - ერთ ტომად. ქართული ორტომეული ფაქსიმილური გამოცემა განმეორდა 1989 წელს (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 293).

ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ გაბრიელის ქადაგებებმა საკმაოდ ადრე მიიპყრო შვეიცარიელი ღვთისმეტყველისა და კლასიკური ფილოლოგიის პროფესორ სოლომონ სოზარ მალანის ყურადღება. მან 1868 წელს ინგლისურად თარგმნა და გამოსცა მეუფე გაბრიელის ქადაგებები. მალანი იმდენად მოხიბლული იყო ქართველი მღვდელმთავრის ნააზრევით, რომ 1872 წელს ქუთაისში ჩამოვიდა და პირადად გაეცნო მას. იგი ერთი კვირის განმავლობაში ტკბებოდა მეუფე გაბრიელის მღვდელმსახურებაზე დასწრებითა და სიძველეთა ხილვით (ნიკოლეიშვილი 1990: 62).

იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის პიროვნება და მისი მოღვაწეობა მეტად სწორად და გადაჭარბების გარეშე აქვს შეფასებული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ, აკადემიკოს ავთანდილ ნიკოლეიშვილს: „თავისი ეროვნული მოღვაწეობით გაბრიელ ეპისკოპოსი ღირსეული წარმომადგენელია მე-19 საუკუნის ქართული პროგრესული ინტელიგენციისა. იგი თავგამოდებით იღვწოდა ქართველთა ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, გმობდა და უპირისპირდებოდა რუსი კოლონიზატორების ყოველგვარ ცდას, ხელი ეპყროთ და მოესპოთ ჩვენი ხალხის ისტორიული ფასეულობანი.“ (იქვე, 28).

დამსახურებული ღვაწლისათვის საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაბრიელ ქიქოძე წმინდანად შერაცხა. გამომდინარე იქიდან, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ქართველებისათვის იყო, არის და იქნება ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის იდეალური მაგალითი, ჩვენ არ მოვერიდეთ, მის შესახებ ნაშრომში შედარებით გაშლილ ფორმატში გვესაუბრა და მკითხველებამდე მოგვეტანა „მწყემსში“ დაბეჭდილი ვრცელი მასალიდან არაერთი ცნობა იმერეთის ეპისკოპოსის შესახებ.

3.2. საეკლესიო კრებების ქრონოლოგია და მათი იდეოლოგიური როლი ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურ ეტაპზე

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს რუსეთის ეკლესიის რიგით ეპარქიად გადაქცევა. საქართველოს ეპარქოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საეკლესიო ცხოვრების რუსიფიკაციას (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულება, წმიდა წერილისა და ლოცვანის რუსულ ენაზე გამოცემა, ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და სხვ.). მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდლოებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა (ჯაფარიძე 2003: 101-102)

მთელი XIX საუკუნის მანძილზე ანუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, საქართველოში, ადგილობრივი საეკლესიო კრება არ ჩატარებულა, გამომდინარე იქიდან, რომ თვით რუსეთის იმპერიის ეკლესიაში პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ მსგავსი ტიპის ყრილობებს არ იწვევდნენ და მით უმეტეს, იმპერიის პერიფერიაში, ლოგიკურად არ ექნებოდა ადგილი ასეთ ღონისძიებებს. თუმცა ამ ფონზე, სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელ ფუნქციას იძენდა საქართველოში ნებადართული და მოწვეული საეპარქიო-საეკლესიო კრებები, რომელთაც აქტიურად აშუქებდა გაზეთი „მწყემსი“.

ხსენებულ კრებებზე ძირითადად იხილავდნენ ეროვნულ პრობლემებს და სასულიერო სასწავლებლებთან დაკავშირებულ თემატიკას, სასწავლო პროცესისა და ხარჯების განხილვის ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებით 1884 წლის ნომერში (11) გაზეთ „მწყემსის“ რედაქცია სასულიერო ორგანოს არაოფიციალურ ნაწილში წერდა: „სასულიერო წოდებას შეკრებილების უფლება მიენიჭა 1867 წელს აქეთ - გადის აგერ თვრამეტი წელიწადი. ამ 18 წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა ადგილებში სამღვდლო შეკრებილებათ წყალობით სასწავლებლის შესანახავად და ყველა წოდების ყმაწვილთა გამოსაზრდელად შეკრებილი იქმნება ოც მილიონ მანეთზე მეტი. იმპერიის სამღვდლო-წოდებათაგან ყოველ წელში მილიონ მანეთზე მეტი იკრიბება

სასწავლებლების შესანახავად. აიღეთ მაგალითებრ, თუ გინდ საქართველოს სამღვდლოება და - მათში ყველაზე უღარიბესი - განსაკუთრებით დასავლეთის საქართველოს სამღვდლოება. ამ სამღვდლოებამ სემინარიის დასაარსებლად გადასწყვიტა თავიანთ შეკრებილებაზე 333,000 მანეთის შეწირვა თავის საკუთარი ფულებიდან. ეს მოხდა სამღვდლო შეკრებილებათა წყალობით. მარტო იმერეთის სამღვდლოების ერთი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად აქვს შეტანილი 10 წლის განმავლობაში ას ოცი ათას მანეთამდე. ვის შეეძლო ამისი გარდახდევინება სამღვდლოებისათვის, თუ არა მათვე განაჩენს? ასე, არავითარი ვნება, გარდა დიდი სარგებლობისა, სამღვდლოების შეკრებილებას არ მოუტანია საზოგადოებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც კიდევ ეჭვით უცქერიან ზოგნი ამ მშვენიერ დაწესებულებას და უნდათ, რომ მოსპონ იგი“ („სასარგებლოა თუ არა სამღვდლო შეკრებილებათა არსებობა“, გაზეთი „მწყემსი“, 1884 წ., № 11, გვ. 3).

არაერთი კრების შესახებ დაუწერია სასულიერო ორგანოს რედაქციას წლების მანძილზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი: 1889 წელს ახალ სენაკში მოწვეული ადგილობრივი სამღვდლოების კრების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ათასწლოვანი ქართული ენის დაცვის საქმეს რუსეთის იმპერიისაგან. აღნიშნულმა კრებამ, რუსეთის იმპერიის პოლიტიკა სამეგრელოსა და სვანეთში შეაფასა როგორც: “მწვალელობის შთანასახი, ყოველგვარი განდგომილების მიზეზი და საღმრთო წერილების ახლებური ახსნა და უკუღმა შეგნება.“ („სამეგრელოს სამღვდლოების შეკრებილობა ახალ სენაკში“, გაზეთი „მწყემსი“, 1889 წ., № 2).

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდლოების კრებები, რომლებზედაც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. XX საუკუნის დამდეგს რუსეთში 1700 წლიდან გაუქმებული პატრიარქობის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის საკითხი დაისვა. ეს ძალზე რთული საკითხი იყო და მის მოსამზადებლად შეიკრიბა საგანგებო თათბირი - რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირს უნდა გადაეწყვიტა რუსეთში პატრიარქობის აღდგენისა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლების საკითხი. თავისთავად პატრიარქობის აღდგენა და საეკლესიო კრების მოწვევის განახლება ითხოვდა უამრავი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას,

შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. საეკლესიო კრების წინარე თათბირზე იხილებოდა არაველიკორუსულ მხარეებში, მათ შორის კავკასიაში, საეკლესიო ცხოვრების მოწყობის საკითხი, კერძოდ, რა სახით უნდა დაქვემდებარებოდა კავკასია და, მათ შორის, საქართველო რუსეთის პატრიარქსა და საეკლესიო კრებას. სწორედ ამის გამო მოხვდა საეკლესიო კრების წინარე თათბირის დღის წესრიგში საქართველოს ეკლესიის საკითხი. სურდათ თუ არ სურდათ, რუსებს უნდა განეხილათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების კანონიერების საკითხი. მხოლოდ ამ საკითხის განხილვის შემდეგ შეიძლებოდა მიღებულიყო გადაწყვეტილება საქართველოში საეკლესიო ცხოვრების მოწყობის თაობაზე.

ქართველმა მღვდელმთავრებმა, ყოვლადსამღვდელო კირიონმა (გიორგი სამაგლიშვილმა), ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ) და ქართველმა მეცნიერებმა: ნიკო მარმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა და ალექსანდრე ცაგარელმა ღირსეული პოლემიკა გაუმართეს და რუს სამღვდელოებასა და მეცნიერებს დაუსაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და აქედან გამომდინარე, ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობა და კანონიერება. შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად ქართველებმა რუსები აიძულეს ელიარებინათ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმება, თუმცა თათბირის გადაწყვეტილებაში მან ასახვა ვერ ჰპოვა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი მაინც უარყოფითად გადაწყდა.

გაზეთ „მწყემსის“ ფურცლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, საეკლესიო-საეპარქიო კრებები, რომლებიც იმართებოდა 1905-1907 წლებში, თავისი შინაარსობრივი და იდეოლოგიური დატვირთვიდან გამომდინარე.

1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მიერ გამოცემული რესკრიპტი, რომლის ძალითაც იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება, ქართველმა სამღვდელოებამ თავისი მიზნის აღსრულებისათვის გონივრულად გამოიყენა. დეკანოზებმა კალისტრატე ცინცაძემ და ანტონ თოთიბაძემ, ისტორიკოსმა სერგი გორგაძემ გადაწყვიტეს აღედრათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სერგი გორგაძეს დაევალა „ქართული ეკლესიის მართვა-

გამგეობის პროექტის“, ხოლო კალისტრატე ცინცაძეს კი რუსეთის იმპერიის მთავრობაში გასაგზავნი პეტიციის შედგენა. პეტიციაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები:

1. „ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათოლიკოსატი ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა _ აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი);
2. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურები განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ; შენიშვნა _ ა) კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენლები _ კათოლიკოსსა და მღვდელმსახურებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათოლიკოსის მეთაურობით და კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათოლიკოსს _ უზენაესი საერო ხელისუფლება. შენიშვნა – ბ) მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე, სასულიერო პირთა კანდიდატურების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ, არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა.
3. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე კათოლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან _ საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეულ სასულიერო და საერო პირთაგან.
4. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.
5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული.“ (პეტიცია, გაზეთი „მწყემსი“ 1905 წ., № 1-2).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას მხარს უჭერდა როგორც ქართველი სამღვდელოების უდიდესი უმრავლესობა, ასევე ქართველი ინტელიგენცია ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. ქართველი ავტოკეფალისტები,

რომლებიც ჯერ კიდევ 1905 წლის მარტის თვეში შეკრებილან და პირველი პეტიცია გაუგზავნიათ რუსეთის ხელისუფლებისადმი, მეორე პეტიცია გაუგზავნიათ მაისის თვეში. პეტიციებში გაანალიზებული ყოფილა საქართველოს ეკლესიაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზები. სამღვდელოება მოითხოვდა სასკოლო რეფორმას, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებას, მთავრობის პოლიტიკისადმი სამსახურისგან, ყოველგვარი სამოხელეო და საკანცელარიო მოვალეობისაგან განთავისუფლებას. ქართველი სამღვდელოება ავტოკეფალიასთან ერთად სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის დემოკრატიული მოთხოვნითაც გამოდიოდა. ამასთან ერთად მოითხოვდა ჩამორთმეული საეკლესიო მამულების დაბრუნებას. (ჯაფარიძე 2003: 11).

1905 წელს ავტოკეფალიის საკითხზე წაუკითხავს ილიას შემდეგი მოხსენება: "თქვენო ბრწყინვალეზავ, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუს (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა. შ. თავიანთ აღმსარებლობის მმართველობაში თვისთავადნი არიან. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო... ამგვარი უგნური ვითარების შემდგომი შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიჩნეულ უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად. ამიტომაც განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის, მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ". თერგდალეულთა ლიდერი ილია ჭავჭავაძე, მისი თანამებრძოლნი ი. გოგებაშვილი და აკ. წერეთელი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ისინი ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ. იმედოვნებდნენ, რომ ავტოკეფალიის აღდგენა ერის წინსვლის, სარწმუნოების აღორძინებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძველი შეიქნებოდა (ჯაფარიძე 2003: 15).

1905 წლის 16-22 მარტს გაიმართა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების რიგით 45-ე კრება ქ. ქუთაისში. ეს კრება წინა წლებში შემდგარი კრებებისაგან გამოირჩეოდა

შემუშავებული სამოქმედო გეგმის რადიკალური ხასიათით. კრებაზე წაკითხულ იქნა პეტიცია საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ. პეტიციაში წარმოჩენილი იყო სამღვდელოებასა და მრევლს შორის არსებული უფსკრულის გაჩენის მიზეზები და ამასთან იყო ამ უფსკრულის ამოვსების გზების ძიების მცდელობა. სამწყსოსა და სამღვდელოებას შორის არსებული განხეთქილების მიზეზად ის გარემოება იყო დასახელებული, რომ ეს უკანასკნელი არ იყო ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი, რაც ავტოკეფალიის დაკარგვის დღიდან მოყოლებული ჩვენში არსებულ სასულიერო სასწავლებლებში გამეფებული რეჟიმით (ქართული ენის სრული უგულებელყოფა) იყო ახსნილი. ეკლესიისათვის მთავრობის პოლიტიკის განმახორციელებლის ფუნქციის დაკისრებაც აღრმავებდა ამ უფსკრულს. საქართველოს ეკლესია რომ თავისი ჭეშმარიტი მოვალეობის შესრულების უნარის მქონე გამხდარიყო, ქართველი სამღვდელოება მოითხოვდა მის სრულ დამოუკიდებლობას კათოლიკოსის მეთაურობით, რომელსაც აირჩევდა ეპისკოპოსთა კრებული სამღვდელობის წარმომადგენლებსა და მთელ ერთან ერთად, ხოლო დაამტკიცებდა საერო მთავრობა. სამღვდელო პირთ (მღვდელს, დიაკონს, მედავითნეს) ამოირჩევდა მრევლი, ეპისკოპოსს – სამღვდელოების წარმომადგენლები და ეპარქიის მოსახლეობა.

სამღვდელოება მოითხოვდა, აგრეთვე, სასკოლო რეფორმას, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებას, სამღვდელოებისათვის ყველა იმ სამოქალაქო უფლების მინიჭებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოძღვრობის იდეას. სასულიერო უწყებისა და მთავრობის პოლიტიკისადმი სამსახურისაგან, აგრეთვე ყოველგვარი სამოხელეო და საკანცელარიო მოვალეობისაგან განთავისუფლებას. პეტიციაში სამღვდელოების შემოსავლის წყაროდ კვლავ სახელმწიფო ჯამაგირი იყო დასახელებული. მრევლზე მისი მატერიალური დამოკიდებულება კი უეჭველად უნდა მოსპობილიყო.²⁹

ალბათ, ამას ერთის მხრივ, ხელი შეუწყო იმავე წლის თებერვალში იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ გამოქვეყნებულმა რესკრიპტმა, რომლის ძალითაც თავისუფალი სიტყვის უფლება ეძლეოდათ იმპერიაში შემავალ ხალხებს და, მეორეს მხრივ, რაღა

²⁹ შ. ჯავარიძე, ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წწ.) - http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=404:-1905-1907-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=en

თქმა უნდა, უდიდესმა სურვილმა და შინაგანმა მზაობამ, გამოეყენებინათ იმპერიაში შექმნილი მდგომარეობა, საქართველოს საკეთილდღეოდ. თებერვალ-მარტში, აქტიურად მიმდინარეობდა მსჯელობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში კათილოკოსის არჩევის შესახებ, რასაც არა მარტო სასულიერო, არამედ საერო წოდების პირებიც მხარს უჭერდნენ და ერთხმად შეიმუშავეს პეტიცია, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარის მიმართ უნდა ყოფილიყო შემუშავებული. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ პეტიცია არ იქნა გაგზავნილი დანიშნულების ადგილზე.

კრებამ იმდენიც კი გაბედა, არსებულ პირობებში დაყენა საკითხი სკოლებში, საღმრთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით. ჩვენგან ზემოთ ხსენებულ პეტიციაში, შეიტანეს საკითხი „საქართველოს სასულიერო წოდების მართვასა და კათალიკოსის არჩევის შესახებ“. აქვე დასძენდნენ - „უმეტესობა დეპუტატებისა, დარწმუნებულია რომ სასწავლებლები ჩვენში სრულებით შეიცვლებიან კათალიკოსის დროს...“ („იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა 45-ე კრება“, გაზეთი „მწყემსი“, 1905 წ., № 9-10, გვ. 60).

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ქართველთა საეკლესიო ნაწილი ცდილობდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში შექმნილიყო მთლიანი ადმინისტრაციული ერთეული „საქართველო“, ამისთვის 1905 წელს (1 აპრილს) მუშაობა დაიწყო თბილისის თავადაზნაურთა კრებამ, რომელმაც შეიმუშვა გზავნილი რუსეთის იმპერატორისადმი. გზავნილში მიმართვა შემდეგნაირი შინაარსისა იყო: „საქართველო ცნობილ იქნას იმპერიის ნაწილად... საქართველო შედგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისაგან.“ (ადრესი იმპერატორისადმი, გაზ. „მწყემსი“, 1905 წ., № 6-7, გვ. 18).

იმავე წლის აპრილში შეიკრიბა ქუთაისის თავადაზნაურობაც, რადგან ხედავდნენ იმპერიის მზაკვრულ გეგმებს საქართველოს საეგზარქოსთან დაკავშირებით და მათაც, თბილისის თავად-აზნაურობის მსგავსად, გაუგზავნეს ე.წ. „ადრესი“ იმპერატორს შემდეგი ტექსტით: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა უერთდება ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის მიერ შემუშავებულ უქვეშევრდომილეს ადრესში გამოთქმულ სურვილს... ერთადერთი საშუალება ის არის, რომ საქართველოს, რომელიც შედგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან,

ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქისაგან, მიენიჭოს უფლება თავისი შინაური საქმეები განაგოს...“ (ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის შეკრებილებისა გამო, გაზეთი „მწყემსი“, 1905 წ., №8, გვ. 7).

28-29 მაისს თბილისში გაიმართა ამჯერად ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრება, რომელსაც გაზეთი „მწყემსი“, აქტიურად აშუქებდა და ამ ეროვნული საქმიანობის მხარდამხარ მუშაობდა.

ყოველგვარი შელამაზების გარეშე კრებამ შემდეგი რამ დაადგინა: „მავნებელია სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში გამეფებული რეჟიმი, ამიტომაც გადაწყდა დაიხუროს ეს სასწავლებლები, სანამ სრულად არ გადაკეთდება.“ (ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, გაზეთი „მწყემსი“, 1905 წ., №13-14, გვ. 16).

ხელისუფლება ქართული სამღვდელოების შეუპოვარ გამოსვლებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით დევნიდა სამღვდელოების ყრილობებს. ქართველი სამღვდელოების მიმართ თვითმპყრობელობის რეპრესიებმა უმაღლეს ზღვარს 1905 წლის 31 მაისს მიაღწია, როდესაც უხეშად იქნა დარბეული ეპარქიის სამღვდელოების ყრილობა თბილისში. ეგზარქოსის უშუალო განკარგულებით, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში შეკრებილ სამღვდელოებას სასტიკად გაუსწორდნენ, მათრახებით სცემეს და ძალით გამოდევნეს შენობიდან.

აღნიშნულ ფაქტს ასე აღწერს გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნებულ მასალაში დეკანოზი დავით ღამბაშიძე: „კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, 31 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიასთან მომხდარი ინციდენტის გამოსადიებლად შემდგარმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი სტახოვიჩი და რომელშიც მონაწილეობას იღებდა თფ. გუბ. თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობების აღმასრულებელი თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, სამღვდელოების კრების თავმჯდომარე, ბლადოჩინი ქრ. ციცქიშვილი და საქართველოს ექსარხოზის წარმომადგენელი კოლ. სოვ. ტრელინი, წარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება ამ შემთხვევის შესახებ.

ამ მოხსენებაში კომისია, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სამღვდელოების კრების 31 მაისის საღამოს სხდომას მიაწყდა მრავალი კერძო საზოგადოება, რომელმაც

კრებაზედ დიდი უწესობა და მღელვარება გამოიწვია, რის გამოც კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა სხდომის დახურვა. თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ ერთმა კერძო პირმა, სემინარიაში ნამყოფმა, დააპირა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ დამსწრე სამღვდელოებამ არ მისცა ამის ნება და შეაჩერა. ამ შემთხვევისა გამო გამოწვეულმა ჟრიამულმა მიიქცია ყურადღება და მიიზიდა შენობაში დიდძალი გარემე ხალხი. პოლიციელმა ტელეფონით აცნობა ეს ამბავი მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომელიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და მამა რექტორის თხოვნის თანახმად მივიდა მის ბინაზედ. აქ რის მღვდლის თანდასწრებით მ. რექტორმა გამოუცხადა ბოქაულს ნაბიბეკოვს, რომ სხდომაზედ წრეს გადასული ხმაურობაა, მრავალი კერძო კაცი შემოდის და ყველა ეს მეტად მაფიქრებს და მაშინებს, რომ შენობას ან თვითონ მე არაფერი ხიფათი შემემთხვეს, მით უმეტეს, რომ მე გაგებული მაქვს სამღვდელოების მტრული განწყობილება და განზრახვა ჩემდამი, რომ უკვე მომივიდა წერილობითი ცნობები ჩემის მოკვლისა და სემინარიის შენობის აფეთქების შესახებ-ო.

ამის გამო მ. რექტორმა სთხოვა ბოქაულ ნაბიბეკოვს, მიეღო შესაფერი ზომები და კერძო პირები დაეთხოვნა სემინარიის შენობიდან. ამ პირთა დათხოვნის შემდეგ ბოქაულმა შენიშნა, რომ ერთი მღვდლის შვილი, ასათიანი, აძლევდა მღვდელს რევოლვერს, რომელიც წაართვა ბოქაულმა და წარუდგინა მ. რექტორს. რექტორმა სთხოვა ნაბიბეკოვს, რომ შენობისათვის თვალყური ედევნებინა და დაეთხოვნა იქიდან სამღვდელოება. ამასობაში სემინარიასა და პუშკინის ბარს შუათავმოყრილ სამღვდელოებისა და კერძო პირთა შორის მღელვარება თან და თან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ქარვასლასთან მოკლული იქმნა პოლიციელი. ხმა გავარდა, რომ იგი მოჰკლა მღვდელმა, თუ იმისმა მხლებელმაო. სამღვდელოებასთან კი სულ სხვა ხმა მივიდა: ვითომ სრულიად უმიზეზოდ დაეჭიროს იმათი ერთი თანამომძე მღვდელი. ამ დროს მოკლული დარაჯიც გამოატარეს, რომ ხალხისთვის გზა დაეცლევინებინათ.

ბოქაულმა ნაბიბეკოვმა გამოიწვია ათი ყაზახი, რომელთაც, კომისიის აზრით, „სტრაჟნიკებიც“ შეუერთდნენ და ყველა ესენი შეუდგნენ მათრახებით ხალხის გაფანტვას. რადგან ხალხში მღვდლებიც ერია, ზოგს იმათაც მოხვდა მათრახები.

მოწმეების გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მღვდლებმა თავის დასახსნელად სარდაფებსა, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორნებს შეაფარეს თავი. ზოგი მათგანი ისევ სემინარიაში შებრუნდა, ამათ იქ ხალხი შეჰყვა. ნაცემი მღვდლების ჩვენების ჩამორთმევით აღმოჩნდა, რომ ერთს ლოყაზედ ეტყობოდა მათრახით ნაცემი, მეორეს შლიაპა ქონდა დახეული და ყელზე ჭრილობა მათრახითვე. ზოგს ისე მოხვედროდათ მათრახები, რომ არაფერი ნიშნები არ დასტყობოდათ. ქუჩაში ერთ კაცს ბოქაულმა ორი რევოლვერი და 60 პატრონით სავსე საპატრონე წაართვა.

სემინარიის შენობის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 უცხო პირი, რომელთა შორისაც რამდენიმე სემინარიიდან დათხოვნილი აღმოჩნდა. რადგან მ. რექტორი დაჟინებით თხოულობდა, რომ სემინარიიდან უსათუოდ გაეყვანათ ის სამღვდელოებიც - კი, რომელნიც ექსარხოსის ნებართვით ღამე დგომით იყვნენ იქ დაბინავებულნი და სრულებით დაეცალიერებინათ შენობა, ამიტომ ბოქაულმა ღამის 11 საათზედ მიჰმართა პოლიცემისტერს, რომელიც მოვიდა ადგილობრივ საქმის მოსაწესრიგებლად.

შენობაში მოდარაჯეებად ყაზახები ჩააყენეს და იმ ღამემ წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა. ძნელია გამოძიებით ახსნას კაცმა დაწვლილებით იმისთანა შემთხვევა, როგორც შეხვდა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებას თბილისში. მაგრამ რაც აღმოაჩინა გამოძიებამ, ისიც საკმაოა, რომ ჩვენის მხრით გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადოთ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას იმ შეურაცხებისათვის, რომელიც მას მიაყენეს 31 მაისს.

როგორც სჩანს, მამა რექტორს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია სემინარიის შენობის დაცვისათვის მით, რომ არ სურდა, მღვდლებს ბინა ქონებოდათ სემინარიაში, თუმცა ექსარხოსიდან ნება ეძლეოდათ, მაგრამ აქ სულ სხვა განზრახვაა... რა დაუშავეთ, მაგ. მის წინა მოადგილეს, რომ 1902 წელს დ. ყვირილაში მძინარე ოჯახობას ჟანდარმები და შეიარაღებული სტრაჟნიკები თავს დაგვასხა და 6 საათის განმავლობაში დაჭერილი ვიყავით მთელი ოჯახობით. ვიჩივლეთ, დაინიშნა ფიცხელი გამოძიება და რა გამოვიდა? გამოძიება თავისთვის გდია და დამნაშავეს კი უმაღლესი ხარისხი მიანიჭეს!.. ჩვენ გვაკვირვებს მამა რექტორის სიტყვა, რომელიც მოხსენებაშია: „სამღვდელოება მტრულად მიყურებს და მოკვლით მემუქრებიანო“ –

ბრძანებს მ. ნიკანდრი. ამისთანა პირი დღეს თუ ხვალ ამ სამღვდელოების ეპისკოპოსად უნდა გახდეს... ეს არის მოციქულების და მსოფლიო კრების კანონებისამებრ აღრჩევა საეპისკოპოსოდ იმისთანა პირებისა, რომელსაც სამღვდელოება და საზოგადოება უნდა ირჩევდეს? ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე!.. მოწყალე ხელმწიფე იმპერატორი ჩვენზე დაშორებული იყო, მაგრამ დღეს დაახლოებულია მისი მოადგილის დანიშვნით. მასზეა ჩვენი იმედი, რომ ამიერიდან არ ვიქნებით ისე დაჩაგრული, როგორც დღემდის ვიყავით, განსაკუთრებით სამღვდელოება“ (ვაჩნაძე 2008: 86-88).

უმაღლესმა სასულიერო ხელისუფლებამ სამღვდელოების ყრილობა არაკანონიერად, მისი მონაწილეები – დამნაშავეებად ცნო და შესაბამისად, მათ მიმართ განხორციელებული ღონისძიება გამართლებულად მიიჩნია. თუმცა იძულებული გახდა საქართველოდან გაეწვია ეგზარქოსი ალექსი და სემინარიის რექტორი ნიკანდრი. ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებმა, მიუხედავად იმისა, რომ 31 მაისი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი იყო მათ მიერ წამოწყებული მოძრაობის ისტორიაში, ამ დღის მნიშვნელობის უეჭველობაც აღიარეს.³⁰

31 მაისის მოვლენებმა არა თუ შეასუსტა ქართველი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის ბრძოლა, არამედ უფრო გააძლიერა და ამჯერად ბოდბისხევში, გაიმართა კრება, 1905 წლის 17 ივლისს, სადაც სამღვდელოება ერთხმად ითხოვდა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენასა და საეკლესიო მამულების დაბრუნებას რუსეთის იმპერიის მიერ (გაზეთი „მწყემსი“, 1905 წ., №13-14, გვ. 7). დარბევიდან სულ მალე მათ შექმნეს „საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმადგინებელი მძობა“. მოძრაობის აღმავლობის ამ ეტაპზე, 1905 წლის 16 ნოემბერს, უწმინდეს სინოდს საქართველოს ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობისა და ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე ვრცელი მოხსენება წარუდგინეს ეპისკოპოსებმა: კირიონმა, ლეონიდემ, გიორგიმ და გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ. ამ დოკუმენტმა იმპერატორამდე მიაღწია (რედ. მჭედლიძე 2013: 455).

³⁰ შ. ჯავარიძე, ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წწ.) - http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=404:-1905-1907-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=en

მანამდე კი 1905 წლის 11 ოქტომბერს მეფისნაცვალს წარუდგა დელეგაცია შემდგარი თბილისის, ქუთაისისა და სხვა კუთხეების თავადაზნაურთა მიერ და მიართვეს პეტიცია და გააცნეს საკუთარი პოზიცია, რაზედაც თითქოს გარკვეული თანხმობაც მიიღეს „ნამესტნიკისაგან“.

მიმდინარე რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე (ვაჩნაძე ... 2007: 5-23).

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს _ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს. საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკიმ). საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. წინარე თათბირზე წამოყენებული იქნა საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას მოითხოვდა.

რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კი პეტერბურგში შექმნილ კომისიაში, რომელიც განიხილავდა ჩვენს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებსა და მოთხოვნებს, სისტემატიურად იგზავნებოდა სხვადასხვა კუთხიდან გაგზავნილი პეტიციები დაახლოებით მსგავსი შინაარსისა: „საქართველოს ეკლესიას მოესპო წინანდელი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა, რამაც დასცა ჩვენი ეკლესია და სარწმუნოება.

ბიუროკრატიულმა წეს-წყობილებამ მოსპო ეკლესიაში კათოლიკოსის და სხვათა არჩევითი უფლება“.

ამ მოთხოვნების საპირისპიროდ რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გადაწყვიტა, რომ მთელ იმპერიაში დაეარსებინა სამიტროპოლიტო ოლქები. ერთ ასეთ ოლქს უნდა მოეცვა მთელი კავკასია. მაშასადამე, ამით გაუქმდებოდა საქართველოს საეგზარქოსო და შესაბამისად, გაქრებოდა საფუძველიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. ამიტომაც ქართველმა ეპისკოპოსებმა, ულტიმატუმი წაუყენეს საქართველოს ეგზარქოსს: თუ 1906 წლის 1 იანვრამდე არ აღადგენდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, მაშინ დამოუკიდებლად შეიკრიბებოდა სრულიად საქართველოს სამღვდელთა და თვითონვე აღადგენდნენ ავტოკეფალიას.

მართლაც, სრულიად საქართველოს სამღვდელთა 1905 წლის 9 დეკემბერს შეიკრიბა თბილისში, წმ. ნიკოლოზის სასწავლებლის შენობაში, საეკლესიო კრებაზე, რომელიც გაგრძელდა 18 დეკემბრამდე და ყოველდღე 6-7 საათს მუშაობდა. კრებამ, რომელსაც დაესწრნენ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე, შეიმუშავა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმის პროექტი, რომელიც შემდგომში უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს მომავალ საეკლესიო კრებას (ჯაფარიძე 2003: 552).

ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა რომ მოხდა 1905 წლის დეკემბერში, ამას ხაზს უსვამს თავის ნაშრომში ისტორიკოსი ზ. ვაშაყმაძე და დასძენს, რომ კრებამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი: "საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი". აღნიშნული პროექტი იყო საფუძველი 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. "რეორგანიზაციის პროექტში" წარმოდგენილი იყო საქართველოს ეკლესიის ძირითადი პრინციპები, წეს-წყობილებისა და მართვა გამგეობის წესები. მეხუთე პარაგრაფით განსაზღვრული იყო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული დაყოფა. §6 "საქართველოს ეკლესიის ტერიტორიას შეადგენს ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ეხლანდელის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალისა, სოხუმისა, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში... §7. საქართველოს ეკლესიის სამღვდელთა შეადგენენ: ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს

მამამთავარი, რომელიც ამავე დროს არის მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა, ბ) სამი ეპისკოპოსი, გ) მღვდელნი, დ) დიაკვნები და ე) მედავითნეები. §9. მთელ საქართველოს ეკლესიას თავში უდგას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის თავმჯდომარეობით, ეპარქიას მოთავეობს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით... §13 კათალიკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებისა რიცხვით 30, რომელთაგან 15 ქართლის ეპარქიისა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთავარ ეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან), და მორწმუნეთა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტ-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალ. თბილისიდან. როცა კათალიკოსის არჩევა გათავდება, კრება წარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს და დამტკიცებისა და კურთხევის შემდეგ აცნობებს ყველა ავტოკეფალურ ეკლესიებს.“ (ვაშაყმაძე 2010: 12-14).

ვინაიდან რუსეთის იმპერია არ იყო ეროვნული სახელმწიფო საქართველოს ეკლესიისათვის, ამიტომ კრებამ გადაწყვიტა ეკლესიის გათავისუფლება სახელმწიფოსაგან და სახელმწიფოსა ეკლესიისაგან. შესაბამისად სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში და პირიქით - ”აუცილებლად საჭიროა, – აღნიშნული იყო პროექტში, – განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც ეკლესიისაგან: არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია – სახელმწიფოს საქმეებში“. თუმცა, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, კრებამ სახელმწიფო ვალდებულად სცნო, რომ ჯამაგირი ანუ ხელფასი გადაეხადა საქართველოს სამღვდლოებისათვის, შემდეგი მოსაზრებით: „§26. სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელს იმყოფება, ქართველ ხალხს არ დაუბრუნდება და სანამ იმ საეკლესიო ქონებათა ღირებულება, რომელნიც კერძო პირთა ხელშია გადასული, მომავალს საკათალიკოსო საბჭოს არ გადაეცემა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად... სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდლოებას ჯამაგირი აძლიოს, ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც უზრუნველყოფს მათ არსებობას“ (ვახუთი „მწყემსი“, 1906 წ., № 1-2, გვ. 14-15).

პროექტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოს ეკლესიის ტერიტორია და საქართველოს კათალიკოსის მმართველობა უნდა გავრცელებულიყო თბილისსა და ქუთაისის გუბერნიების, ზაქათალის, სოხუმის, ბათუმის და ყარსის ოლქთა საზღვრებში დასახლებულ მხოლოდ ქართველი ტომის მართლმადიდებლებზე. ქართველი კათალიკოსის იურისდიქციის ამგვარი ფორმით განსაზღვრას სხვაგანაც ჰქონდა ადგილი.³¹

...განმათავისუფლებელი მოძრაობა დამარცხდა და ქართველ სამღვდელოებას ოფიციალური ხელისუფლება სახელმწიფოს მშვიდობიანად გადარჩენის გამო სამადლობელი პარაკლისების გადახდას ავალებდა. ხოლო ავტოკეფალური მოძრაობის მესვეურნი რეპრესიების მსხვერპლნი შეიქმნენ. ამ მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ეპისკოპოსი კირიონი, რომელსაც 1906 წლის თებერვალში როგორღაც ეღირსა სამშობლოში დაბრუნება, კვლავაც რუსეთში, კოვნოს ეპარქიაში გადაიყვანეს აფხაზების გაქართველების მცდელობის ბრალდებით. ხელისუფლების სასჯელს სხვადასხვა დროს, განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობის პერიოდში ვერ გადაურჩნენ აგრეთვე ეპისკოპოსები: ლეონიდე, ამბროსი ხელაია, დეკანოზი კორნელი კეკელიძე, თბილისის ამაღლების ეკლესიის მღვდელი ილარიონ ჯაში, გელათის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ ნამორაძე და სხვანი. 1905-1907 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის მარცხმა, ქვეყანაში რეაქციის გაბატონებამ მათ მიერ დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობები შეამცირა, მაგრამ სამღვდელოების ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც არ შეწყვეტილა და კვლავაც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა.³²

გაზეთმა ისე შეწყვიტა არსებობა და მისი რედაქტორი ისე აღესრულა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ვერ მოესწრნენ.

რაც შეეხება ქართველ სამღვდელოებას, მათ უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის წინაშე წამოჭრილი სირთულეების წარმატებით დაძლევაში.

³¹ ჯაფარიძე შ., ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წწ.) - http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=404:-1905-1907-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=en

³² იქვე

განსაკუთრებით დასაფასებელია მათი ბრძოლა ქართული კულტურის გადარჩენის, ეკლესიისათვის ეროვნულობის შენარჩუნების, რუსიფიკატორთა ნამდვილი ზრახვების გამოააშკარავების, ეროვნული იდეალების გარშემო ქართველი ხალხის მტკიცედ დარაზმვის, საეკლესიო და საერო სასწავლებელთა გახსნა ფუნქციონირების საქმეში. ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ენის დაცვისა და მისი საეკლესიო-სასწავლო ფუნქციის გაუმჯობესებისათვის წარმოებული მოძრაობა, რომლის წარმატებაც დიდწილად სწორედ შეგნებულ სასულიერო პირთა აქტიურობამ განაპირობა.

დასკვნა

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ საზოგადოებას, რომელიც მოკლებული იყო სახელმწიფოებრივ და საეკლესიო დამოუკიდებლობას, ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად რჩებოდა ლიტერატურულ-ისტორიული და პუბლიცისტური გამოცემები.

მოცემულ პერიოდში გამომავალმა ჟურნალ-გაზეთებმა დიდი როლი ითამაშა კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების გააქტიურებასა და ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების საქმეში. აქ დაბეჭდილი სტატიები ქართველ მკითხველს ახსენებდა საკუთარ ისტორიულ წარსულს და გარკვეულწილად, წარმოადგენას აძლევდა იმდროინდელ პრობლემურ საკითხებზე. თვალსაჩინო მაგალითს პერიოდულ გამოცემათა სივრცეში წარმოადგენდა სასულიერო ორგანო - ორკვირეული გაზეთი „მწყემსი“, რომელიც 1883-1910 წწ.-ში ქართულ ენაზე გამოდიოდა, დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით, ყვირილაში (ზესტაფონში).

აღსანიშნავია, რომ „მწყემსის“ რედაქცია, ისევე როგორც სხვა, მისი თანამედროვე პერიოდული გამოცემები, ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ აშუქებდა ყველა რეალურ პრობლემას არა ერთი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს კი წარმოადგენდა საცენზურო კონტროლი, რაც გაზეთი „მწყემსის“ შემთხვევაში ქ. ქუთაისში ხორციელდებოდა. თუმცა მიუხედავად ამისა, მოცემული სასულიერო ორგანო ქართველებისთვის აქტუალურ და მტკივნეულ საკითხებთან მიმართებაში არ ერიდებოდა ეროვნული სულისკვეთებით განმტკიცებული პოზიციის ღიად დაფიქსირებას და პირიქით, ერთ-ერთ მოწინავე როლსაც კისრულობდა მსგავსი თემატიკის გაშუქებისას.

ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიიპყრო იმ სტატიებმა, რომლებშიც კარგად ჩანს, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ქართველი სამღვდელოების, პოლიტიკური ჩინოვნიკების, ინტელიგენციისა და გლეხების ყოფა-ცხოვრება, საჭიროებები, თუ დამოუკიდებულებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

სასულიერო ორგანო „მწყემსი“ 27 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა და არაერთი საკითხი აქვს მკითხველი საზოგადოებისათვის მიწოდებული, როგორც ოფიციალური სასულიერო თემატიკის, ასევე ზნეობრივი თუ ინტელექტუალური განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემის შესახებ მიძღვნილი. ჩვენ შევეცადეთ, მათგან რამდენიმე მათგანზე შეგვეჩერებინა განსაკუთრებული ყურადღება, გამომინარე მათი შინაარსობრივი და იდეური დატვირთვისგან.

ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ისეთი თემები, როგორებიცაა: „საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ საქმიანობა, მოსე ჯანაშვილის ნაშრომი „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლების და ტაძრებში ქართულად წირვა-ლოცვის აღვლენის აკრძალვა რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ, ქართული ენის დაცვის პრობლემატიკა, კუთხურ-ეთნიკური და სარწმუნოებრივი ნიშნით საქართველოს მოსახლეობის შევიწროების პრობლემა იმპერიისგან, თბილისის სემინარიის რექტორის - პ. ჩუდეცკის მკვლელობა და წმ. დ. ყიფიანის ტრაგიკული ისტორია, ასევე იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიის მდივნის ე. მჭედლიძის მკვლელობის ამბავი.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო და საჭიროდ ჩავთვაღეთ, ნაშრომში ადგილი დაგვეთმო გაზეთის რედაქტორის, დეკანოზ დ. ღამბაშიძის სასულიერო თუ პუბლიცისტური მოღვაწეობის, მისი შეხედულებებისა და ღირებულებების შესახებ, რადგან ფაქტობრივად იგი წარმოადგენდა და ჩვენი აზრით, გარკვეულწილად, მის პირად ღირებულებებზე გადიოდა გაზეთის სარედაქციო პოლიტიკის მთავარი ხაზი.

გაზეთის ნომრებიდან უხვად იქნა მოძიებული მასალა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის, მეფის მთავრობის მიერ საქართველოში გაძლიერებული რეაქციულ-ასიმილაციური პოლიტიკის შესახებ, რაც გამოიხატა არა მარტო ქართული ენის გაძლიერებულ დევნაში, არამედ მთავრობის მცდელობაში, დაესუსტებინა, შეემცირებინა ქართული ენის გამოყენების ასპარეზი და გაეადვილებინა მისი გადაგვარება. მეფის მოხელეებმა განიზრახეს მეგრელთა გათიშვა ქართული ეროვნული, ერთიანი, ორგანიზმიდან, თითქოს ისინი არაქართველ, სხვა წარმოშობის ხალხს წარმოადგენდნენ და შეეცადნენ გაემეფებინათ ქართული ენა სკოლებიდან.

ჩვენს ნაშრომში ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემატიკის კვლევა, რომელსაც იგი განსაკუთრებით განიცდიდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინეხს. „მწყემსის“ რედაქცია ხედავდა რა ეკლესიისათვის ძირეული ფუნქციების დაკარგვის რეალურ საშიშროებას, შესაძლებლობების ფარგლებში აშუქებდა ქართული ეკლესიის შიგნით არსებულ პრობლემებს, რომლებმაც გამოიწვია ეკლესიისაგან ქართველი ხალხის რამდენადმე გაუცხოება.

არაერთი საეკლესიო კრების შესახებ დაუწერია სასულიერო ორგანოს რედაქციას წლების მანძილზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელ ფუნქციას იძენდა საქართველოში ნებადართული და მოწვეული საეპარქიო-საეკლესიო კრებები, მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, რასაც ცხადად იაზრებდა და აქტიურად აშუქებდა გაზეთი „მწყემსი“. მაგალითისთვის ზემოთ მოვიყვანეთ რამდენიმე მათგანი. „მწყემსის“ ფურცლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, საეკლესიო-საეპარქიო კრებები, რომლებიც იმართებოდა 1905-1907 წლებში, თავისი შინაარსობრივი და იდეოლოგიური დატვირთვიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, გაზეთმა „მწყემსმა“ 1910 წელს ისე შეწყვიტა არსებობა და მისი რედაქტორი ისე აღესრულა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ვერ მოესწრნენ.

გაზეთ „მწყემსის“ პუბლიკაციური წერილებიდან არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩენილიყო ინფორმაციულად საკმაოდ მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო მასალა, რომელმაც მოგვაწოდა ცნობები იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცხოვრების, მოღვაწეობისა და აღსასრულის შესახებ. ასევე, შემოინახა ქადაგებითი სიტყვები, წარმოთქმული სასულიერო დღესასწაულებსა და სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით. პარალელურად კი აღნიშნული სტატიები ჩვენთვის ფასეულია იმდენად, რამდენადაც მათში თავმოყრილი ინფორმაციების ნუსხამ დაგვიხატა სურათი იმ დროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სასულიერო ცხოვრების მდგომარეობის წარმოსადგენად. გარდა ამისა, პერიოდული გამოცემის ფურცლებიდან ნათლად ჩანს ის უზარმაზარი სიყვარული და მადლიერება, რომელიც ქართველ მრევლს გააჩნდა სულიერი მოძღვრის მიმართ.

გაზეთ „მწყემსის“ რედაქციის მიერ შესწავლილი და დაბეჭდილი ინფორმაციები, ერთობ მრავალფეროვანი, საინტერესო და აქტუალური პრობლემატიკის მიმოხილვითაა გაჯერებული, რაც მკითხველს ცხადად წარმოუდგენს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთ საკითხს და მისცემს საშუალებას, შეისწავლოს და შეაფასოს აღნიშნული პერიოდი სხვადასხვა მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომით, შევეცადეთ მონოგრაფიულად შეგვესწავლა მთელი ნუსხა „მწყემსში“ დაბეჭდილი საკითხებისა, რომლებიც მეტწილად მოკლებული იყო მკვლევართა ყურადღებას იმ თემატიკის შესწავლა-გაშუქების მიმართულებით, რომელიც აღებულია ჩვენი კვლევის საგნად.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ისტორიოგრაფია:

1. **ბერძენიშვილი 1971:** ბერძენიშვილი ნ., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, აფხაზეთის კათალიკოსი XIII-XV სს-ში, ტ. V, თბ., 1971.
2. **ბერძენიშვილი... 1948:** ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ი., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბ., 1948.
3. **გიორგაძე 1928:** გიორგაძე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905 წწ.), თბ., 1928.
4. **გოგებაშვილი 1990:** გოგებაშვილი ი., თხზულებანი. ტ. III, თბ., 1990.
5. **გიშაშვილი 1987:** გიშაშვილი ი., ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1987.
6. **გუგუშვილი 1981:** გუგუშვილი პ., ქართული ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, თბ., 1981.
7. **გურეშიძე 1993:** გურეშიძე დ., ქველმოქმედება საქართველოში, ქუთ., 1993.
8. **დურნოვო 1990:** დურნოვო ნ., ქართული ეკლესიის ბედი, ჟურნ. „განთიადი“, 1990, №10.
9. **ვაშაყმაძე 2010:** ვაშაყმაძე ზ., საქართველოს ეკლესიის 1905 წლის რეორგანიზაციის პროექტი, თბ., 2010.
10. **ვაჩნაძე 2007:** ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ეკლესიის ისტორია. ნაწილი პირველი (988-1801). თბ., 2007.
11. **ვაჩნაძე 2008:** საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI საუკუნეები). დოკუმენტები და მასალები. ტომი მეორე. 1905 წელი. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. თბ., 2008.
12. **ვაჭრიძე 2006:** ვაჭრიძე გ., დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთ., 2006.
13. **ზურაბიშვილი 1962:** ზურაბიშვილი ი., კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, 1962.
14. **თაყაიშვილი 1968:** თაყაიშვილი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.

15. **თორაძე... 1995:** თორაძე ე., თორაძე ნ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1995.
16. **კაკაბაძე 1997:** კაკაბაძე ს., ქართველი ხალხის ისტორია, თბ., 1997.
17. **კეზევაძე 2006:** კეზევაძე მ., გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთ., 2006.
18. **კეზევაძე 2008:** კეზევაძე მ., დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის (1821-1920) ქუთ., 2008.
19. **კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I ნაწ., 1980.
20. **კელენჯერიძე 1913:** კელენჯერიძე მ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, თბ., 1913.
21. **ლომაშვილი 1992:** ლომაშვილი ფ., საქართველოს ისტორია (1801-1918), თბ., 1992.
22. **მჭედლიძე 1993:** მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქუთ., 1993.
23. **მჭედლიძე 2011:** მჭედლიძე გ., ქუთაისი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, ქუთ., 2011 წ.
24. **მჭედლიძე 2008:** მჭედლიძე გ., კეზევაძე მ., ქუთაის-გაენათის ეპარქია, ისტორია და თანამედროვეობა, ქუთ., 2008.
25. **ნიკოლაძე 1984:** ნიკოლაძე ნ., მოგონებები, თბ., 1984.
26. **ნიკოლეიშვილი 1990:** ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ქუთ., 1990.
27. **სულმნათ... 1897:** სულმნათ გაბრიელის საუნჯე, სტატიების კრებული, ქუთ., 1897.
28. **ტყეშელაშვილი 2014:** ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ქუთ., 2014.
29. **ფუტკარაძე 2008:** ფუტკარაძე ტ., ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთ., 2008.

30. ფხალაძე 2004: ფხალაძე თ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2004.
31. რედ. მიქაბერიძე 2004: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, შეადგინეს - მაჩიტაძემ ზ., ბუკიამ მ. და ბულია მ., რედაქტორი ავ. მიქაბერიძე, ათენი 2004.
32. ხუციშვილი 1972: ხუციშვილი მ., საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, თბ., 1972.
33. ჯაფარიძე 2003: ჯაფარიძე ა., საქართველოს საეკლესიო კრებები, ნაწ. III, თბ., 2003.
34. ჯაფარიძე 2008: ჯაფარიძე ა., დედაღვთისმშობელი - შემწე ქართულისა ერისა, თბ., 2008.
35. რედ. მჭედლიძე 2013: ავტორთა კოლეგია, ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, რედ. პროფ. გ. მჭედლიძე, ქუთ., 2013.

წყაროები:

36. გაზეთი „მწყემსი“, 1884 - №6, №10, №11, №12, №13, №14, №18, №20, №2, №24.
37. გაზეთი „მწყემსი“, 1885 - №1, №4, №5, №7, №10, №11, №12, №15, №17, №19, №20, №21, №22.
38. გაზეთი „მწყემსი“, 1886 - №2, №6, №9, №14-15, №16, №18, №19, №20, №22, №28.
39. გაზეთი „მწყემსი“, 1887 - №9, №18, №22, №23, №24.
40. გაზეთი „მწყემსი“, 1888 - №1, №14-15, №16, №17, №19.
41. გაზეთი „მწყემსი“, 1889 - №2, №7, №9, №10, №13-14, №17, №23-24.
42. გაზეთი „მწყემსი“, 1890 - №2, № 3-4, №12, №20.
43. გაზეთი „მწყემსი“, 1891 - №1, №3, №17, №22.
44. გაზეთი „მწყემსი“, 1892 - №5, №8, №9, №10, №21, №22.
45. გაზეთი „მწყემსი“, 1893 - № 7, №8.

46. გაზეთი „მწყემსი“, 1894 - №1, №11, №22.
47. გაზეთი „მწყემსი“, 1895 - №3-4, №7, №18.
48. გაზეთი „მწყემსი“, 1896 - №2, №3, №4, №5, №6.
49. გაზეთი „მწყემსი“, 1897 - №20.
50. გაზეთი „მწყემსი“, 1898 წ., №2.
51. გაზეთი „მწყემსი“, 1904 წ., №15-16.
52. გაზეთი „მწყემსი“, 1905 - № 1-2, №6-7, №8, №9-10, №13-14, №22.
53. გაზეთი „მწყემსი“, 1906 - №1-2.
54. გაზეთი „მწყემსი“, 1909 - №7.
55. გაზეთი „შრომა“, 1883 - №11.
56. გაზეთი „თემი“, 1911 წ., №4.
57. გაზეთი „დროება“, 1881 - №225.
58. ჟურნალი „განთიადი“, 1996 - № 9-12.
59. ჟურნალი „განათლება“, 1911 - №1.
60. გაზეთი „ქართული გალობა“, 2006 - №2.
61. ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010 - №1(7).

ელ. რესურსები:

62. ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ:
<http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/akhali/romaelta/romaelta-13.htm>
63. ილია ხონელი (ფსევდონიმი) - ილია ბახტაძე - პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00003332/>
64. დუშიკო (ფსევდონიმი)- არტემ ახნაზაროვი - მწერალი, ჟურნალისტი -
<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001684/>

65. ნ. ღამბაშიძე, „ვახტანგ ღამბაშიძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“, სამეცნიერო ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1 (7) - https://ijhei.files.wordpress.com/2010/05/57_istoriis_krebul.pdf
66. რაჟდენ ხუნდაძე - https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C_%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94
67. ზ. გურული, „რატომ დაწყევლა ქართველი ერი რუსმა ეგზარქოსმა?!“ - <https://www.kvirispalitra.ge/history/8031-ratom-datsyevla-garthveli-eri-rusma-egzargosma.html>
68. ნიკოლოზ დურნოვო, „ქართული ეკლესიის ბედი“ - https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/05/qartuli_eklesii_bedi.pdf
69. ნ. პაპუაშვილი, „რელიგიები საქართველოში“, თბ. 2007 წ. - <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-0l-11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-OutfZz-8-00-0-11-1-OutfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.18&d=HASH0f64c5131c97fee2265472.11>
70. ესტატე ბოსლეველი (მჭედლიძე) - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00002900/>
71. დიმიტრი ნადირაძე - <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001011/>
72. ივანე ზურაბიშვილი - https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94_%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98
73. სიტყვა თქმული გელათის მონასტერში, გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს - <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/gabriel.htm>
74. ქუთაისის ალექსანდრონეველის სობორო - https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98

75. ქუთაისის დანგრეული საკათედრო ტაძარი და ორი მღვდელმთავრის საფლავების ისტორია, რომელიც ბევრმა არ იცის - <http://kutaistoday.com/guthaisisdangreuli-sakathedro-tadzari-da-ori-mghvdelmthavris-saplavis-istoria-romelic-bevrma-ar-icis-poto/>
76. ჯაფარიძე შ., ქართველი სამღვდლოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წწ.) - http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=404:-1905-1907-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=en